გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№5

2013

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2013 წლის 11 თებერვალს ჩატარებულ ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on February 11, 2013 at NPLE-Gori State Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by NPLE-Gori State Teaching University History and Archaeology Centre.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი
გიორგი ხორბალაძე
ალექსანდრე მღებრიშვილი
ნუგზარ აბრამიშვილი
ვიანორ ახალაია
ივანე ბალახაშვილი
ქეთევან ბარბაქაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
ზურაბ ზერაკიძე
ხათუნა კაკაურიძე
მარიამ კობერიძე
მალხაზ ლომსაძე
ელდარ მამისთვალიშვილი
ლევან მიდოდაშვილი
ზურაბ ტიელიძე
ჯემალ ქირია
შოთა ქურდაძე
პაატა ქურდაძე
მარიკა შერაზადიშვილი
დავით ჩოჩიშვილი
ზურაბ ჩხიკვაძე
ნელი ჭამპურიძე
გედევან ხელაია
თეა ხორგუაშვილი
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:

Giorgi Sosiashvili
Giorgi Khorbaladze
Alexander Mgebrishvili
Nugzar Abramishvili
Vianor Akhalaia
Ivane Balakhashvili
Ketevan Barbakadze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Zurab Zerakidze
Khatuna Kakauridze
Mariam Koberidze
Malkhaz Lomsadze
Eldar Mamistvalishvili
Levan Midodashvili
Zurab Tielidze
Jemal Kiria
Shota Kurdadze
Paata Kurdadze
Marika Sherazadishvili
David Chochishvili
Zurab Chkhikvadze
Neli Champuridze
Gedevan Khelaia
Tea Khorguashvili
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

შინაარსი

ლინგვისტიკა

ვიანორ ახალაია - *ზანური ენობრივი ელემენტები დასავლურ დიალექტებში – 5*
მარიამ კობერიძე - *ემფატიკური ხმოვანი მეათე საუკუნის ქართულ სასულიერო პოეზიაში – 7*
ნიკოლოზ ოთინაშვილი - *საშემოსავლო ნუსხები და ტოპონიმიკური შენიშვნები ქსნის ხეობიდან – 11*

ლიტერატურა

თამარ გოგოლაძე - *გრიგოლ რობაქიძე ქართული ენის შესახებ – 14*
მარინე ცერცვაძე - *ვანო ჩხიკვაძის ნოველა - "ახადელების რძალი" (ანალიზი) – 17*

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მაია აზმაიფარაშვილი - *ეკოტურიზმი, როგორც გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კომპონენტი – 21*
ნინო ბერიანიძე, ზურაბ ტიელიძე - *საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების ზოგიერთი საკითხი – 24*
ნელი გოგინაშვილი - *მინერალური ელემენტების თანაფარდობის გავლენა მცენარის მიერ მათ შეთვისებასა და დაგროვებაზე – 29*
ალექსანდრე იაშვილი - *ფიზიკური აღზრდა და სპორტი, როგორც სოციალური მოვლენა – 33*
მალხაზ მუმლაძე, ზურაბ ზერაკიძე - *ჰიპოთეზათა შეფასების ძალდებული კრიტერიუმები – 36*
გიორგი მძინარაშვილი - *ტექნიკის სწავლებისა და სრულყოფის საფუძვლები თავისუფალ ჭიდაობაში – 38*
ციური ნოზაძე - *კომპიუტერული დანაშაულის საფრთხეები და საქართველოში მისი პრევენციის ზოგიერთი საკითხი – 40*
ზურაბ ტიელიძე, ნინო ბერიანიძე - *საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხისათვის – 45*

ბიზნესი და მართვა

გიული გიგუაშვილი - *საქართველო-უკრაინის ეკონომიკური თამაშრომლობის ძირითადი ასპექტები – 50*
დავით ბიძინაშვილი - *აუდიტორული საქმიანობის როლი ეკონომიკურ საქმიანობაში საკმაოდ აქტუალურია – 55*
მარინე ბუზიაშვილი - *საწარმოში წარმოდგენილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვის საკითხები – 59*
ნინო ლიპარტელიანი - *ინოვაციური პროექტი: ბიზნესინკუბატორი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის – 64*
ლალი სადაღაშვილი - *საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები – 67*
ხალიანა ჩიტაძე - *საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით – 70*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ალექსანდრე მღებრიშვილი - *ქართულ-ოსური ურთიერთობები XX საუკუნის დამდეგის ცხინვალის რეგიონში – 74*
მარიკა შერაზადიშვილი - *ენობრივი პრობლემები ქართულ მედიაში – 79*

CONTENTS

Linguistics

Vianor Akhalaia - *ZANURI LINGUAL ELEMENTS IN THE WEST DIALECTS – 5*
Mariam Koberidze - *THE EMPHATIC VOWEL IN THE TENTH CENTURY GEORGIAN CLERICAL POETRY – 7*
Nikoloz Otinashvili - *INCOME RECORDS AND TOPONYMIC NOTES FROM KSANI GORGE – 11*

Literature

Tamar Gogoladze - *GRIGOL ROBAKIDZE ABOUT THE GEORGIAN LANGUAGE – 14*
Marine Tsertsvadze - *A NOVELLA BY VANO CHKHIKVADZE - "DAUGHTER-IN-LAW OF AKHADELIS"(ANALYSIS) – 17*

Exact and Natural Sciences

Maia Azmaiparashvili - *ECOTOURISM AS AN ENVIRONMENTAL EDUCATION COMPONENT – 21*
Nino Berianidze, Zurab Tielidze - *SOME ISSUES OF ECOTOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA – 24*
Neli Goginashvili - *PLANT PROPORTION INFLUENCE OF MINERAL ELEMENTS ON THEIR ASSIMILATION AND ACCUMULATION – 29*
Aleksandre Iashvili - *PHYSICAL EDUCATION AND SPORT, AS ONE OF THE MOST SOCIAL PHENOMENON – 33*
Malkhaz Mumladze, Zurab Zerakidze - *CONSISTENT CRITERIA OF HYPOTHESES – 36*
Giorgi Mdzinarashvili - *FUNDAMENTALS OF TEACHING AND IMPROVING TECHNIQUES IN FREE STYLE WRESTLING – 38*
Tsiuri Nozadze - *THREATS OF COMPUTER CRIMINALITY IN GEORGIA AND SOME QUESTION OF PROTECTION FROM IT – 40*
Zurab Tielidze, Nino Berianidze - *THE ISSUES OF GEORGIA BIODIVERSITY CONSERVATION – 45*

Business and Management

Giuli Giguashvili - *THE MAIN ASPECTS OF ECONOMIC COOPERATION BETWEEN GEORGIA AND UKRAINE – 50*
David Bidzinashvili - *AUDIT'S ROLE IN ECONOMIC ACTIVITY IS RATHER URGENT – 55*
Marine Buziashvili - *ACCOUNTING ISSUES OF INTANGIBLE ASSETS REPRESENTED IN THE ENTERPRISE – 59*
Nino Liparteliani - *INNOVATIVE PROJECT: BUSINESS INCUBATOR FOR GORI STATE TEACHING UNIVERSITY – 64*
Lali Sadaghashvili - *THE FACTORS ON INVESTING ENVIRONMENT – 67*
Khaliana Chitadze - *DEVELOPING OF ACCOUNTANCY BY SUPPORTING OF MODERN INFORMATIONAL TECHNOLOGY SYSTEM IN GEORGIA – 70*

Social Sciences and Law

Aleksandre Mgebrishvili – *GEORGIAN–OSSETIAN RELATIONS AT THE BEGINNING OF THE XX CENTURY IN TSKHIVALI REGION – 74*
Marika Sherazadishvili – *LINGUISTIC PROBLEMS IN GEORGIAN MEDIA – 79*

ლინგვისტიკა
Linguistics

ზანური ენობრივი ელემენტები დასავლურ დიალექტებში

ვიანორ ახალაია, სრული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „გურულები და იმერლები მეგრელ-ლაზების მიწაწყლის შუა გულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამის მიუხედავად, ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად კოლხეთის ის მიწაწყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდათ, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფო სახელების დამკვიდრება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა ცხოვრებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება“ (1, 428). ამიტომაც მიუთითებენ, რომ კოლხურ (მეგრულ-ჭანურ) ენას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა, კერძოდ, ქართულის ისტორიის დასადგენად. მას დაუცავს ისეთი ფორმები, რომელთა გათვალისწინების გარეშე ბევრი საკითხი ქართული ენის ისტორიიდან გაურკვეველი დარჩებოდა. მაგ., სრულხმოვნობა, რომელიც მეგრულს (და ჭანურს) ახასიათებს, გასაღებს იძლევა, აღდგეს სახელის ფუძის უძველესი სახე ქართულში: 1) „ძმა“-ს უძველესი სახე რომ „ძამან“ არის, ამას, პირველ რიგში, კოლხურის ჩვენება ადასტურებს: ჯუმა (ჭან.) // ჯიმა (მეგრ.), მრ. რ.: ჯუმალ-ეფ-ი // ჯიმალ-ეფ-ი. კოლხური რომ არა, ჩვენ არ გვეცოდინებოდა, რომ ძველსა და ახალ ქართულში ნახმარ ძირეულ სიტყვაში „ძმა“ გვაკლია ფუძისეული ა ხმოვანი და დეტერმინანტი სუფიქსის ნ ელემენტი (-ან → -ა). შდრ.: გურულ და იმერულ დიალექტებში: ძმანები, დანები, „ძამია“. მეგრული ჯამალ → ჯუმალ → ჯიმა (ქართ. ძ: კოლხური ჯ: ქართული ა: კოლხური ო). 2) წარმომავლობის სუფიქსი -არ (ოპიზარი, მტბევარი, ოლთისარი...) ახსნას იღებს მეგრულ-ჭანური არ-დან (ზუგდიდარეფი, ბანძარეფი და ა.შ.) (2, 11).

„არტანუჯი“ არის ისტორიულად ცნობილი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი სოფლის სახელწოდება. ა. შანიძის მოსაზრებით მხოლოდ ზანურის მეოხებით შეიძლება მისი ეტიმოლოგიის ახსნა. „არტანუჯი“ ← ატრანიშ ყუჯი, „არტანის ყურე“ (ყუჯი = ყური // ყურე). (3, 225)

„ოპიზა“ ← ოპიჯა: ო თავსართი კოლხურია და სა მაწარმოებელს უდრის, პიჯი = პირი. „ოკრიბა“ (სოფელი იმერეთში) ← ო-კირიბ-ა, „საკრავე“ (კირიბი = კრავი). (ნ. მარი)

მცირე აზიაში, სადაც ოდესღაც ხეთური კულტურა ყვაოდა, არის ერთი სოფელი, რომელიც 1926 წლამდე იწოდებოდა „ტობადა“-დ (ახლა ჰქვია „აჯი-გიელ“ - მწარე ტბა). ეს სოფელი ცნობილი გახდა განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მის მახლობლად იპოვეს კლდეზე წარწერები (იეროგლიფები). ა. შანიძემ გაარკვია ამ სახელწოდების ეტიმოლოგია ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე: ტობა + დარ. ტობა „ტბა“-ს ნიშნავს მეგრულად (ქართულშიც უნდა გვქონდოდა ხმოვანი, შდრ. ტაბახმელა), დარ არის „მწარე“ სომხურში (ეს სიტყვა სომხურში ქართულიდანაა შესული: მ-წარ-ე და დარ, ნ. მარის მიხედვით). თურქული სახელწოდება - „აჯი-გიელ“ - თარგმანია ტობადასი. (2, 11)

საყოველთაოდ ცნობილია, რომ წყალტუბო ნიშნავს წყალთბილს (ტუბო - „თბილი“ ჭანურად).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება ენობრივი ფორმები, რომლებიც შეიძლება აიხსნას ზანურით. მაგალითად, ბორკ-, რომელიც წარმოადგენს ქართული ბარკ- ძირის მეგრულ-ზანურ შესატყვისს: შეკრა იგი ბორკილითა, იერემია 39, 170; დაამდაბლეს ბორკილითა ფერჴნი მისნი, ფსალმუნ. 106, 18 და მისთ.

ბორკ-ავ-ს პირიანი ზმნა ძველ ქართულში არ გვხვდება. ასეთი ფორმები თავს იჩენს გურულში, იმერულში და წარმოადგენს ზანიზმს (შდრ.: მეგრული ბორკ-ი „ფეხი“; ვ-ბორკუნ-ქ „ფეხებს ვუკრავ“; ბორკუა „ფეხების შეკვრა“; ბორკ-ილ-ი „შეკრული“.

სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვა მოწილვა „ხილთ კრეფას“ ნიშნავს. თანამედროვე ქართულში ის დღეს არ იხმარება, მაგრამ მეგრულში წილუა „კრეფას“ ნიშნავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძირი საერთო ქართველურია და იგი ქართულსაც ჰქონია ძველად.

კუარცხლბეკ-ის პირველი ნაწილი კუარცხლ აიხსნება ზანურ კუჩხ = „ფეხი“ სიტყვასთან მიმართებით. (ნ. მარი)

ძველი ქართულის ჭუვილი - „ტკივილი“ ეტიმოლოგიურად უთუოდ უკავშირება ზანურ ჭუალა-ს „წვას, ტკივილს“.

ძველ ქართულში არის ძირი ვლტ: ივლტის. ეს ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ზანურ რტ ძირთან: მი-რტ-ებ-უ = „მირბის, ივლტის“ (2, 12-13).

ივ. ჯავახიშვილი მეგრული წარმომავლობის ტოპონიმებად მიიჩნევდა შემდეგ სიტყვებს: ჯიხანჯირი, ჯუმათი, ჯუონგვარი, ოჭილაური, ჭყვიში, ჭყვიშაური, ჭანიეთი, მდ. გუბაზოული, მდ. კინტრიში, ონჭიკეთი, ონჯოხეთი, სოფ. აც[ხ]ანა.

მეცნიერის მოსაზრება გურიისა და იმერეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელების შესახებ, რა თქმა უნდა, შეიძლება გავავრცელოთ აჭარის ტოპონიმებზეც, რომლებშიც ხელშესახებად გამოიყოფა არა მარტო მეგრულ-ჭანურის ფუძის მქონე, არამედ ო-, -იშ და -ათ მაწარმოებელი სახელები: ოჯინჯი „საძირე“, ოტოფნარი (შდრ. მეგ. ტოფი „ერთგვარი თევზი“), ოტკობეჩია (<* ოტყობეშია < ო-ტყობ-ე-შ-ი-ა) „სამალვისი“, ჩხუში „ძროხისი“. ასევე ხელშესახებია აჭარულში კოლხური ლექსიკა: ჯარგვალი, ოჭივარა, ჩამური, დონჩხაური (შდრ. გურ. დონჩხაური, მეგრ. დაჩხირი „ცეცხლი“), ბადიში, კუჩხე, მოჭვა, ბიგალი (4, 57-58).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ გურია, აჭარა, ქვემო იმერეთი (ოკრიბისა და არგვეთის ჩართვით) და ლეჩხუმის ქვემო ნაწილი მეგრული მეტყველების არეს წარმოადგენდა. დამადასტურებელ საკამოდ მრავალრიცხოვან ფაქტობრივ მასალას პოულობენ გურულისა და იმერულის, ნაწილობრივ - ლეჩხუმურის ლექსიკაში, მორფოლოგია-სინტაქსსა და, განსაკუთრებით, ტოპონიმიაში.

ო- პრეფიქსიანი თუ -იშ სუფიქსიანი არა ერთი და ორი გეოგრაფიული სახელწოდებაა, რომელიც გურია-იმერეთის ტერიტორიაზე ზანურ სუბსტრანტს წარმოადგენდნენ.

ი. ყიფშიძის აზრით, მხოლოდ მეგრულის საფუძველზე აიხსნას მთელი რიგი გეოგრაფიული სახელწოდებებისა, როგორიცაა: მუხური (სოფლები სამეგრელოსა და იმერეთში), სოფ. ჯიმასტარო (იმერეთში), სოფ. ხოჯალია (გურიაში). აშკარად მეგრული წარმოშობისაა -იშ // -ში - ზე დაბოლოებული და ო- პრეფიქსიანი სახელწოდებებიც, მაგ.: ჯიხაიში, ჭყვიში, ტვიში, კინტრიში, სარგვეში, ხიმში, ორაგვე, ოკრიბა, ჯიმასტარო (5, XV-XVII)

მეტწილად ეს სახელები ო- და -იშ (-შ) მაწარმოებლების გამო იყო მიჩნეული ზანიზმებად. კ. დანელიას მოსაზრებით, ო (:ქართ. -სა) თავსართიანი და -იშ (:ქართ. -ის) ბოლოსართიანი სახელები შეიძლება იყოს მეგრულ-ლაზური სრტუქტურისა, მაგრამ იმ პირობით, თუ ძირეული მასალის გამოყოფას დაბრკოლება არ ახლავს. ამ მხრივ, უეჭველი კოლხური წარმომავლობის სახელებია: ჯიხანჯირი (ჯიხაშ-ჯინჯი) „ციხის-ძირი“, ჯუმათი „ძმეთი“, ჭყონგვარი // ჭყონაგარა „მუხის გორა“, ოჭილაური „საჭილაო“ // „საჭილაიო“ (6, 601)

ყველაზე რელიეფურად მეგრულ-ჭანური ფენა გურულში გამოიყოფა.

ზანური წარმომავლობის ბევრი სახელი აქვს გამოყოფილი გურიის ტოპონიმებში ი. მეგრელიძეს: -ათ (:ქართ. -ეთ) სუფიქსიანები: თოფურიათი, იძნათი, ჭანჭათი, ჩიჩხათი, ქვაჭალათი, კოკათი, კონჭკათი, ჯონჯუათი. ო- თავსართიანები: ოცხანა, ონჭიკეთი, ონჯალეთი, ოკვარე, ოჩხამური, ოკართე... ზანური ფუძის სახელები: კუჩხის აბანო, კუჩხის-ღელე; სუჭითა (← სურ + ჭითა, „წითელი სური“, შდრ. სურები), ჭვათირი („წვეთილი“), ტიბულაი (შდრ. მეგრ. ტიბუ “თბილი”), ჯაპანა (←*ჯაპ-ონ-ა „ბჟოლიანი“, აქ ძირიც ჯაპი „ბჟოლა“ და ონ (შდრ. -ქართ. ი-ან) სუფიქსიც ზანურია). -არ (:ქართ. -ელ) სუფიქსიანი მამულარი. ზ. სარჯველაძემ ს. ჟღენტისა და ი. მეგრელიძის მიერ ზანურად მიჩნეული ლექსიკური ერთეულების გარკვეულ ნაწილს კანონზომიერი ქართული შესატყვისები დაუძებნა და დაასაბუთა ზოგიერთი ახალი მასალის ზანური წარმომავლობაც, მაგ.: ოკვარე „საყვავე“, ოკოპრიე „საკობრე“, ჭანჭათი „მწერეთი“, ტომაჩხა „ტბა თეთრი“ და სხვა. (7, 190)

ზანიზმები შეინიშნება ქვემოიმერულში და მიიჩნევა სუბსტრატად, რადგან ეს რეგიონი ადრე ზანების სამკვიდრო იყო. აღსანიშნავია, რომ ზემოიმერულშიცაა ზანიზმები, რომელიც ქვემო იმერულიდან უნდა იყოს შეღწეული, თუმცა ვერც სუბსტრატებს გამოვრიცხავთ. ამ ვარაუდს ამართლებს ზემოიმერეთის ზოგი -ათ სუფიქსით ნაწარმოები ან ზანური ეტიმოლოგიის ტოპონიმის არსებობა: გრიგალათი (სოფ., მდ., ხარაგ. რ-ნი), რცხილათი (სოფ., ჭიათ. რ-ნი), ქვედა საზანო (სოფ., საჩ. რ-ნი). შდრ. მეგრ. მორძგვი, კანონზომიერი შესატყვისი ქართ. მარჯვესი. გარდა ამისა, ზემოიმერულში შესამჩნევია ლექსიკა (მაგ.: ბოყვი „ბარძაყის შიგნითა მხარე“, თოთი „თათი“, ბურდო „ჩირგვი“, ხოპამს „გოგრას წმენდს, გულს აცლის“, ტოფი „ვაკე“, ჩხამი „წვრილი თევზი“, ჯორღი „კორძიანი“ და ა.შ.), რომლის ნაწილი ან ზანურ ბგერადობას ავლენს სათანადო ქართულ ფუძეებთან მიმართებით ანდა მეტად მკვიდრია ზანურში და ასეთი ლექსიკის არსებობა იმერულში (ასევე სხვა დასავლურ კილოებში) არ გამორიცხავს სესხების გზას (8, 29).

ლიტერატურა:
1. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960,
2. დანელია კ., კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006.
3. შანიძე ა., ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში: საქ. მეცნ. აკად, მოამბე, XXV, 5, 1960.
4. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1971.
5. Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПБ, 1914.
6. დანელია კ., ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. II, თბ., 1991.
7. სარჯველაძე ზ., ზანიზმები გურულში: ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახ. პედინსტიტუტის შრომები, X, თბ., 1965.
8. კარტოზია გ., გვარამია რ., ლომაია მ., ცხადაია თ., მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, 2010.

რეზიუმე

მეგრულ-ლაზურს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიის დასადგენად. მის გარეშე ბევრი საკითხი ქართული ენის ისტორიიდან გაურკვეველი დარჩებოდა. ამასთანავე თანამედროვე გურიის, აჭარისა და ნაწილობრივ იმერეთის ტერიტორიებზე ადრე მეგრელ-ლაზები სახლებულან. დასახელებულ დიალექტებში უამრავი ზანიზმები სწორედ ამით აიხსნება.

ZANURI LINGUAL ELEMENTS IN THE WEST DIALECTS

Vianor Akhalaia, Full Professor

RESUME

Megrulian-Laz language has a great importance for establishing the history of the Georgian Language. Without it, many questions from the history of the Georgian Language would be vague. Moreover, years ago, MegrelianLazs used to live on the territory of today's Guria, Adjara and partly Imereti. This is the explanation of the existence of many Zanisms in the mentioned dialect.

ემფატიკური ხმოვანი მეათე საუკუნის ქართულ სასულიერო პოეზიაში

მარიამ კობერიძე, სრული პროფესორი

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, ძველ ქართულში საზოგადო სახელებს მხოლობითი რიცხვის მიცემით, ნათესაობითსა და მოქმედებითში და თანიანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაერთვის -ა ხმოვანი (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 25). ა. შანიძემ მას უწოდა მავრცობი, ნართაული ა (ა. შანიძე, 1976, გვ. 32; 1980, გვ. 48), ხოლო ნ. მარმა --- ემფატიკური ხმოვანი (ნ. მარი, 1925, გვ. 22).

ქართულში ემფატიკური ა-ს ფუნქციონირებასა და მისი ზოგადი ბუნების გარკვევას მიეძღვნა არაერთი მეცნიერული ნაშრომი (ნ. მარი, 1925; ა. შანიძე, 1930, 1942, 1976, 1980; არნ. ჩიქობავა, 1946, 1956; ქ. ძოწენიძე, 1956; თ. ზურაბაშვილი, 1956; ი. იმნაიშვილი, 1957; ზ. სარჯველაძე, 1997; ჟ. ფეიქრიშვილი, 1992; ბ. ჯორბენაძე, 1995; კ. დონდუა, 1930....).

ნ. მარის მიხედვით ემფატიკური ხმოვანი მიღებულია ჩვენებითი ნაცვალსახელიდან (ჰა) მეტი გამოხატულების ანდა განსაზღვრულობისათვის. აქედანაა ნ. მარისავე ტერმინი ემფატიკური (1925, გვ. 22) - მეტი გამოხატულებითი ძალის მქონე (არნ. ჩიქობავა, 1956, გვ. 266).

ნ. მარს მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითის აფიქსების შემდეგ დართული -ა ხმოვანი ერთნაირ მორფოლოგიურ ოდენობად არ მიაჩნია. მას ემფატიკური -ა მხოლოდ ნათესაობითსა და

მოქმედებითისათვის აქვს გამოყოფილი, მიცემითის -ა-ს კი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევს, ქართულის სემიტურთან ნათესაობის დებულებიდან ამოდის და იმიტომ, მისი აზრით, მიცემითის ფორმანტია -ა-ს, რომელიც ჩვეულებრივად ა-ს გადასმით იხმარებაო: კაცსა, პეტრესა ←კაცას, პეტრეას (ნ. მარი, 1925, გვ. 22).

კ. დონდუას ვარაუდით : „-ა დართული ნათესაობითი მსაზღვრელის როლში გამოდის: ძß კაცის-ა-ი. ბოლოკიდური -ი მომდევნო მსაზღვრელისათვის აუცილებელი იყო. ასეთ ნათესაობითს ის „მიმართებაში მყოფ ნათესაობითს“ (родительныи с отношением) უწოდებს (კ. დონდუა, 1930, გვ. 204-210).

მსაზღვრელად მიიჩნევს -ა ელემენტს აგრეთვე არნ. ჩიქობავა, რომელიც ა ხმოვანდართულ განსაზღვრულ ბრუნვებს გამოყოფს განუსაზღვრულისაგან და ამის მიხედვით ასხვავებს ისტორიულად ორ მორფოლოგიურ ოდენობას: „ა) მარტოოდენ მსაზღვრელნაწილაკიანი ბრუნვები: სახელობითი და მოთხრობითი; ბ) ბრუნვის ნიშნისა და მსაზღვრელი ნაწილაკის მქონე ბრუნვები: ნათესაობითი, მოქმედებითი, მიცემითი“ (1956, გვ. 266).

ემფატიკური -ა-ს მსაზღვრელი ნაწილაკის (ე. წ. ნაწევრის ანუ ართრონის) ნაშთად მიიჩნევს ა. შანიძე (1930, გვ. 24).

მეათე საუკუნის ქართულ სასულიერო პოეზიაზე (ს. ყუბანეიშვილი, 1946) დაკვირვებიდან ცხადი ხდება, რომ ემფატიკური -ა-ს ხმარებას სისტემური ხასიათი ჰქონდა, იგი დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს .

მიცემითი ბრუნვა

„**ძალსა მისსა** მყვენ მიმწოდებელ, რათა არ იყოს ჩუენდა აუგ“ (იოანე ზოსიმე, გვ. 329);
„ესმა **ღმერთსა** ჴმაჲ“ (იოანე მინჩხი, გვ. 331);
„სამოელ წინაჲსწარმეტყუელმან სცხო დავითს **მწყემსობასა შინა**“ (იოანე მინჩხი, გვ. 331);
„სრულიად შეიმოსს **კაცებასა ჩუენსა**“ (იოანე მტბევარი, გვ. 334);
„რომელი გამოჰსახვიდა საიდუმლოდ **შობასა შენსა,** ქრისტე (იოანე მტბევარი, გვ. 334);
„აჰა ესერა სიხარულით დავსდებ შენთჳს **სულსა ჩემსა,** შეივედრე, მჴსნელო!“ (მიქელ მოდრეკილი, გვ. 341);
„სურვილით ამბორს უყოფდეს **უბიწოსა** ქრისტßს მოწამესა“ (მიქელ მოდრეკილი, გვ. 341);
„ეჰა **შუენიერსა დღესა, დღესასწაულსა შენსა** (ეზრა, გვ. 344);
„ჰმადლობს **ღმერთსა** შენთჳს“ (ეზრა, გვ. 344);
„რომელი **ნისლსა შინა** ეჩუენა მოსეს“ (იოანე ქონქოსისძე, გვ. 347);
„რომელმან **ცასა** აღჳრ-ასხნა“ (კურდანაჲ, გვ. 349);
„აღსლვასა შენსა მამისა ამცნებდი“ (კურდანაჲ, გვ. 349).

ნათესაობითი ბრუნვა

„ნათელსა სათნოდ **ღმრთისა** შეკრებილი“ (იოანე ზოსიმე, გვ. 329);
„ვითარცა რაჲ მარგალიტი ურიცხჳსა სასყიდლისა, ჩუენ მოგუეცა მორწმუნენო“ (იოანე ზოსიმე, გვ. 329);
„და განაქარვე მთავრობაჲ **ბნელისაჲ**“ (იოანე მინჩხი, გვ. 329);
„შობაჲ **საშოჲსაგან უბიწოჲსა** ცხოვრებისათჳს ადამის **ნათესავისა შეცთომილისა,** მრავალმოწყალე!(იოანე მინჩხი, გვ. 329).
„ბეთლემო, იხარებდ, რამეთუ ხß იგი **ცხორებისაჲ** შენ შორის აღმოსცენდა დღეს“ (იოანე მტბევარი, გვ. 334);
„დიდებულებაჲ **შობისა შენისაჲ** დღეს ვინ შეუძლოს მითხრობად“ (იოანე მტბევარი, გვ. 334);
„მხოლოდ შობილო,ქრისტე, **ღმრთისა** [სიტყუაო]“ (მიქელ მოდრეკილი, გვ. 339);
„გიხაროდენ გამორჩეულო **მაღლისა** მიერ, **ღმრთისა მამისა** და **ძისა მხოლოდ-შობილისა** მიერ წოდებულო, **სულისა წმიდისა** განბრწყინვებულო“ (მიქელ მოდრეკილი, გვ. 339);
„რამეთუ გრწმენა სასოვებით უხილავი იგი **ზეცისა** დიდებაჲ“ (ეზრა, გვ. 345);
„მოგჳხსენენი წინაშე **ღმრთისა**“ (ეზრა, გვ. 345);
„საჴუმელისა იგი **შემწუველისაჲ**“ (იოანე ქონქოსისძე, გვ. 348);
„ძიებად ადამისა და ცხოვრებად **ყოვლისა სოფლისა**“! (კურდანაჲ, გვ. 348

მოქმედებითი ბრუნვა

„**სიღრმითა** მით **სიმრავლითა გალობითა ბრწყინვალითა**“ (იოანე ზოსიმე, გვ. 329);
„**შესხმითა** მით **გულისაჲთა,** სათნოდ **ღმრთისა** შეკრებილი“ (იოანე ზოსიმე, გვ. 329)
„განზრახვითა კეთილითა შესცვალე შუებაჲ სოფლისაჲ“ (მიქელ მოდრეკილი, გვ. 341);
„აღივსნეს მნათობნი **მწუხარებითა**“ (მინჩხი, გვ. 33);
„აღეგზნენ **ცეცხლითა** საღმრთოჲსა **შურისაჲთა**“ (იოანე მტბევარი, გვ. 336);
„არაჲ ირწმუნებდეს უღმრთონი უგულისხმონი მჴსნელსა **ორითა ბუნებითა**“ (ეზრა, 345);
„მჴსნელო, **ნათლისღებითა შენითა წმიდითა** გუესწავა შეერთებაჲ წყალთაგან“ (იოანე ქონქოზისძე, გვ. 346).

თანიანი მრავლობითი

„**ორთა** მიერ ბრწყინვალეთა“ (იოანე ზოსიმე, გვ. 329); **„**ბუნებაჲ **კაცთაჲ** დანთქმული, ბუნებაჲ **კაცთაჲ** და გადიდებდა“ ! (იოანე მინჩხი, 329);
„თანამოდასედ **მოციქულთა** ნეტარსა ბასილის“ (იოანე მტბევარი, 337);
„რაჟამს დაიკლა კრავი იგი ეგჳპტეს საჴსრად **პირმშოთა**“ (მიქელ მოდრეკილი, 338);
„აღიწიე ზეცად ძლიერთა თანა ზეცისა **ძალთა**“ (ეზრა, 346);
„ვითარცა მსგავსი მამათ-მთავრისაჲ **ქალდეველთა** ქუეყანისაგან“ (იოანე ქონქოზისძე, 347); **„**აუწყა ანგელოზმან **დედათა** აღდგომაჲ შენი“ (კურდანაჲ, 349).

ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით ადამიანთა საკუთარი სახელები ემფატიკურ ხმოვანს არ დაირთავენ (ა. შანიძე, 1976, გვ. 41; ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 26). ანალოგიურად მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში ავტორები იყენებენ ასეთ ფორმებს. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა საკუთარი სახელები დაირთავენ სავრცობ ხმოვანს. მაგ.: „ხოლო ერსა **ქრისტჱსსა** წარუძღუ გზასა წრფელსა მართლმადიდებლობისასა“ (იოანე მტბევარი, 336); „**ქრისტესა** ვაკურთხევთ უკუნისამდე!“ (იოანე მტბევარი,337); „ოჳარისმყფელთა **ქრისტჱსთა,** უშჯულოთა ისმაიტელთა (მიქელ მოდრეკილი, 339); „ემსგავსა საკურთხეველსა წმიდისა **აჰრონისსა** ზეცით ცეცხლისა დადგრომითა განგრძნობილად“ (მიქელ მოდრეკილი, 341); **„ქრისტესა** სიჩჩოჲთგან შენით მიგიძღუენეს მშობელთა შენთა მსხვერპლად“ (ეზრა, 344).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მკვეთრად აისახა საკუთარ სახელთა საზოგადო სახელების ბრუნებასთან გათანაბრების ტენდენცია (საკუთარი სახელი სახელობითსა და მოთხრობითში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ემფატიკურ ხმოვანს). ეს იყო ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენა და სალიტერატურო ენა თანდათანობით იძულებული გახდა, ეს მოვლენა აესახა, საბოლოოდ კი ნორმად ექცია (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 369).

როგორც ცნობილია, ქართულ სალიტერატურო ენაში ემფატიკურ ხმოვნად -ა-სთან ერთად დასტურდება -ი მხოლოდ ნათესაობით და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან ორ შემთხვევაში: ა) ფუძეუკვეცელ სახელებთან: წყარო-წყარო-ს-ი (შდრ. ძველი ქართული: წყარო-ჲს-ა, წყარო-თ-ი (ძველი: წყარო -ჲთ-ა; ბ)საკუთარ სახელებთან (ანთროპონიმებთან): ელენე-ს-ი, მერაბ-ის-ი“ (ბ. ჯორბენაძე,1995, გვ. 132). ყურადღებას იქცევს ერთი შემთხვევა, როცა საკუთარ სახელთან ნათესაობით ბრუნვაში დასტურდება -ი. მაგ.: **„**ერი იგი სამწყსოჲ **ქრისტჱსი**“ (იოანე მინჩხი, 330).

შეინიშნება მიცემით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში საზოგადო სახელების უსავრცობო ფორმები.

ნათესაობითში დასმული საზოგადო სახელი თუ არის კომპოზიტის ნაწილი, არ დაირთავს ემფატიკურ ხმოვანს: „მსგავსად იოვანე **ღმრთის-მეტყუელისა**“ (იოანე მტბევარ, 337); „სიტყუაჲ შენი უზეშთაეს **მზის-თუალისა**“ (იოანე მტბევარი, 337).

მიცემითში საზოგადო სახელს ემფატიკური ხმოვანი არა აქვს, როცა ის დაკავშირებულია ზმნა-შემასმენელთან: „**პატივ-ვსცემდეთ**, მორწმუნენო, და გალობით ღირსად ვადიდებდეთ!“ (სტეფანე მტბევარი, 338); **„ნათელს -იღე** ჴორცითა“ (მიქელ მოდრეკილი, 339).

ქ. ძოწენიძის გამოკვლევით: **„**მოქმედებითი, რომელიც ვითარების გარემოებას აღნიშნავდა, ზმნიზედური მნიშვნელობისა იყო, მას იგივე ღირებულება ჰქონდა, რაც ზმნიზედებს: ძლიერ, უკეთ, უფრო..., ამიტომ მსაზღვრელ ნაწილაკს არ დაირთავდა და, ბუნებრივია, არც ემფატიკური ხმოვანი ჰქონდა (1956, გვ. 221). ასეთი მოქმედებითი ემფატიკურდაბოლოებიანი მოქმედებითის პარალელურად გვხვდება. მაგ.: „კაცთა მიერ მოღუაწეთა ფრიად **სიბრძნით** გამოთქუმით[ა]“ (იოანე ზოსიმე, 329);

„მარადის იქცეოდენ კრძალულად **სიმართლით,** და **სიმდაბლით,** და **სიწმინდით** წინაშე ღმრთისა“ (იოანე მინჩხი, 331).

მოქმედებითი ბრუნვა გამოყენებულია ადგილის გარემოების ფუნქციით: **მკვდრეთით**“ (მიქელ მოდრეკილი, 338).

იშვიათ შემთხვევაში ემფატიკური ხმოვანი არ აქვს მიცემით ბრუნვაში დასმულ საზოგადო სახელს: „მე **ნათელს** გცემ წყლითა“ (მიქელ მოდრეკილი, 343).

ზოგჯერ ემფატიკურ ხმოვანს არ დაირთავს ნათესაობითში დასმული მართული მსაზღვრელი: „დღეს ქუხს ეკლესიასა შინა **ღმრთის** მგალობელთა ჴმითა შენთა“ (ეზრა, 345); „რომელმან **ბეჭდის** საყოფელი იგი საშჯელისა ჩუენისაꙋ ჯუარსა შემშჭუალა“ (კურდანაꙋ, 349).

ამრიგად, მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში დადასტურებულია ემფატიკური ხმოვნის ხმარების ყველა ის შემთხვევა, რომელიც ძველ ქართულში არსებობდა და გამოვლინდა ახალ ქართულთან მიმართებით.

ლიტერატურა:

1. Дондуа К., К вопросу о род эмфатическом: Известия АН ССР, Отд. Гуманит. Наук, 1930.
2. ზურაბიშვილი თ., ემფატიკური -ა ახალ ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956.
3. Марр Н., Грамматика древнем тетурного языка, Ленинград, 1925.
4. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
5. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
6. შანიძე ა., მორფოლოგია, თბ., 1930.
7. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1942.
8. შანიძე ა., ძველი ქართული ენა, თბ., 1976.
9. შანიძე ა., თხზ. ტ. III, თბ., 1980.
10. ჩიქობავა ა., ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956.
11. ძოწენიძე ქ., ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956.
12. ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

რეზიუმე

მეათე საუკუნის ქართულ სასულიერო პოეზიაში ემფატიკური -ა-ს ხმარებას საზოგადო სახელებთან მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით ბრუნვებში და თანიან მრავლობითში სისტემური ხასიათი ჰქონდა, იგი დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ენის ნორმები მოითხოვს.

შეინიშნება ადამიანთა საკუთარი სახელების სავრცობიანი ფორმების გამოყენების შემთხვევები: **ქრისტჱსსა, ქრისტესა, აჰრონისსა...**

ნათესაობითში დასმული საზოგადო სახელი თუ არის კომპოზიტის ნაწილი, არ დაირთავს ემფატიკურ ხმოვანს. მაგ.: **ღმრთის-მეტყუელისა, მზი-თუალისა...**

მოქმედებითი ბრუნვა გამოყენებულია ადგილის გარემოების ფუნქციით. მაგ.: **მკვთრეთით.**

ზოგჯერ ემფატიკურ ხმოვანს არ დაირთავს ნათესაობითში დასმული მართული მსაზღვრელი. მაგ.: **ღმრთის** მგალობელთა;ბეჭდის საყოფელი.

იშვიათ შემთხვევაში ემფატიკური ხმოვანი არ აქვს მიცემით ბრუნვაში დასმულ საზოგადო სახელს. მაგ.: **ნათელს** ...

ერთმანეთის პარალელურად იხმარება ემფატიკურხმოვნიანი და არაემფატიკურხმოვნიანი გეოგრაფიული სახელები. მაგ.: **იორდანესა - იორდანეს; გალილეასა - გალილეას.**

THE EMPHATIC VOWEL IN THE TENTH CENTURY GEORGIAN CLERICAL POETRY

Mariam Koberidze, Full Professor

RESUME

Using of emphatic -a- with the common names into dative and active cases and into plural form (taniani form) had a systematic disposition in the tenth century religious poetry.

It is significant to see the proper names using the given forms: KristAssa, Kristesa, Ahronissa…

If the common name into the genitive case is the part of the composite, it doesn't adject the emphatic vowel. e.g. Ghmertis-Metkuelisa, Mzi-tualisa.

Active case is used with a function of modifier of place.F or example: Mkvdretit.

Sometimes adherent in genitive case is not added to the emphatic vowel.

In rare cases, common names which are in dative case, don't have emphatic vowel. For example: Natels .

Emphatic vowels and nonemphatic vowels are used parallelly with geographical names. For example: Iordanesa-Iordanes; Galileasa-Galileas.

საშემოსავლო ნუსხები და ტოპონიმიკური შენიშვნები ქსნის ხეობიდან

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სამთავისის მონასტერი მდებარეობს ლეხურის ხეობაში, მდინარის მარცხენა მხარეს. იგი ძველი დროიდან ქსნის საერისთაოს საეპარქიო ცენტრი იყო და მას განაგებდა სამთავნელი. სამთავნელს ჰქონდა თავისი შემოსავალი (სარგო) ეპარქიიდან და აღსანიშნავია ძველი დროის ნუსხა, რომელიც X საუკუნეშია შედგენილი. სამთავნელის სარგოში ჩამოთვლილი მდინარე ქსნისა და ლეხურის სოფლები, რომლებიც სამთავნელის სამწყსოს შეადგენდნენ. საერთოდ, ნუსხა წარმოადგენს არაბულ ტერმინს, რომელიც პირველ ხელნაწერს და დედანს ნიშნავს, პირისა და გადანაწერს ეწოდება. ივანე ჯავახიშვილი ასე განმარტავს: ნუსხისაგან ზმნაც და მოქმედი პირის სახელიც იყო ნაწარმოები. ნუსხვაჲ აღნიშნავდა მოქმედებას, რომლის აღმსრულებელს მნუსხველი ერქვა (ივ. ჯავახიშვილი, 1949).

თავის დროზე ტექსტი, რომელიც ნუსხურით იყო გადაწერილი ყოფილი საეკლესიო საბუთების კოლექციაში, ყურადღება მიაქცია ცნობილმა მეცნიერმა სარგის კაკაბაძემ და პირველად მანვე გამოაქვეყნა კრებულში (ს. კაკაბაძე, IV).

ძველ ნუსხას აქვს მინაწერი, რომელიც შესრულებულია ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთის მიერ: ...„მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან, პატრონმან შაჰნავაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან ზღუათა მეფის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმა მარიამ და ძეთა ჩვენთა ბატონისშვილმან ბატონმან გიორგი, ლევან, ლუარსაბ, სოლომონ.

სამთავისის ღვთაების საყდარს სამწყსოს დრამისა და შესავლის ძველთაგან განაჩენი წიგნი და გუჯარი ჰქონდა, ვნახეთ და დიაღ დაძველებული და ჩვენად სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად როგორც იმ ხატის სიგელში ეწერა, ისევ იმ რიგად და იმავე წესით განვაახლეთ და დაუმტკიცეთ სიგელი ესე (1673 წ.) (ს. კაკაბაძე, წ. IV).

ნუსხაში ჩამოთვლილია 44 სოფელი, სადაც ფულად გარდასახადად დასახელებულია ვერცხლი-დრამა. ვერცხლი საზოგადო მცნების ფულის გამომხატველია, დრამა კი ფულის კონკრეტული ერთეული. რადგან XIII საუკუნიდან ასეთი ერთეულის სახელწოდებად თეთრი იხმარება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნუსხა XIII საუკუნეზე ადრეა შედგენილი.

აღნიშნული წყარო მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, სადაც ვეცნობით ქსნისა და ლეხურის ხეობის სოფლებს, რომლებიც სამთავისის საეპისკოპოსოში შედიოდნენ. საუკუნეების განმავლობაში ბევრი დასახლებული პუნქტის სახელწოდება შეიცვალა სხვადასხვა მიზეზის გამო, ძირითადად კი უცხოტომელთა მოძალებით, მიგრაციით, ომებით, მაგრამ ბევრი ქართული სახელწოდება გადარჩა და ეს უნიკალური ძეგლისა და ჩვენი წინაპრების დამსახურებაა. დღეს ძველი დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა აღდგენას და სამეცნიერო სფეროში ჩართვას დიდი როლი ეკისრება ენის ისტორიის ფაქტების წარმოსაჩენად, და ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ძეგლში, რომელსაც შეიძლება

დავთარიც ვუწოდოთ, პირველად ნახსენებია სოფელი საძეგური, რომელსაც მართებდა დრამა, ქალამანი და საბელი. სოფელი ამ სახელით არის მოხსენებული შემდგომ 1774-1781 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობაში, ასევე ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების აღწერებში. დღეს საძეგური ორია საძეგური პირველი და მეორე, რომლებიც მდინარე ქსნის შუა წელის ორივე მხარეზე მდებარეობენ.

ნუსხაში იხსენიება იფნევი იევფნევის ფორმით, მაგრამ არ არის მოხსენიებული ქვენიფნევი, რომელიც ქსნის ხეობაში საძეგურის ახლოს მდებარეობდა და დღეს ნასოფლარია.

ცხავატი მოხსენიებულია ამ ფორმით და სხვა წყაროებშიც ამ ფორმითაა. განსხვავებულია 1781 წლის ქსნის ხეობის აღწერაში, სადაც ცხაოტის ფორმითაა მოცემული და იქ ცხოვრობდნენ: ბუნტური, კურდღლაშვილი, ჟივიძე, სუხაშვილი, მელთაური და სხვა გვარები. ეს გვარები ამჟამად არიან სოფელში. აღსანიშნავია, რომ ცხავატს მართებდა პური, რომელიც ცხავატელებს ხელოვნურად მოწყობილ ტერასებზე მოჰყავდათ და ეს ტერასები, ქვა-ყორეები დღესაც დაცულია.

დავთარში გვხვდება ლოგობეთი და შველეთი, რომლებიც ხეობის ზემო წელის სოფლები იყო და შემდგომ მათ ეწოდებოდათ ლაგოშეთი და შველიეთი. დღეს ორივე ნასოფლარია.

სოფლები ერუფაელი და საქორელი ქსნის მარჯვენა მხარეს მდებარეობდნენ, ბოლოს მათ ეწოდებოდათ ერუფა და საქორეთი, სადაც პავლიაშვილები ცხოვრობდნენ, უფრო ადრე კი 1774 წლის აღწერით ცხოვრობდნენ: ზარიძე, ბერისშვილი, ზაზასშვილი.

ისტორიული დადანეთი ანუ დღევანდელი დადიანეთი დიდი სოფელი ყოფილა, რომლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა დღესაც საინტერესოა, რადგან ისინი დასავლეთ საქართველოდან არიან მოსულები და შერეული ადგილობრივ მოსახლეობასთან. დაბაკნეთი ნუსხაში ამ ფორმით და მეორენაირად დაბ̈ინკნეთად არის მოცემული. აღსანიშნავია, რომ ̈ი-იოტა ბგერა ნარნარა ნ-ს წინ უჩეულოდ არის წარმოდგენილი. დაბაკნეთი ვახუშტისა და იოანე ბაგრატიონების „აღწერებში“ არა გვხვდება, ხოლო 1774 წლის ქსნის სტატისტიკაში მოყვანილია, სადაც ცხოვრობდნენ: ბაშარული, თეზელაშვილი, მასიკაშვილი, გიორგიშვილი. ძველი სოფელი ყოფილა სოსმალე, რომელსაც მართებდა პური და ყველი, ასევე ტყავი. დღეს ის ნასოფლარია ქსნის ზემო წელზე და მიკროტოპონიმს ეწოდება სოსმალეთები.

ჴარბელი, რომლის მეორე სახელი ჴარბლია, დღეს ხარაბალა ადრეც და ამჟამადაც საკმაოდ დიდი სოფელია, სადაც ძირითადად ქენქაძეები ცხოვრობენ.

ტექსტში დასახელებულია სოფელი ანრაწმიდული, რომელიც შესაძლებელია იყოს ანდრიაწმინდული, რომლის ე.ი. ანდრია მოციქულის კულტის გაძლიერება ქართულში მეცხრე საუკუნიდან არის ნაგულისხმევი წყაროებით საქართველოს მთელ რიგ ადგილებში. ქართულ მწერლობაში ბერძნულიდან არის შემოტანილი ცნობა მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, ქართლში ქრისტიანობის ქადაგების შესახებ. შესაძლებელია ხსენებული სოფელიც ყოფილიყო ქსნის ხეობაში. დღეს ამ სოფლის ლოკალიზაცია უცნობია.

ნუსხით დასახელებულია სოფელი გოგოეთი ქარჩოხის ხეობაში, რომელსაც მთელი რიგი გამოსაღები მართებდა. დღეს ძველი სოფელი ნასოფლარი გოლგოლეთია, სადაც 1781 წლის ქსნის ხეობის აღწერით ცხოვრობდნენ: ბერისშვილი, ბეჟუასშვილი, ნადირისშვილი, ოთარასშვილი. ხოზოთი დღეს ხოზოეთია, სადაც მეთვრამეტე საუკუნის აღწერებით ცხოვრობდნენ: ობგაძე, გამხიტაშვილი, გაროზაშვილი, დღეს ნასოფლარია. ნუსხის მიხედვით ქსნის საერისთაოს ცენტრი ლარგუს ფორმით არის მოხსენიებული, რომელიც შემდგომ ძეგლებში ლარგვისია. 1774-1781 წლების ქსნის ხეობის აღწერით არის ლარგვის მონასტერი და მონასტერი. ნუსხის მიხედვით სოფელს არა მართებდა გამოსაღები და მისი ძირითადი მოვალეობა იყო, რომ წინამძღვარს კურთხევა ჩაეტარებინა და დიაკვანი ეკურთებინა. ლარგვისის ეტიმოლოგია სვანური ენის მიხედვით არის ახსნილი.

დღეისათვის საჭიროა ნუსხაში მოყვანილი სოფლების: დგიმის, სოსხვიტის, დასწყაროს, კლდეთის, ბეღლეთის, წინუბნის, საღორეთის, წითროლეთისა და სხვების ლოკალიზაცია და ეტიმოლოგია.

აღსანიშნავია, რომ ნუსხაში მეჯუდის ხეობის სოფლები: არდისი, წალდევი, ისროლი, ჯავახთა, საბრკლეთი, შთონოეთი, ასევე ნასოფლარები ლეხურის ხეობაში არიან მოხსენიებული რაც უზუსტობაა.

ლეხურის ხეობაში ნუსხის მიხედვით ჩამოთვლილი სოფლები, რომლებსაც სამთავნელისათვის მართებდათ გამოსაღები, ესენია: ქუითკირი, დღევანდელი ქვითკირი, ჩრდილათთა, დღევანდელი ჩრდილეთი, ფითესი, დღევანდელი ნასოფლარი ფიცესი, წოლი, ზელოვანი, ნასოფლარები არმაზი, წინზახორი, უკანწირი, წირი, ქვემო წირი, ქარტისი, ტბეთი, კორსალი.

აქვე დასახელებულია ორი ბოსელთა, ერთი თრუსოს ხეობაში, მეორე კი ლეხურის სათავეში მთაწმინდის ბოსელთა.

მთაწმინდა მდებარეობს მდინარე ლეხურის სათავის ცხრაწყაროს მარცხნივ, რომლის თავზეც ეკლესიის ნანგრევებია. დაბლა ჩრდილოეთის მხარეს იყო სოფელიც. სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ასურელ მამებს, რომლებიც შუამდინარეთიდან მოვიდნენ მეექვსე საუკუნეში და სამონასტრო ცხოვრება წამოიწყეს. ჩანს, რომ ამ მხარეშიც ყოფილა საეკლესიო მოღვაწეობა გაჩაღებული.

დასასრულ საჭიროა აღწერაში მოცემული მასალების სრული სურათის წარმოჩენა, ენობრივი და ისტორიული ელემენტების, დიალექტოლოგიური საკითხების მოგვარება, რაც, ჩვენი აზრით, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ხეობების ტოპონიმიკის კვლევის გზაზე.

ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949.
2. კაკაბაძე ს., საისტორიო კრებული, წ. IV, 1929.
3. ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბ., 1967.
4. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი, ქართლი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, ტფ., 1895.
5. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986.

რეზიუმე

მდინარე ლეხურის ხეობაში მდებარეობს სამთავისის მონასტერი, რომელიც ძველი დროიდან ქსნის საერისთაოს საეპარქიო ცენტრი იყო და მას განაგებდა სამთავნელი. მეათე საუკუნეში არის შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია ქსნის, ლეხურის, მეჯუდის ხეობების სოფლები, რომლებიც სამთავისის ეპარქიაში იყვნენ და ევალებოდათ გარკვეული გადასახადის (სარგო) გადახდა სამთავნელისათვის.

დოკუმენტში (ნუსხაში) ჩამოთვლილია 44 სოფელი, სადაც ფულად გადასახადად დასახელებულია ვერცხლი, დრამა. ვერცხლი საზოგადო მცნების ფულის გამომხატველია, დრამა კი ფულის კონკრეტული ერთეული.

საუკუნეების განმავლობაში ბევრი დასახლებული პუნქტის სახელწოდება შეიცვალა სხვადასხვა მიზეზის გამო, ბევრი კი გადარჩა, რაც ზემოხსენებული დოკუმენტის დამსახურებაა, ჩვენ წინაპრებთან ერთად.

დოკუმენტში მოხსენებული ბევრი სოფელი დღეს სახეშეცვლილია, მაგალითად ლოგობეთი დღეს ლაგოშეთია, საქორელი - საქორეთია, დადანეთი - დადიანეთია, გოგოეთი - გოლგოლეთია, ხოზოეთი - ხოზუეთია და სხვა. ბევრი ძველი სოფლის ლოკალიზაცია კი საუკუნეების გასვლის გამო გაძნელებულია.

INCOME RECORDS AND TOPONYMIC NOTES FROM KSANI GORGE

Nikoloz Otinashvili, Associate Professor

RESUME

Samtavisi Monastry is situated in the gorge of the river Lekhura which was the eparchial centre of Ksani County since the old times and was ruled by Samtavneli. In the tenth century a document was made where the villages of Ksani, Lekhyra and Medjuda Gorges were mentioned which belonged to the Samtavisi Eparchy and were supposed to pay certain taxes to Samtavneli.

In the document there are given 44 villages where the silver – drama is named as the tax. Silver is a general term meaning a kind of money, but drama is a concrete name of money.

During the centuries many names of villages were changed due to different reasons, but many of them remained owing to that document and our ancestors' efforts.

The names of many villages mentioned in the records have been changed a little for example Ligobeti has become Lagosheti, Sakoreli changed into Sakoreti, Dadaneti sounds as Dadianeti, Godoeti – Golgoleti, Khozoeti – Khorueti etc.

But many old names of the villages are difficult or impossible to be localized – so many centuries passed by.

ლიტერატურა
Literature

გრიგოლ რობაქიძე ქართული ენის შესახებ

თამარ გოგოლაძე, სრული პროფესორი

გრიგოლ რობაქიძე (1880-1962) ერთი იმ მწერალთაგანია, რომლისთვისაც ქართული ენის პრობლემები თითქმის აუცილებელი შემადგენელია ჰიპოსტასისა, ილია ჭავჭავაძემ რომ ჩამოაყალიბა: „ენა, მამული, სარწმუნოება“, თუმცა ერთგვარი განსხვავებით, რომ თითოეულის უკან იგი ქართველი ერის სრულ ისტორიას გაისიგრძეგანებს, წარმართული ეპოქიდან XX საუკუნემდე. როგორც აკაკი ბაქრაძე შენიშნავდა: „გრიგოლ რობაქიძე არ ხედავდა დაპირისპირებას ქართულ წარმართობასა და ქართულ ქრისტიანობას შორის. ჩვენში ქრისტიანობა წარმართობის უშუალო გაგრძელება-განვითარებად მიაჩნდა.“ (ბაქრაძე 1999:95). სწორედ აქედან გამომდინარე, ქართველთა ყოფიერების მეტაისტორიული აზრის ძიებაში გრ. რობაქიძე ცდილობს „ქართულ მითოსსა და ქართულ ენაში... იპოვნოს ქართველთა მსოფლხატის თაურარსი“ (ბაქრაძე 1999:87). ამისათვის მწერალმა გერმანელი პოეტის გოეთეს ურფენომენში (თაურმოვლენაში) („რომელიც უგენიალესი ცნაურებაა დასავლეთის კულტურაში გონისა“) ეპოვა თავისეული, ქართული გონის გამოხატულება „კარდუს“ სახით: „ქართული მსოფლხატის შუაგულში გრიგოლ რობაქიძე აყენებს კარდუს. ქართულ წარმართულ პანთეონში კერპს ამ სახელწოდებით ვერ შევხვდებით“ (ბაქრაძე 1999:89). ამიტომაც მწერალს მიუმართავს სიტყვათქმნადობისათვის (ისევე, როგორც Urfenomen-ს მოუძებნა ქართულად თავისებური „თაურფენომენი“ - პირველფენომენი, თაურქმედება, თაურხილვა), „აუღია ქართველთა ეთნარქის სახელი ქართლოს, მოუცილებია ბერძნული დაბოლოება - ოს, მიუღია ქართუდ, მაგრამ მისი ჟღერადობა მეტად რბილად მოსჩვენებია. მერე კარდჰუდ გადაუკეთებია, ეს კი ხერხემალმაგარი გამოსულა - ამიტომ, წერისა და საუბრის დროს, ხან ამ ხერხემალმაგარ კარდჰუს იყენებს და ხან უფრო ზომიერ კარდუს“ (ბაქრაძე 1999:89).

კარდუ არის მწერლისათვის მისტიკური თაურმდგენი და დგას მზის ნიშანში. იგი უშუალოდაა დაკავშირებული მითოსთან, რომელიც „უფრო აზროვანია“, ვიდრე ისტორიული, ერთსხეულად საერთო სული: აღმოსავლური საშო, სადაც მიწა „დედაა“ წმინდა, ისტორია უძველესი, რომელიც თავის ათასწლეულიან სიგრძეზე აგროვებს ქმედით ცოცხალი ხსოვნას (ანამნეზისას), აქაა საქართველოს არსი. ეს ცხადდება: ქართულ ხასიათში, ქართულ სიტყვაში, ქართულ სილაღეში, ქართულ ერქვანში, ქართულ ხმალში, ქართულ სიმღერაში (რომელიც ღმერთკაცებისაა“ - გრ. რობაქიძის პაპავასადმი მიწერილი წერილიდან იმ ამონარიდს გვთავაზობს აკაკი ბაქრაძე, რომელიც თავის „კარდუში“, თითქმის პირველად მკვლევართაგან, ამახვილებს ყურადღებას გრიგოლ რობაქიძის მიმართებაზე ქართულ ენასთან და მის მიზეზებზე. (ბაქრაძე 1999:89).

აქვე ა. ბაქრაძე მიანიშნებს იმ თხზულებებზე, რომლებშიც „მითოსისა და ენის საშუალებით“ მიგნებულია მისი დასკვნები. „საქართველოს სათავენი“, „უცნობი საქართველო“, „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ და „კავკასია. სილუეტები“.

ჩვენის მხრივ კი დავუმატებდით შესავსებად წერილებს. „მზის ხანა ქართველთა“, „საქართველოს ხერხემალი“, „საკრალური წყობა“, „დავით აღმაშენებელი“, „მარჯი საქართველოს“, „მიხეილ წერეთელი“ და 1928 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყოველთვიურ ლიტერატურულ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ სილოვან ხუნდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი „სილოვან ხუნდაძე“.* ა. ბაქრაძე წვდება მწერლის აზრს, რომ კარდუს გამოსავლენად აუცილებელია მითოსი და ენა, რამდენადაც „მითმა არ იცის წარსული და მომავალი. იგი აბსოლუტური აწმყოა. თუ ეს ასეა, მაშინ ბუნებრივია ის, რომ, რაც მითიურში არსებობს, არსებობს დღესაც. რა არსებობდა მითიურად, რომ დღესაც შეიძლება არსებობდეს? ამის ამოსაცნობად ქართულ ენას მიმართავს. თუ ქართული ენა ქართველი ხალხის შინასახის ამოცნობაში დაეხმარება, მაშინ კარდუს შინასახეც

* ეს წერილი პირველად გამოქვეყნებიდან 60 წლის შემდეგ დაიბეჭდა ჩვენს მიერ გაზეთ „სახალხო განათლებაში“, 1989 წლის 8 თებერვალს (თ. გ.)

გამოვლენილი იქნება, რამეთუ „ქართული ენის ავტორი კარდჰუ არის, ქართველთა მითიური „თაურმდგენი“ (ბაქრაძე, 1990:90). ამიტომ ქართულ ენასთან დაკავშირებულ კვლევას ა. ბაქრაძე გრ. რობაქიძისეული ოთხი სიტყვის გამაერთიანებელი „ცხ“ კომპლექსით იწყებს: სიცოცხლე, ცეცხლი, ცხენი და ცოცხი. „ამ სიტყვებს - აღნიშნავს ა. ბაქრაძე, - ერთი ფუძე აქვთ. ისინი ერთი დაფარული აზრის მატარებელნი არიან. ცეცხლი და ცხენი კარგად ცნობილი სიმბოლოებია. ორივე მზესთანაა დაკავშირებული. ცეცხლი გამოხატავს მზის ცხოველმყოფელ, გამანაყოფიერებელ, განწმენდ ძალას. სიცოცხლის განახლებას, ენერგიას, ძლიერებას, ცხენიც ამბივალენტური სიმბოლოა... სრულად ბუნებრივია, რომ ქართულ ენაში სიცოცხლეს, ცეცხლს, ცხენს ერთი და იგივე ფუძე აქვს. მაგრამ როგორ უკავშირდება მათი ცოცხი? აქ გრიგოლ რობაქიძე ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ცოცხით ჰგვიან, ხვეტენ, ან წმენდენ. ... გრიგოლ რობაქიძისათვის არსებითი სხვა რამ არის: სიცოცხლის კავშირი სიწმინდესთან... „სუფთა და „წმინდა“ იდენტურია. მოკლედ: „სიცოცხლე „ცეცხლოვანია და ამასთანავე წმინდა“ („გრაალის მცველნი“) (ბაქრაძე 1999:91-92).

აქვე გაწმენდის გვერდით „წვაც“ იგულისხმა გრ. რობაქიძემ. ძველ ქართულ ენაში „წვას“ ერქვა „ღუდვა“, „მღვდელიც“ აქედან მომდინარეობსო.

ასე უკავშირებს გრ. რობაქიძე მზეს, მზის თვალს, მზერას ერთიმეორეს, რასაც მივყავართ, ა. ბაქრაძის განმარტებით, სულხან-საბა ორბელიანისეული ღმერთის განსაზღვრასთან, რომლის მიხედვითაც „ღმერთი გადმოითარგმნების ხედვა და წვა“. და, რომ ქართველისათვის მზე, ღმერთი ერთი და იგივეა, ამიტომ ამბობს ქართველი: ჩემმა მზემ, ჩემმა ღმერთმა. „მაგრამ ქრისტიანულ ეპოქაშიც მტკიცედ ზის ქართველის ცნობიერებაში და ხილულ მზესა და უხილავ ღმერთს ათანაბრებს“ (ბაქრაძე 1999:93).

აქედან გამომდინარე „ქართველისათვის ხელისუფლება საკრალურია“, ხელმწიფე არამარტო სიმწიფეს უკავშირდება, არამედ უფალსაც, ღმერთსაცო“ (ბაქრაძე 1999:93). ეს კი განსაკუთრებით იკვეთება გრ. რობაქიძის წერილში: „დავით აღმაშენებლი“: მითიური რეალობის ისტორიულ პიროვნებად ქცევა - „არ არის შემთხვევითი ამბავი წიაღში იმ ხალხისა, რომლის მდგენის პირველ ხილვით მფლობელი „მწიფე ხელიანია“, ესე იგი ხელკურთხეული და ხელმადლიანი. ერთხელაც არის „ხელ-მწიფე“ უნდა მოვლენილიყო. დავით აღმაშენებელი არის ხელმწიფე შენი გაგებით, კარდუ, და როგორც ასეთი: მღვდელი და მეფე ერთსა და იმავე დროს“ (რობაქიძე 2012:45).

საკუთრივ ენის სააზროვნო ფუნქციაზე ამახვილებს ყურადღებას გრიგოლ რობაქიძე წერილში: „საქართველოს ხერხემალი“, რომელიც ნიკოლო მიწიშვილის წერილის („ფიქრები საქართველოზე“) პასუხად დაიწერა.

ქართული გენის, ქართული კულტურის აღმატებულ ხარისხში დასახასიათებლად გრ. რობაქიძე მიწიშვილს მოაგონებს გერმანელთა მიერ ლუთერის „ბიბლიის“ მშობლიურ ენაზე თარგმანისათვის გენიალურობის მიკუთვნებას და თუ ეს ასეა, „რა დააშავეს ჩამოთვლილმა მამებმა (ექვთიმე, იოანე, გიორგი მთაწმინდელებმა, ეფრემ მცირემ, რომელთაცო „ცალკე მონოგრაფია სჭირდებათო“), რომლებმაც იგივე „ბიბლია“ ქართულად სთარგმნეს და მერე როგორ! სლუტერის თარგმანი თუ არის ენის - ქმნა, მთაწმინდელების თარგმანიც ენის ქმნაა ნამდვილი. თუ რომელი უფრო მძაფრი ქმნაა, ეს კიდევ სადაოა“ - ასკვნის გრ. რობაქიძე (რობაქიძე 2012:32-33).

ენის - ქმნადობას ამჩნევს ავტორი სხვათა მეტყველებაში და პროვინციალიზმში კი ხედავს ერის მთლიანობას, ამავდროულად მისი სხვადასხვა კუთხის ორიგინალობას, სწორედ ამიტომ მიანიშნებს მკითხველს მწერალ დავით კლდიაშვილისათვის მეტად დამახასიათებელ იმერიზმზე, „უცნოურია“ (წერილში „დავით კლდიაშვილი“) და მიხეილ წერეთლის „ბავუშოო“ (მოგონებიდან „მიხეილ წერეთელი“). მ. წერეთელთან დაკავშირებულ ერთ ეპიზოდში მის მიერ სიტყვის „ბავუშოო“-ს გამოყენებას უწოდებს „ზემოიმერული კილოს ერთგვარ „აკამათლებას“ (აღნიშნულ სიტყვას მწერალი თვითონაც არაერთხელ მიმართავს თავის წერილებში).

საზღვარგარეთიდან ეხმაურება გრ. რობაქიძე 1950 წელს მოსკოვში ენის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიას და მკაცრად აკრიტიკებს ენგელსისეული განსაზღვრას ენის შესახებ: რომ ენა არის „საშუალება ურთიერთშორის გაგებინებისაო“, ეს თვისება, მწერლის აზრით, გააჩნიათ პირუტყვებს. მხოლოდ ადამიანთა ენას აქვს აზროვნების ფუნქცია, რაც სხვა არ გააჩნია. ამას გრ. რობაქიძე ხსნის იმით, რომ ბოლშევიკებს არ ესმით, რა არის ხალხი და არა სწამთ იგი „ენა აზროვნობს, ბევრად უფრო ღრმად, ვიდრე ცალკეული პიროვნება: (რობაქიძე 2012:206). ამიტომ მოუწოდებს მწერალი ქართველებს, ჩაწვდნენ „ცოცხალ ფესვებს საქართველოისა, მის გენიალურ ენას, მის უნივერსალურ მითოსს, მის ჰეროულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს სიცოცხლის. ჩაწვდით ამ ფესვებს და ფესვები არწივის ფრთებად აგესხმებათ და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას, თავის-უფალი, გესმის, რა გულისხმიერი სიტყვაა“

(რობაქიძე 2012:207). აქედან ენის, ფესვების ძიებით მისი წვდომით გზის გაკაფვა თავისუფლებისაკენ - ასეთია მწერლის თვალთახედვა.

სილოვან ხუნდაძისადმი მიძღვნილი წერილიც ენის საკითხებს ეხება. ცნობილი გრამატიკოს - ფილოლოგი, კრიტიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი და პედაგოგი სილოვან თომას ძე ხუნდაძე (1860-1928) ქუთაისის ქართული გიმნაზიის ერთ-ერთ- ფუძემდებელი და 3 ათეული წლის მანძილზე მისი დირექტორი იყო. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, იყო სალიტერატურო ენის კანონებისა და ნორმების ერთ-ერთი პირველი დამდგენი, ავტორი შრომებისა „ქართული ზმნები“, „სალიტერატურო ქართული“, „ქართული გრამატიკა“ „ქართული მართლწერა“, „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ და სხვ. გრ. რობაქიძე თავის წერილში ცდილობს გამოკვეთოს ს. ხუნდაძის როლი სალიტერატურო ენის შესწავლაში, მაგრამ აქვე მწერალი ფრთხილობს ს. ხუნდაძისა და ა. შანიძეს შორის გამართული პოლემიკის ირგვლივ. „მე განზე ვტოვებ პოლემიკას და მის კილოს“ და აყალიბებს საკუთარ თვალსაზრისს სალიტერატურო ენისა და დიალექტის ურთიერთობის საკითხებზე.

ენას მწერალი კიდევ ერთ მახასიათებელს უძებნის: ეს, გრ. რობაქიძის აზრით, არის „იმთავითვე მსოფლიო ჭვრეტა თუ ხედვა“ და თვლის, რომ ამ კუთხით ქართული ენა გამორჩეულია. დროის ნიუანსების გადმოცემის თვალსაზრისით აქაც გრიგოლ რობაქიძე აყენებს ქართული ენის ფილოსოფიურ ასპექტში კვლევის აუცილებლობას: „უთქვამს“ ან და „ეთქვას“, ან კიდევ ფორმა, საცა აწმყო მომავალში გადადის, არის ისეთიც, საცა წარსულში მომავლის ფორმაა მოცემული (თითქმის გადატანილი), საერთოდ: ქართული ზმნა ელის ფილოსოფიურ კვლევას - თუ როგორ წარმოადგენს დროს ქართველი თავისი ზმნებით“ (რობაქიძე 1989:4).

ენის ისტორიის შესწავლისას მწერალი ხედავს, რომ არსებობს გარკვეული განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის. აქედან გამომდინარე, გრ. რობაქიძე (ნაწილობრივ ეთანხმება ს. ხუნდაძის თვალსაზრისს) აყენებს საკითხს სალიტერატურო ენის „ამერის“ გარდა „იმერის“ დიალექტური მასალით შევსებისა, რასაც იმით ასაბუთებს, რომ „იმერმა“ უფრო შემოინახა ძველი ქართული ფორმებიო.

მწერალი ცდილობს გახსნას „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ტაეპში (ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“) მოხსენიებული „ნეხვი“, რომელიც „ახლაც ნაკელი ჰგონიათ, გურიაში მითხრეს: „ნეხვი“ მყრალ ყვავილსაც ჰქვიაო. თუ ეს ასეა, მაშინ რუსთველის პოეტური პარალელიზმიც იქნება უფრო მეტად და უფრო მძაფრად გამართლებული“ (რობაქიძე 1989:4).

მწერალი თვლის, რომ ქართულ ენაზე დეპეშის სტილი არასწორია და, ალბათ, საჭიროა ამ საკითხზე მუშაობა.

გრ. რობაქიძის აზრით, ქართული ენა „გამარტივებისაკენ“ მიექანება, ამიტომ, საყურადღებოდ მიიჩნევს ს. ხუნდაძის წვლილს ქართული ენის კვლევის საქმეში.

აშკარაა, გრ. რობაქიძის ჩაკვლევები ქართული სიტყვის ეტიმოლოგიაში, მისი ფესვების ძიების საკითხი მარტო ამ მწერლის თვალთახედვით არ უნდა იყოს გაპირობებული და იგი შემდგომ შესწავლას საჭიროებს მისი სრული შემოქმედების, ეპისტოლარული მემკვიდრეობის ანალიზის ფონზე.

ლიტერატურა:

1. რობაქიძე გრ., „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“ (კრებული), თბილისი, „ჯეკ-სერვისი“, 1996;
2. რობაქიძე გრ., (სერიით „ქართული სიტყვიერება“ ტ. 10), თბ., 2012;
3. ბაქრაძე ა., „კარდუ“, „ლომისი“, თბ., 1999;
4. რობაქიძე გრ., „სილოვან ხუნდაძე“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1989 წ. 2 თებერვალი.

რეზიუმე

გრიგოლ რობაქიძე ერთი იმ მწერალთაგანია, რომლისთვისაც ქართული ენის საკითხები თითქმის აუცილებელი შემადგენელია ჰიპოსტატისა, ილია ჭავჭავაძემ რომ ჩამოაყალიბა: “ენა, მამული, სარწმუნოება”. თუმცა იმ განსხვავებით, რომ თითოეული მათგანის უკან, რობაქიძე ქართველი ერის სრულ ისტორიას გაისიგრძეგანებს წარმართული ეპოქიდან XX საუკუნემდე, ასე წარმოგვიდგება კიდეც მისი შეხედულებანი ქართულ ენაზე, ქართული სიტყვის ეტიმოლოგიაზე პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ წერილებში “საქართველოს ხერხემალი”, “მზის ხანა ქართველთა”, “საკრალური წყობა”, “დავით აღმაშენებელი”, “მარჯი საქართველოს”, “მიხეილ წერეთელი” და სხვა.

1950 წელს მოსკოვში გამართულ დისკუსიაზე ენის დეფინიციისათვის ენგელსისეული ფორმულის (ენა "საშუალება ურთიერთშორის გაგებინებისა") საპირისპიროდ, გრიგოლ რობაქიძე გამოკვეთს ენის იმ სპეციფიკურ თვისებას, როგორიცაა მისი საზროვნო ფუნქცია და მოუწოდებს ქართველ ერს ჩაწვდეს საქართველოს ცოცხალ ფესვებს: "მის გენიალურ ენას, მის უნივერსალურ მითოსს, მის ჰეროულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს, მის სიცოცხლისა";

სწორედ აქედან გამომდინარე, მწერალი ცდილობს, თითოეული თუ არა, ზოგიერთი ქართული სიტყვის არსი ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაში მოიძიოს.

მიმოიხილავს რა ნიკოლო მიწიშვილის წერილს "ფიქრები საქართველოზე", გრიგოლ რობაქიძე მთაწმინდელების თარგმანს "ენის-ქმნას" უწოდებს და გამოკვეთს მათ გენიალობას;

დიალექტთან მიმართებაში გრგოლ რობაქიძე მეტ-ნაკლებად თავისუფალია, რამდენადაც სწორედ პროვინციალიზმში ხედავს ერის მთლიანობას. და, ამავდროულად, მისი სხვადასხვა კუთხის ორიგინალობას.

GRIGOL ROBAKIDZE ABOUT THE GEORGIAN LANGUAGE

Tamar Gogoladze, Full Professor

RESUME

Grigol Robakidze is one of the writers for whom the problems of the Georgian Language are almost necessary parts of the hypostate formed by Ilia Chavchavadze: "Language, Motherland, Faith". Though there is difference- in each of them Robakidze cognizes the full history of the Georgian nation from the pagan epoch to the XX century. His views on the Georgian language are presented in this way in the publicist or literary letters about the etymology of a Georgian word "The Spine of Georgia", 'The Sun Period of the Georgians", "Sacred Formation", "Davit the Builder, "Mikheil Tsereteli" etc.

In 1950 in the discussion held in Moscow about the definition of a language on the contrary to the formula of Engels (Language-means of mutual comprehension) Grigol Robakidze underlines the specific feature of the language such as the function of thinking and appeals the Georgian nation to penetrate the living roots of Georgia, its genial language, universal mythos, heroical adventure, its pure style."

Just for this the writer tries to investigate the essence of some Georgian words in the pagan period.

Discussing the letter "Thoughts about Georgia" by Mikolo Mitsishvili, Grigol Robakidze outlines their greatness and calls "language-creation" to the translations by the Mtatsminelis.

In connection with the dialects Robakidze is more or less free as just in the provincialism he sees the union of the nation and at the same time the try of each part of Georgia to be original.

ვანო ჩხიკვაძის ნოველა - „ახადელების რძალი“ (ანალიზი)

მარინე ცერცვაძე, სრული პროფესორი

ჩვენს ეპოქაში, თანამედროვე მატერიალისტური ცივილიზაციის მეშვეობით, უკვე ყოველგან აღწევს ის დამშლელი ძალები, რომლებიც ემტერებიან ტრადიციულ სულს; ეს ბუნებრივია, რადგან ტრადიციული სული არის ის ძალა, რომელიც წარმავალს წარუვალთან აერთიანებს, გარეგანს - შინაგანთან, რღვევადს - ურღვევთან. ამ მხრივ ტრადიცია ფერდობზე გაშენებულ მცენარეულ საფარს ჰგავს, როგორც ეს უკანასკნელი იცავს ნიადაგს წალეკვისაგან, ისევე იცავს ტრადიცია მიწიერ არსებობას გაქარწყლებისაგან. ამდენად, ის „ცივი ომი“, რომელსაც თანამედროვე სული უკვე მსოფლიო მასშტაბით აწარმოებს ტრადიციული შეგნების წინააღმდეგ, სხვა არაფერია, თუ არა მომასწავებელი ნიშანი იმისა, რომ მიწიერი კაცობრიობა საბოლოო დაშლა-რღვევისკენ მიექანება. ამ სიტყვების ავტორი, თამარ ჯაყელი, მიმოიხილავს რა რენე გენონის დიდ ტრიადას, მხოლოდ კათოლიკე ეკლესიას ავალებს ამოქმედდეს ამ

პროცესის საწინააღმდეგოდ: „ამ საყოველთაო რღვევის პირობებში, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, კათოლიკე (ანუ უნივერსალური ხასიათის) ეკლესიას ევალება ამოქმედდეს“. [1, გვ. 202]

ჩვენ შევეცდებით, კათოლიკე ეკლესიასთან ერთად, აღვნიშნოთ მწერლის უდიდესი როლი - დააკავშიროს წარმავალი წარუვალთან, რღვევადი - ურღვევთან. სწორედ მწერალია ის მცენარეული საფარი, რომელიც იცავს წალეკვისაგან ყოველივე ღირებულს.

თუმცა კომპიუტერი სულ თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ იმ გამთიშველ და დამშლელ ძალად, რომელიც ემტერება ტრადიციულ სულს, განვიხილოთ საწინააღმდეგო პროცესი და აქაც მწერლის უდიდესი ღვაწლია აღსანიშნავი.

2006 წელს გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი „წერო“, რომლის პირობების მიხედვით მწერლებს უნდა გადაეგზავნათ მოთხრობები საიტზე Literatura.ge. ახალგაზრდები, (არა მარტო ახალგაზრდები), კომპიუტერის ძირითადი მომხმარებლები (და არა კომპეტენტური ჟიური) აფასებდნენ თითოეულ მათგანს.

ვანო ჩხიკვაძეს უამრავ ლიტერატურულ კონკურსში აქვს მოპოვებული წარმატება, ზემოთქმულის მიხედვით, მე ძალიან დიდ მიღწევად მიმაჩნია ისეთ კონკურსში გამარჯვება, როგორიც „წეროა“, რადგან თუ იმ ნაწარმოებების ფონზე, რომლებიც ამ კონკურსისადმი მიძღვნილ კრებულშია დაბეჭდილი, ახალგაზრდობა ირჩევს და საუკეთესოდ მიიჩნევს ვანო ჩხიკვაძის მოთხრობას „ახადელების რძალი“, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიწიერის კაცობრიობა, რომელიც საბოლოო დაშლა-რღვევისაკენ მიექანება, ეკლესიასთან ერთად მწერალმაც გადაარჩინოს და ის „ცივი ომიც“ მოვიგოთ, რომელიც ტრადიციული შეგნების წინააღმდეგაა მიმართული.

კრებულში „წერო“ არ არის მითითებული, დაბეჭდილი მასალა რომელ ჟანრს განეკუთვნება, ვანო ჩხიკვაძეს მიაჩნია, რომ „ახადელების რძალი“ ნოველაა. ვნახოთ, როგორ განმარტავენ ნოველას და აკმაყოფილებს თუ არა სტატიაში განხილული ნაწარმოები ამ მოთხოვნებს.

ნოველაზე, როგორც ჟანრზე საინტერესო მოსაზრებები ეკუთვნის გოეთეს. მის „გერმანელ მოგზაურთა საუბრებში“, ნაწარმოების მოქმედი პირები მსჯელობენ ნოველის ესთეტიკურ ბუნებაზე და გამოთქვამენ თეორიული ხასიათის შენიშვნებს: რომ ნოველის მახასიათებელი არ უნდა იყოს ყოველდღიურობა, ყოფითობა. მას უნდა ჰქონდეს რაღაც სიახლის, უჩვეულობის ელემენტი.

იმავ დროს ეს „უჩვეულობა შესაძლებლობის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს. უნდა აღიქმებოდეს როგორც „შესაძლებელი“ და არ უნდა გადადიოდეს ფანტასტიკაში, „შეუძლებელში“. ნოველა, ძირითადად, მკითხველის წარმოსახვაზე უნდა ზემოქმედებდეს და არანაირ მნიშვნელოვან ამოცანას არ უნდა უსახავდეს მის გონებას.

ნოველა - „ერთი უჩვეულო შემთხვევა“ ასეთია გოეთეს ფორმულირება.

პაულ გეიზეს აზრით კი, ნოველისთვის აუცილებელია: მოქმედების ერთიანობა, მხოლოდ ერთი კონფლიქტი, სიტუაციის სიმძაფრე, მკვეთრი სილუეტები. [3, გვ. 292]

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ახადელების რძალი“ ნოველაა. ავტორმა კარგად იცის, რომ ახალი, სრულიად ახალი პრობლემა, რომელიც არავის მოსვლია თავში, არ არსებობს, მაგრამ ცდილობს ახსნას ის რთული ფენომენი, ადამიანის შინაგან ბუნებასა და იმ მდგომარეობას შორის რომ არის, რომელშიც ზედსაწიერის მიერ ვართ ჩაყენებული. ნოველაში არ არის აღწერილი მთავარი მოქმედი პირის გმირული სიკვდილი, ის, ერთი შეხედვით, სრულიად უსახელოდ, უაზროდ იღუპება. ის, რომ ახადელების გიორგის არაკაცის ტყვია კლავს, უჩვეულო და დაუჯერებელი არ უნდა იყოს არავისთვის, რადგან სულ მალე ასობით ქართველი ბიჭი გაიზიარებს მის ბედს.

როგორც ნოველის ჟანრი ითხოვს, „ახადელების რძალი“ მართლაც არის ერთი უჩვეულო შემთხვევა, როდესაც მხრებზე ჩამოცურებული ძაძა გოგოს ფეხებთან შავად შეგუბდება და ახადელების საპატარძლოს თეთრი საქორწინო ფატა ჩამოეშლება ანგელოზივით სახეზე, სიტუაციას ამძაფრებს კატეგორიული მოთხოვნა „მღვდელო, დაგვწერე ჯვარი“. მამა ელიზბარი კი თავზარდაცემულია „ჯვარი?“ როგორ, რანაირად… არსმენილა, არგაგონილა და ართქმულა“, მაგრამ დაემორჩილება შექმნილ სიტუაციას და მორჩილს საცეცხლურს ჩამოართმევს“. [5, გვ. 37]

თავზარდამცემია სიტუაციის სიმძაფრე და მკვეთრი სილუეტი - საქორწინო სამოსში გამოწყობილი მგლოვიარე საპატარძლო.

ამრიგად, ის მოთხოვნები, რაც ნოველის განმარტებაშია დაფიქსირებული, მთლიანად ემთხვევა ნაწარმოებში განვითარებულ პერიპეტიებს.

იმის მაცნედ, რომ გიორგი დაიღუპა, აფოფრილი ცხენი ბრუნდება სახლში, სადაც საპატარძლოს თეთრ კაბას უკერავენ და კვირის ბოლოსათვის ქორწილისთვის ამზადებენ, მაგრამ მოხდა ტრაგედია და სასიძო დაიღუპა, თუმცა არც თუ ისე უსახელოდ, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს,

რადგან ეს საზღვრისპირა სოფელია, და უკვე იგრძნობა, რომ იწყება ის ძმათამკვლელი ომი, რომელმაც შემდეგ უმართავი ხასიათი მიიღო და როგორ დამთავრდა, დღეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ეს არ იქნება ჩვენი განსჯის საგანი. ჩვენ შევეცდებით შევაფასოთ ის შთაბეჭდილება, რომელსაც მოთხრობა ახდენს რიგით მკითხველზე და არა კრიტიკოსზე. მწერალი ყურადღებას საპატარძლოზე გადაიტანს. ის არის მთავარი მოქმედი გმირი, ამ პატარა გოგონას სუსტ მხრებზე უნდა გადაიაროს იმ უდიდესმა დატვირთვამ, რომელიც დაუპირისპირდება ყოველგვარ გამთიშველ და დამშლელ ძალას და დაიცავს ტრადიციულ სულს.

ჰერმან ჰესეს მიაჩნია, რომ „ჩვენს დროში ნებისმიერი ხალხის უდიდესი ნაწილი უსიხარულოდ და უსიყვარულოდ მოუყვება თავისი ცხოვრების გზას, სალუქი სულის ადამიანებს ჩვენი, სრულიად არაშემოქმედებითი ცხოვრების წესი თრგუნავს, ტკივილს აყენებს და განიზიდავს“. [2, გვ. 114] ეს პატარა გოგონაა ამ „სალუქი სულის“ პატრონი, რომელიც არ ისურვებს დარჩეს უსიხარულოდ და უსიყვარულოდ და ყველა წესის დარღვევით, ზემოდან ძაძაგადაცმული, თეთრი კაბით გამოცხადდება საყვარელი ადამიანის დაკრძალვაზე. იქ გაცხადდება ფარსი, გადაიძრობს შავ სამოსელს და გაოცებული ხალხის წინაშე საპატარძლო კაბით წარსდგება.

ამით ის აცხადებს, რომ სამუდამოდ დაიცავს თავის პირველ სიყვარულს და სიხარულს, რომელიც ასე უდროოდ წაართვა მტრის ტყვიამ თუ ბედისწერამ. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს უოლტ უიტმენის სიტყვები: „მე არ ვქვითინებ, არც დაგტირი, მე გილოცავ“.

არა და არ არის უაზრო ახადელების გიორგის სიკვდილი, თუ მას ამ ქვეყნად რჩება ასეთი მოყვარული სული. აქ უკვე მწერალი გამოდის წინა პლანზე და მიაჩნია, რომ თუმცა ამ გოგონას მრავალი ცდუნება დაემუქრება ცხოვრების გზაზე, ის თავის პირველ სიყვარულს და სიხარულს სიცოცხლის ბოლომდე არ დათმობს. ნოველის მთავარი სათქმელიც ეს არის.

ვანო ჩხიკვაძემ იცის, რა თემაზე ელაპარაკოს თავის მკითხველს, რომელი პრობლემა წამოსწიოს წინა პლანზე და, საბედნიეროდ, ახალგაზრდა მკითხველმა მას დაუჯერა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, ზოგიერთი მათგანი, რომელიც მოთხრობას საუკეთესოდ მიიჩნევს, არც იცნობდეს სრულად მის შემოქმედებას.

ეს არის მწერლის გამარჯვება, რადგან ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი, ვისზეც სამოციან წლებში დიდ იმედს ამყარებდნენ, გამოსცდა თუ არა საკუთარი ბიოგრაფიის, ბავშვობის მოგონების მიჯნას, შემკრთალი და დაძაბული შედგა ჭეშმარიტი პროზის წინაშე. საბედნიეროდ, ასეთთა რიცხვში არამც და არამც არ შეიძლება განვიხილოთ მწერალი ვანო ჩხიკვაძე, რომელმაც თავისი მოღვაწეობით დაიმკვიდრა ადგილი ქართველ ჭეშმარიტ პროზის წარმომადგენელთა შორის.

ვანო ჩხიკვაძე ცხოვრებაზე მახვილი თვალით დაკვირვების უნარს ამ ნოველაში კარგად ავლენს, რაც მან მთელ თავის შემოქმედებაში, ჩვენი აზრით, გაანაღდა და შექმნა სამყაროს მხატვრული შემეცნების თავისებური სტილი.

ამ ნოველის გარეშე მწერლის შემოქმედება ძალიან ბევრს დაკარგავდა, რადგან ის, ჯერ ერთი, საუკეთესო ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე ნოველისტთა შორის, მეორეც მასში დასმულ საკითხზე მწერალს შემდეგ ბევრი უფიქრია და შემდგომ ნაწარმოებში შევხვდებით იმ გმირების თუ ფაქტების და მოვლენების უფრო ღირსეულ სახეებს, რაც ნოველაშია ნაჩვენები.

ამბავი, თუნდაც ნამდვილი, მაშინ იქცევა მხატვრულ სინამდვილედ, როცა ის აბსოლუტურად დამაჯერებელი ხდება მკითხველისათვის. „ნამდვილ ამბავს, მე ვგულისხმობ ცხოვრებაში მართლა მომხდარ ფაქტს, მაშინ აქვს ფასი, თუ რა დიდ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე... - მიაჩნია მწერალ გურამ გეგეშიძეს, - რომ ლიტერატურაში მთავარია დამაჯერებლობა, ლიტერატურული ფაქტი უნდა ემყარებოდეს სინამდვილეს და აქ არ უნდა დაგვავიწყდეს- მწერლის ფანტაზიაც სინამდვილეა. ყველაფერი დამოკიდებულია სინამდვილის გადმოცემის უნარზე“. [4, გვ. 85]

ჩვენ, ყველა, კარგად დავრწმუნდით მწერლის ამ უნარში.

სტატიის დასასრულს, ერთხელ კიდევ შეიძლება გავუსვათ ხაზი - ვანო ჩხიკვაძე სინამდვილეზე დამყარებული მწერლის ფანტაზიის მეშვეობით გვიჩვენებს, რომ ნოველაში დასმულ-გადაწყვეტილი თემა მარადიულია და, როგორც კრიტიკოს როსტომ ჩხეიძეს მიაჩნია, „თითოეული მწერლის ამ საკითხთან დაბრუნება აუცილებელია ზოგადკაცობრიული თვალსაზრისით იმ თავისებურებათა მისაგნებად, რაც უაღრესად ფასეული იქნება ქართული ეროვნული ხასიათის შეცნობის გზაზე“. [6, გვ. 67]

ვანო ჩხიკვაძე ბრწყინვალედ ართმევს თავს ურთულეს პასაჟებს: ფსიქოლოგიური სიმართლე, ტაქტი, სურათის მაქსიმალური ექსპრესიულობა, სიტყვიერი მასალის ეკონომიკური და ხატოვანი გამოყენება, ეს ყველაფერი ისე ბუნებრივია და ორგანულია, რომ ტრაგიკული დასასრულის მიუხედავად

შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს-ესაა მოწმე იყავი აღწერილი ამბების: საკუთარი თვალით ნახე პატარძალი, რომელიც საქმროს სიკვდილს, არც ტირის, არც გლოვობს და მხოლოდ ულოცავს.

ინგა მილორავა, განიხილავს რა თავის ნაშრომში სიკვდილს - როგორც ესთეტიკურ ფენომენს, აღნიშნავს, რომ ქართველი კლასიკოსების მიერ XX ს. I ნახევარში შექმნილ მოთხრობებში სიკვდილს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება. მათ შორის ერთ-ერთია სიკვდილი, როგორც სულთა კავშირის აღდგენის საშუალება და რა არის ეს მილოცვა ნოველაში, თუ არა სულთა კავშირის აღდგენის საშუალება, ამით ვანო ჩხიკვაძე XXI საუკუნეში აგრძელებს XX საუკუნეში დაწყებულ ტრადიციას, დაწყებულს ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის მიერ და აგრძელებს დიდი წარმატებით.

ჩვენ მიმოვიხილეთ მწერალ ვანო ჩხიკვაძის ნოველა „ახადელების რძალი“. დღეს უკვე სულ უფრო ხშირად მიიჩნევენ, რომ ვანო ჩხიკვაძე ერთნაირი წარმატებით მუშაობა სხვადასხვა ჟანრში, იქნება ეს პოეზია, პროზა - (მოთხრობა, რომანი, ნოველა), თუ დრამატურგია. ამ ნოველით მწერალი აგრძელებს ქართული ნოველისტური სკოლის ტრადიციებს. მასში განვითარებული პერიპეტიები მთლიანად ემთხვევა იმ მოთხოვნებს, რაც ნოველის განმარტებაშია დაფიქსირებული.

თანამედროვე მწერლობაში ნოველის ჟანრს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეთმობა. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ქართველი მწერლები, რომლებიც ძირითადად ნოველის ჟანრში მუშაობდნენ დიდი წარმატებით, ესენია: რევაზ ინანიშვილი, რეზო მიშველაძე, ნუგზარ შატაიძე, გოდერძი ჩოხელი, რომელთაც საკუთარი შემოქმედებით სრულყვეს ქართული ნოველისტური სკოლა, დაფუძნებული შიო არაგვისპირელის მიერ . მათ შორის თავისი ნიშა უკავია ვანო ჩხიკვაძის ნოველებსაც, რომელთაგან ერთ-ერთ საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ „ახადელების რძალი“.

ლიტერატურა:

1. ჯაყელი თ., რენე გენონის ტრიადა, „აფრა“ - სალიტერატურო რელიგიურ-ფილოსოფიური და საზოგად. ჟურნალი №16, 2010.
2. ჰერმან ჰესე, პატარ-პატარა სიხარულები - მარტინის დღიურიდან, „აფრა“ - სალიტერატურო რელიგიურ-ფილოსოფიური და საზოგად. ჟურნალი №16, 2010.
3. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები, თბ., 2011.
4. გეგეშიძე გ., სიტყვები, „მერანი“, თბ., 1990.
5. ლიტერატურული კონკურსი „წერო“ - კრებული, თბ., 2006.
6. ჩხეიძე რ., შურისგება, „ლომისი“, თბ., 1996.

რეზიუმე

თანამედროვე მწერლობაში ნოველის ჟანრს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეთმობა. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ქართველი მწერლები, რომლებიც ძირითადად ნოველის ჟანრში მუშაობდნენ დიდი წარმატებით, ესენია რევაზ ინანიშვილი, რეზო მიშველაძე, ნუგზარ შატაიძე, გოდერძი ჩოხელი, რომელთაც საკუთარი შემოქმედებით სრულყვეს ქართული ნოველისტური სკოლა, დაფუძნებული შიო არაგვისპირელის მიერ.

ჩვენ მიმოვიხილავთ მწერალ ვანო ჩხიკვაძის ნოველას „ახადელების რძალი“. დღეს უკვე სულ უფრო ხშირად მიიჩნევენ, რომ ჩხიკვაძე ერთნაირი წარმატებით მუშაობს სხვადასხვა ჟანრში, იქნება ეს პოეზია, პროზა - (მოთხრობა, რომანი, ნოველა), თუ დრამატურგია. ამ ნოველით მწერალი აგრძელებს ქართული ნოველისტური სკოლის ტრადიციებს. მასში განვითარებული პერიპეტიები მთლიანად ემთხვევა იმ მოთხოვნებს, რაც ნოველის განმარტებაშია დაფიქსირებული.

A NOVELLA BY VANO CHKHIKVADZE - "DAUGHTER-IN-LAW OF AKHADELIS"
(Analysis)

Marine Tsertsvadze, Full Professor

RESUME

The novella genre has one of the honored place in the contemporary literature. Several Georgian writers working successfully in this genre can be named, for example, Revaz Inanishvili, Rezo Mishveladze, Nugzar Shataidze, Goderdzi Chokheli, who enriched school of Georgian novella with their works founded by Shio Aragvispireli.

Here we are analysing novella "Daughter-in-law of Akhadelis" by Georgian writer Vano Chkhikvadze. Today, more and more frequently it is considered, that Chkhikvadze works successfully almost in all genres in poetry, prose (short story, novel, novella) or drama. The writer carries on the Georgian novella traditions with this novella. The peripeteias developed there completely coincide with the requirements presented in the interpretation of the novella.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Exact and Natural Sciences

ეკოტურიზმი, როგორც გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კომპონენტი

მაია აზმაიფარაშვილი, *აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი*

ეკოტურიზმის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ კომერციული საქმიანობით, მისი მთავარი მიზანია საგანმანათლებლო-პროპაგანდისტული და გარემოსდაცვითი საქმიანობა. დღევანდელ ისტორიულ სინამდვილეში ჩნდება იმის ვალდებულება გარემოსადმი, რომ გადაიხედოს და ხელახლა შეფასდეს ადამიანური ფასეულობები და ცხოვრების სტილი. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) განათლების განვითარებას და გავრცელებას, რაც შესაბამისად გათვალისწინებულია ტურიზმის მდგრადი განვითარების დეკლარაციაში, რომელიც მიიღეს 1995 წლის 27-28 აპრილს ჩატარებულ ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიო კონფერენციაზე: „ტურიზმზე პასუხისმგებელმა მთავრობებმა და სტრუქტურებმა ხელი უნდა შეუწყოს შესაბამისი ღია საინფორმაციო, კვლევითი, ტურისტული და ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ცოდნის და ტექნოლოგიების გავრცელების განვითარებას". (მეტრეველი, 2008). გარემოსდაცვითი განათლება წარმოადგენს ეკოლოგიურ უცოდინრობასთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვისადმი ერთიანი მიდგომის განვითარებას. ამგვარი განათლების მიზანია საზოგადოების ბუნების ეთიკის, ანუ გარემოს დაცვისადმი თვითშეგნების ამაღლება.

ეკოლოგიური ტურიზმი ცალსახადაა დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე. ვინაიდან ეკოლოგიური ტურები ორიენტირებულია ხელუხლებელი ან ნაკლებად სახეცვლილი ბუნების მქონე რაიონებზე. ამდენად, ეკოტურისტული ნაკადების მიმართულება მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული, კულტურულ ობიექტებზე ორიენტირებული ტურისტული ნაკადების მიმართულებისაგან. ეკოტურისტები, ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში მიემართებიან, სადაც ბუნება ჯერ კიდევ ეგზოტიკურია და მიმზიდველი. თუმცა ასეთი რაიონების რიცხვი განუხრელად მცირდება. ამიტომ ეკოლოგიური მოგზაურობების ორგანიზებისას სულ უფრო ხშირად იძულებული ხდებიან ბუნებასთან ურთიერთობის რედუცირებულ ფორმებს მიმართონ და გამოიყენონ მეორადი, ანთროპოგენური საქმიანობით სახეცვლილი ლანდშაფტები.

ტურისტული ინდუსტრია ექსპლუატაციას უწევს ბუნებრივ რესურსებს და გარემოს, წარმოიქმნება ნარჩენები, ბინძურდება ჰაერი, წყალი, და ა. შ. ტურიზმის განვითარება და მართვა საჭიროა შეესაბამებოდეს გარემოს, იმგვარად, რომ მან კი არ დაანგრიოს გარემო და ბუნება, არამედ მისი მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორი გახდეს.

გარემოსდაცვითი განათლება მიმართულია უბრალოდ განუმარტოს საზოგადოებას, რომ დედამიწის გარემო არ არიოს ის ობიექტი, რაც ადამიანებმა უნდა დაიპყრონ. რესურსები არ არის ამოუწურავი საჩუქარი, რასაც ბუნება გვთავაზობს - დედამიწის შესაძლებლობებს საზღვარი გააჩნია, მისი რესურსები ამოწურვადია, გარემო კი ძალზე სუსტია და რომ კაცობრიობა არ წარმოადგენს ყველაფრის საზომს, ის მხოლოდ ერთიანი ეკოსფეროს განუყრელი ნაწილია, ანუ მან ამ სისტემის ეკოლოგიურ კომპონენტებთან ჰარმონიაში უნდა იარსებოს. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ პირობის დარღვევა გამოიწვევს ეკოსფეროს მთლიანობის რღვევას, რამაც შეიძლება თავად კაცობრიობა დიდი რისკის წინაშე დააყენოს.

ყველა ქვეყანაში, იქნება ის მდიდარი თუ ღარიბი, ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარემოსდაცვითი განათლების განვითარებაში. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ (WTO World Tourism Organisation) მიერ მიღებულ დოკუმენტში ხაზგასმულია ტურიზმის ინდუსტრიის მუშაკთა ეკოლოგიური განათლების აუცილებლობა და მნიშვნელობა. ტურისტის ქცევის წესები გარემოსდაცვასთან მიმართებაში ჩადებულია სხვადასხვა კანონსა თუ კოდექსში, ასეთია, მაგალითად, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ტურისტის კოდექსი და ტურისტის უფლებათა ბილი, ასევე სხვა ადგილობრივი წესები და კანონები. (მეტრეველი, 2008, გვ. 147)

გარემოსდაცვითი განათლება უნდა დაიწყოს საბავშვო ბაღის დონიდან და გამიზნული უნდა იყოს ყველა ასაკისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ადამიანისათვის. ეკოლოგიური სწავლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ ადამიანებისათვის, რომლებიც თავისი სამუშაოთი თუ პროფესიით არ არიან დაკავშირებული სასწავლო დაწესებულებებთან.

გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით 1966 წელს მარტში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა შეიმუშავა კონსერვაციის პროგრამის საკანონმდებლო აქტი, რომელიც ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების ძირითად კატეგორიებს, როგორიცაა: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი. აღნიშნული კატეგორიებიდან ეროვნული პარკები ეკოტურისტული პროდუქტის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის შედარებით მსხვილი ეკოსისტემის დაცვის მიზნით, აგრეთვე მეცნიერული კვლევის, საგანმანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის. ეროვნული პარკი არის ბუნების დაცვის, ეკოლოგიური განათლებისა და მეცნიერული კვლევისათვის განკუთვნილი ტერიტორიაა, რომელიც შეიცავს საგანგებო ეკოლოგიური, ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებების მქონე ბუნებრივ კომპლექსებს და განკუთვნილია ბუნების დაცვის, განათლების მეცნიერული-კულტურული მიზნებისა და რეგულირებული ტურიზმისათვის. (მაისურაძე, 2008, გვ. 85)

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, აჭარა-იმერეთის ქედის აღმოსავლეთი მონაკვეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობზე. ეროვნული პარკი წარმოადგენს 4 განსხვავებული ბიოგეოგრაფიული ერთეულის (კოლხეთის, კავკასიურის, წინა აზიურის და მცირე აზიურის) კონტაქტის არეს, რაც განსაზღვრავს მისი ბუნების უნიკალობასა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების მაღალ დონეს.

ბუნების შეცნობა, ბუნების მრავალი ელემენტის შესწავლა ეროვნულ პარკში მთავარი მიზანია. ველური ბუნების, მთისა და ტყის ლანდშაფტებისა და მდიდარი ბიომრავალფეროვნების, ისტორიისა და კულტურის ერთობლიობა იზიდავს სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორებს.

დაცული ტერიტორიაზე ტურისტული აქტივობების ფართო სპექტრი არსებობს: სალაშქრო ან საცხენოსნო ბილიკები, რომელიც რამოდენიმე დღიანი მოგზაურობის და მიზნობრივად აშენებულ თავშესაფრებსა და საკემპინგე ადგილებში ღამის გათენების საშუალებას იძლევა. სამთო ველოსიპედით გასეირნება, ბუნებისა და ლანდშაფტების დათვალიერება და ფოტოგრაფია, საგანმანათლებლო და კულტურული ტურები, დაკვირვება ფრინველებზე და ცხოველებზე, საზაფხულო ბანაკები. ყველა ამ აქტივობისათვის შექმნილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელსაც მოვლა-პატრონობას უწევს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მთავარი სიმდიდრე ტყეა (ტერიტორიის 75%): აქ დაცულია კავკასიის შერეული ტყეების ხელუხლებელი მონაკვეთების დიდი ფართობები; გვხვდება უნიკალური, რელიქტური კოლხური ტყეების ფრაგმენტები. პარკის დაახლოებით მეოთხედი სუბალპურ და ალპურ მდელოებს, ასევე, დეკიანს (რელიქტური კავკასიური როდოდენდრონის არყებს) უჭირავს.

ამასთან, მთელ კავკასიაში სწორედ აქ არის თავმოყრილი წმინდა ნაძვნარების (*Picea*) და ფიჭვნარების (*Pinus*) უდიდესი მასივები, რომლებიც ზღვის დონიდან 1400-1800 მ-ის ფარგლებშია გავრცელებული. ყველა ტყის შემქმნელი წიწვოვანი კავკასიის ენდემია: აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis*), კავკასიური სოჭი (*Abies nordmanianna*) და კავკასიური ფიჭვი (*Pinus kochiana*). ფართოფოთლოვანებიდან ქვედა სარტყლებში ქართული მუხა (*Quercus iberica*) და რცხილა ჭარბობს (*Carpinus caucasica*), ზედა სარტყლებში – წიფელი (*Fagus orientalis*); ხშირია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი წაბლი (*Castanea sativa*) და სხვ. ეს სახეობების სხვადასხვა სარტყლებსა და ჰაბიტატებში მრავალგვარ კომბინაციებს ქმნიან. ტერიტორიაზე აქა-იქ გვხვდება სუბალპური ტანბრეცილი არყნარებიც (*Betula litwinowii*). საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ ხემცენარეთა სახეობებიდან, წაბლის გარდა, გვხვდება უხრავი (*Ostrya carpinifolia*), ჯონჯოლი (*Staphylea colchica*), აღმოსავლური მუხა (*Quercus macranthera*), შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra*).

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მომავალში ქვეყნის მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი უნდა გახდეს. პარკში მოქმედი ბილიკებიდან ჩვენთვის, ვინაიდან ბუნება მთავარი ფასეულობაა მეტად საინტერესოს საინფორმაციო საგანმანათლებლო ბილიკი - (3 კმ., საფეხმავლო, 2 სთ.) წარმოადგენს. ეს არის წრიული ბილიკი, რომელიც იწყება და მთავრდება ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრიდან და გვთავაზობს 9 საინფორმაციო-საგანმანათლებლო სტენდს.

ეკოტურისტული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებაში ეკოლოგიური ცნობიერების დანერგვა, ამ პროცესში ჩართული ყველა პირის ეკოლოგიური კულტურის ამაღლება, დაწყებული უშუალო მონაწილეებით - ტურისტებით და სარეკრეაციო ტერიტორიების მოსახლეობით, დამთავრებული პროცესის უშუალო ან ირიბი ორგანიზატორებით, ტუროპერატორებით, ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებით.

ეკოლოგიური განათლება მიზნად ისახავს დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე ზრუნვასა და მათდამი პატივისცემის გრძნობის გაძლიერებას. იგი უკავშირდება, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა პრობლემებს. იმის გამო, რომ კაცობრიობის ცხოვრება დამოკიდებულია ჯანსაღ და მყარ გარემო პირობებზე, ამიტომ მსოფლიოს ხალხების და მომავალი თაობების უფლებებზე ზრუნვას, ეკოლოგიის საკითხები გადმოაქვს წინა პლანზე. დღეს უკვე საუბრობენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების, როგორც უფლებათა ცალკე კატეგორიის, აღიარების შესახებ.

არსებული განათლების სისტემა ვერ აძლევს ადამიანებს გარემოსთან სწორი, არაკონფლიქტური ურთიერთობის დამყარების ჩვევებს, რაც შედეგად იწვევს არა მარტო უპასუხისმგებლო, მატერიალურ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, არამედ ეგოცენტრიზმს, სხვათა ინტერესების უგულებელყოფას, შეუწყნარებლობას საწინააღმდეგო აზრისადმი, ტოლერანტობის დეფიციტსა და აგრესიულობას. ეკოლოგიური განათლების ინტეგრირება სასწავლო პროცესში ზემოთ ჩამოთვლილი მრავალი პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა.

ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა, თბ., 2008.
2. მაისურაძე დ., ვერბეცკი ი., ხუციშვილი თ., ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2008.
3. ქაჯაია გ., ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თბ., 1999.

4. https://matsne.gov.ge/
5. http://www.nplg.gov.ge/

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეკოტურიზმის, როგორც გარემოსდაცვითი განათლების, კომპონენტის არსი. მთავარი საკითხია ეკოტურიზმის საგანმანათლებლო-პროპაგანდისტული და გარემოსდაცვითი საქმიანობა. აღნიშნული საკითხი ეხება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, რომელიც არის ბუნების დაცვის, ეკოლოგიური განათლებისა და მეცნიერული კვლევისათვის განკუთვნილი ტერიტორია და შეიცავს საგანგებო ეკოლოგიური, ისტორიული, ესთეტიკური ღირებულებების მქონე ბუნებრივ კომპლექსებს. პარკი განკუთვნილია ბუნების დაცვის, განათლების მეცნიერულ-კულტურული მიზნებისა და რეგულირებული ტურიზმისათვის.

ECOTOURISM AS AN ENVIRONMENTAL EDUCATION COMPONENT

Maia Azmaiparashvili, Academic Doctor, Specialist under contract

RESUME

The article considers eco-tourism, environmental education as a core component. The main issue for ecotourism education and environmental activities. This issue relates to Borjomi-Kharagauli National Park. Is conservation, environmental education and scientific research for the area and contains special ecological, historical, aesthetic values of natural complexes.

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების ზოგიერთი საკითხი

ნინო ბერიანიძე, *აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი*
ზურაბ ტიელიძე, *სრული პროფესორი*

დღეისათვის ტურიზმი გადაიქცა საერთაშორისო და ინტერნაციონალურ ინდუსტრიად, რასაც ხელს უწყობს განსაკუთრებით ის ფაქტორი, რომ ტურისტული საწარმოები დიდი სარგებლისა და შემოსავლიანობის გასაზრდელად სისტემატურად აფართოებენ მოგზაურობის გეოგრაფიას მთელ მსოფლიოში და, მეორე მხრივ, რენტაბელობის ასამაღლებლად ახდენენ ტურისტული ბიზნესის ინვესტირებას საერთაშორისო დონეზე.

ნებისმიერ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს **ტურისტული რესურსები** წარმოადგენს. ტურისტულ რესურსებს კი, როგორც „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონშია მითითებული (მუხლი 2), მიეკუთვნება „ქვეყნის ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო რესურსების და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს.“

აღნიშნული რესურსებიდან გარემოსა და მ. შ ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში დიდ ადგილს იკავებს ბუნებრივი ტურისტული რესურსები (მოიცავენ სანაპიროებს, მღვიმეებს, მომხიბლავ ადგილებს და ველურ ბუნებას) და მათი ეკოლოგიური მდგომარეობა.

ბუნებრივ გარემოსთან, ველურ ბუნებასთან ადამიანთა საზოგადოების ურთიერთობის ეკოლოგიური შედეგები დიდადაა დამოკიდებული ტურიზმის ერთ-ერთ ისეთ თანამედროვე ახალ მიმართულებაზე, როგორიცაა **ეკოტურიზმი.** იგი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი

ელემენტია. ესაა ტურისტთა მოგზაურობა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვთ გათვითცნობიერებული. ეკოტურების მიზანია ველურ ბუნებასთან ურთიერთობა. ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური და კულტურულ-სოციალური ხასიათის უარყოფითი ზეგავლენის შედეგები, ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას. ეკოტურისტები შეიძლება იყვნენ ტყის მოყვარულები, ალპინისტები, სპელეოლოგები, გლაციოლოგები, აკვალანგისტები, რომლებსაც წყალქვეშა სამყარო აინტერესებთ და სხვ. ტურიზმის ძირითადი ფუნქციაა დააკმაყოფილოს მოსახლეობის ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებანი, მაგრამ ამავე დროს იგი ასრულებს არა მხოლოდ ეკონომიკურ და სოციალურ, არამედ ეკოლოგიურ ფუნქციასაც.

ტურიზმის ეკოლოგიური ფუნქციებია ხელი შეუწყოს ტერიტორიებისა და ფაუნის, ზღვის, სხვადასხვა ეკოსისტემების, ტყეების, დაცული ტერიტორიების-ეროვნული პარკებისა და ნაკრძალების განვითარებას, არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების აღდგენა-განახლებას, მათ დაფინანსებას, გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან, ხმაურისა და გადატვირთვისაგან.

ბუნებრივი რესურსებისა და გარე სამყაროს დაცვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ტურიზმის გასავითარებლად. მაგალითად, სასტუმროები, კემპინგები, კურორტები, რომლებიც განლაგებულია ეკოლოგიურად „ხელუხლებელ“, ეგზოტიკურ ბუნებაში უფრო პოპულარულია და მეტ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ტურისტები და დამსვენებლები უპირატესობას ანიჭებენ არა პასიურ, არამედ აქტიურ ბუნების წიაღში მოგზაურობასა და დასვენებას. თუ ერთ შემთხვევაში ეკოლოგიური ტურიზმი გვევლინება როგორც ეკოლოგიურად სუფთა ბუნებაში მოგზაურობად, მეორე შემთხვევაში იგი უნდა განვიხილოთ როგორც სუფთა გასაყიდი ტურისტული პროდუქტი. როგორც ვხედავთ, ეკოლოგიური ტურიზმი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანსვეტია.

საქართველოში არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ეკოტურიზმის განვითარებისათვის. ქვეყანაში შემუშავებული დაცული ტერიტორიების ახალი სისტემის მიხედვით დაცული ტერიტორიების ფართობი საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარს შეადგენს. ესენია: აღმოსავლეთ კავკასიონის, ცენტრალური კავკასიონის, ივრის, ერუშეთის, აჭარა-იმერეთის, კოლხეთის, აფხაზეთის. ასევე, შავშეთის ქედისა და კოლხეთის დაცული ტერიტორიების პერსპექტიული რეგიონები და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი.

ეკოლოგიური ტურისტული საზოგადოების შტაბ-ბინა ვაშინგტონშია, რომელიც სამეცნიერო, ინფორმაციული და სტრატეგიული საქმიანობის განვითარების ცენტრია. იგი აწარმოებს და ამუშავებს ისეთ პროგრამებს, რომელიც მიმართულია რეგიონული სტრუქტურისაკენ. 1971 წლიდან იუნესკო ამუშავებს პროგრამას „ადამიანი და ბიოსფერო“.

საერთოდ, მსოფლიოს მასშტაბით, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს **ველური ბუნების დამცავი ფონდი (WWF),** რომელიც განვითარებად ქვეყნებში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მიზნით ატარებს გამოკვლევებს. ამ ფონდს დიდი ღვაწლი მიუძღვის ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის მოწყობაში.

სამწუხაროდ, დღეისათვის კაცობრიობა ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის გლობალური პრობლემების წინაშე დგას, რისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია თანამედროვე ცხოვრების წესი – ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში. რესურსების არარაციონალური გამოყენების შედეგად შეიძლება ბუნებამ ამოწუროს თვითაღდგენის უნარი, განსაკუთრებით ეს ეხება ტყის მასივებს, რომლის დეგრადირება უამრავ უარყოფით ეკოლოგიურ შედეგს იწვევს.

ამჟამად პლანეტაზე ოთხი მლრდ. ჰა ტყეა. განვითარებად ქვეყნებში ტყე წარმოადგენს მცხოვრებთა უმეტესობის ერთადერთ სასიცოცხლო წყაროს. ასეთი ქვეყნებია: ბანგლადეში, შუა აფრიკის სავანები, ლათინური ამერიკის ქვეყნები, გვატემალა, ჰონდურასი, პარაგვაი. მათ რიცხვში ჩვენი ქვეყანაცაა. ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად საქართველო ბუნება დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, აღსანიშნავია, საქართველოს ტერიტორიის საერთო ფართობიდან სატყეო ფონდს უკავია 40%, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

საქართველოს ტყეები მთისა და ბარის ტყეებად იყოფა. მთის ტყეებს უკავია მთელი ტყით დაფარული ფართობის 98%, ბარის ტყეებს - 2%, რომლებიც ძირითადად კოლხეთის დაბლობებზე და აგრეთვე მდინარეების: მტკვარის, ალაზნის, იორის, ხრამის და სხვათა დინების ქვემო წელის მიდამოებში არის გავრცელებული. ტყეების მრავალფეროვნება ყველაზე მეტად მთებში ვლინდება, სადაც გეოლოგიური ქანების დახრილობა და ფერდობის ექსპოზიცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტყეების

ბიოლოგიურ თავისებურებებზე, რაც პირველ რიგში, განპირობებულია მათი წარმოშობის, ზრდისა და განვითარების ბუნებრივი პირობების დიდი მრავალფეროვნებით.

ტყეები გეოგრაფიულად არათანაბრადაა განლაგებული. ტყით მდიდარ რეგიონებთან (აფხაზეთი, აჭარა, სვანეთი, რაჭა, ბორჯომის ხეობა, ბაღდათის, საჩხერის, ახმეტის და სხვა რაიონები) ერთად არსებობენ ტყემცირე და თითქმის უტყეო რაიონებიც (დედოფლისწყაროს, ნინოწმინდის, ახალქალაქის, გარდაბნის, წალკის, ყაზბეგის და ა.შ.).

საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელუხლებელი (პირველქმნილი) ტყეები, რომლებიც განსაკუთრებული მაღალპროდუქტიულობით გამოირჩევა. ხელუხლებელ სოჭნარებს, სოჭნარ-წიფლნარებს, სოჭნარ-ნაძვნარებს, პროდუქტიულობის მაჩვენებლით, ანალოგი არ გააჩნიათ ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

საქართველოს ტყეებში ველურად იზრდება 400-მდე სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი, გაერთიანებული 123 ბოტანიკურ გვარსა და ოჯახში. აგრეთვე აღწერილია ამ სახეობათა 182 ფორმა და 91 ვარიაცია, მათ შორის: ხეების -153 სახეობა; ბუჩქების - 202 სახეობა; ლიანების - 11 სახეობა. ველად მოზარდი 153 სახეობიდან სიმაღლის მიხედვით მაღალტანიანია (25 მეტრზე მეტი) 51 სახეობის ხე.

საქართველოს ტყეებში ფლორის დიდი მრავალფეროვნების მაჩვენებელია ენდემურ მერქნიან მცენარეთა სიმრავლე, მათ შორის საქართველოს ენდემია 61 სახეობა, კავკასიის - 43. ტყეების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, ტყის ეკოსისტემათა ნაირგვარობასა და რთულ სტრუქტურაზე მიუთითებს როგორც წმინდა, ისე შერეული კორომების არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტყეებში მრავალი სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი იზრდება, ისინი ძირითადად მაინც რამდენიმე მერქნიანი სახეობის კორომებით არის წარმოდგენილი.

შემადგენლობის მიხედვით წიწვოვან ტყეებს უკავია მთელი ტყეების 16,4%, ფოთლოვან ტყეებს - 83,6%. მ/შ. მაგარმერქნიან ფოთლოვანებს - 70,5%. რბილმერქნიანებს - 10,8%.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ბოტანიკურ ლექსიკონში შესულია ხის ორი სახეობა ქართული სახელწოდებით ძელქვა (Zelkova carpinibolia (Pall) C. Koch.) და ლაფანი (Pterocarya pterocarpa (Mchx). Knth).

საქართველოს ტყეების დღევანდელ მდგომარეობას დარგის ექსპერტები კატასტროფულად აფასებენ (ლ. გვაზავა) საქართველოში, ტყეების ინვენტარიზაცია გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა. ბოლო წლების განმავლობაში, ტყის სექტორი განიცდიდა სერიოზულ რეგრესს, რაც გამოიხატება იმაში, რომ არ არსებობს მასთან დაკავშირებული პოლიტიკური დოკუმენტი და სატყეო სექტორის მართვის გამართული ინსტიტუციური სისტემა, კონტროლის მექანიზმები ძალზე სუსტია, ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ტყის რესურსებზე - მეტად შეზღუდული, სექტორში დასაქმებული არიან არაპროფესიონალი, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების არმქონე პირები. ექსპერტები ასკვნიან, რომ მეზობელ სომხეთში და აზერბაიჯანში ბევრად უკეთესი მდგომარეობაა.

ექსპერტებისავე მონაცემებით, 2007 წლიდან, საქართველოში დაიწყო გაუგებარი სატყეო რეფორმა, რომელსაც მოჰყვა ტერიტორიული სტრუქტურის მოშლა, ხოლო ხანგრძლივვადიანი ლიცენზიები გაიყიდა რესურსების ინვენტარიზაციისა და ყოველგვარი გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების გარეშე. მას შემდეგ, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. პრაქტიკულად, ტყით სარგებლობისას ჩამოყალიბდა მონოპოლისტური კომპანიები, დაკანონდა ხის მერქნის გადამეტებული მოპოვება, რისი კონტროლიც პრაქტიკულად არ მიმდინარეობს და შეუძლებელიცაა, ვინაიდან ლიცენზიების გაცემამდე არ ხდებოდა რესურსების ზუსტი დადგენა. შედეგად ხორციელდება დიდი მასშტაბის სამეურნეო ჭრები, რომელსაც არანაირი საერთო არ გააჩნია მდგრად გამოყენებასთან. ექსპერტებისავე დაკვირვებით, ასეთ ფონზე, კიდევ უფრო გაიზრდება სტიქიური მოვლენების მასშტაბი აჭარაში, სვანეთში და სხვა რეგიონებში. რა მდგომარეობაა საქართველოს ტყეებში, რამ განაპირობა ამ სექტორში რეგრესი და რა უნდა შეიცვალოს ამ საკითხისადმი მიდგომებში? "მწვანე ალტერნატივას" ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორის - ექსპერტის ირაკლი მაჭარაშვილის აზრით, საქართველოს ტყეები იმით არის ღირებული, რომ დედამიწის ზომიერ სარტყელში შემორჩენილი ბოლო ხელუხლებელი ტყეებია. არსებული დაცული ტერიტორიები იმდენად მცირეა, რომ, ფაქტობრივად, ვერ უზრუნველყოფს ტყის ეკოსისტემების სერვისების სრულად ფუნქციონირებას: როგორც ექსპერტი მიიჩნევს, პირველ რიგში, ტყის ეკოსისტემები კანონმდებლობით უნდა იყოს დაცული, ჩვენთან კი ასე არ არის. ოფიციალურად, საქართველოში დაცულია ქვეყნის ტერიტორიის 7% (თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოში შემუშავებული დაცული ტერიტორიების ახალი სისტემის მიხედვით დაცული ტერიტორიების ფართობი მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარს შეადგენს), მაშინ, როდესაც ევროპაში, საშუალოდ, ქვეყნების ტერიტორიის საერთო ფართობის 17-18% პროცენტს დაცული ტერიტორიები

შეადგენს. რაც შეეხება ეკოლოგიურ ღირებულებას, საქართველოს ტყეები ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, მეტად ძვირფასია, შესაბამისად, მისი მნიშვნელობაც დიდია, არა მარტო ჩვენთვის, არამედ, მსოფლიოსთვისაც.

საქართველოს ტყეებში ამჟამად რეალური მდგომარეობა უცნობია მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის არარსებობის გამო. ბუნდოვანი კანონმდებლობა და გაუმართავი ინსტიტუციური სისტემა ხელს უწყობს იმას, რომ ტყის რესურსებზე გვაქვს დაშვებულთან შედარებით ორჯერ-სამჯერ მეტი დატვირთვა. კონფლიქტების გარკვეული მაგალითები უკვე არსებობს საქართველოში, როცა ადგილობრივმა მოსახლეობამ არ შეუშვა ლიცენზიანტები ტყეში. ეკოსისტემებზე ასეთი პრესი გამოიწვევს ბუნებრივი რესურსების სწრაფ ამოწურვას და ეკოსისტემების დეგრადაციას. ასეთი პოლიტიკისა და მიდგომის შედეგად, მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის გაღარიბება და იძულებითი მიგრაცია სოფლებიდან.

დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ დღემდე საქართველოში გადაჭარბებულადაა შეფასებული საქართველოს ტყეების ეკონომიკური სარგებელიანობა. ხშირად გათვალისწინებული არაა, რომ საქართველოს ტყეებს, უპირველეს ყოვლისა, აქვთ ეკოლოგიური, სოციალური და მხოლოდ ამის შემდეგ, ეკონომიკური მნიშვნელობა. ეკოლოგიურ ღირებულებაში იგულისხმება ის ეკოლოგიური სერვისები, რომელიც გააჩნიათ ტყის ეკოსისტემებს - კლიმატის რეგულაცია, წყლისა და ჰაერის ხარისხის კონტროლი, ნიადაგის დაცვა, რეკრეაცია და ა.შ. ეს ღირებულება მონეტარულადაც შესაძლებელია, რომ გამოისახოს და გაცილებით გადააჭარბებს მერქნის გაყიდვით მიღებულ ღირებულებას. გასათვალისწინებელია, რომ მერქნით ვაჭრობისთვის ტყის ეკოსისტემების გამოყენების შემთხვევაში, ძირითადი შემოსავალი აქვს მხოლოდ ლიცენზიის მფლობელ კომპანიას, ხოლო ეკოსისტემების სერვისებით გაცილებით მეტი ადამიანი იღებს სარგებელს.

სპეციალისტთა აზრით, საქართველოს ტყეები და მასთან მიმართებაში არსებული პოლიტიკა კატასტროფულია. 2012 წლამდე, ქვეყანაში, აღნიშნულ სფეროში გატარებული რეფორმებით, საბოლოო ჯამში, მიღებულ იქნა სისტემა, რომელსაც წარმოშვა სისტემური კორუფცია, ხოლო რეგულაციის სისტემა-უვარგისი. ამ მიზეზების გამო, მართალია ქვეყანაში განხორციელდა მთავრობის სტრუქტურის რეორგანიზაცია და შეიქმნა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების ახალი სამინისტრო, რომელსაც დაუქვემდებარდა სატყეო სექტორი, მაგრამ სამწუხაროა, რომ ახალი სამინისტროს ხელმძღვანელობამ, ჯერჯერობით, ვერ გამონახა დრო, რომ შეხვედროდა სატყეო მეურნეობისა და გარემოს დაცვის ექსპერტებს და მოესმინა მათი თვალსაზრისი. პრობლემის ერთ-ერთი სათავე ისაა, რომ გადაწყვეტილებები სატყეო სექტორში, ტრადიციულად მიიღება გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე, კორუფციის წინააღმდეგ უნივერსალური წამალი კი გამჭვირვალობაა.

აღსანიშნავია, რომ თურმე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ხე-ტყის დამზადების 10-წლიანი 6 ლიცენზია აუქციონზე 797 359 ლარად გაყიდა. აუქციონზე გაიყიდა ასევე შემდეგი ლიცენზიები: კახეთი - თელავის სატყეო უბანი, საერთო ფართობი - 1127 ჰა (შეიძინა შპს "ქომე"-მ); შიდა ქართლი - ხაშურის სატყეო უბანი, საექსპლოატაციო ფართობი 348,8 ჰა (357 931 ლარად ერთ-ერთმა ინდ. მეწარმემ შეიძინა). ადიგენის სატყეო უბნის მფლობელი (60,8 ჰა - გასაყიდი ფასი 44 792 ლარი) შპ-ს "ტაო" გახდა. იმერეთი - საჩხერეს სატყეო უბანი (საერთო ფართობი - 963 ჰა ფასი 201 309 ლარი) შპს "ინტერნეიშენალ ტიმბერ პროდიუსინგ კომპანიმ" შეიძინა და ასე შემდეგ. აუქციონზე სულ 15 ლოტი გავიდა რაჭა-ლეჩხუმის, ზემო სვანეთის (5 ლოტი), კახეთის (3 ლოტი), მცხეთა-მთიანეთის (2 ლოტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (2 ლოტი), სამცხე-ჯავახეთის (1 ლოტი), შიდა ქართლის (1 ლოტი) და იმერეთის (1 ლოტი) რეგიონალური სატყეო სამმართველოებიდან. ყველაზე მაღალ ფასად შიდა ქართლში, ხაშურის სატყეო უბნის ძამას ყოფილი სატყეოს ლიცენზია გაიყიდა - 357 931 ლარი. დანარჩენ 9 ობიექტზე სამინისტროში აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადი არ შესულა (მაკა ხარაზიშვილი 2009).

სპეციალისტთა აზრითა და არსებული ფაქტობრივი მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყეები ბოლო 15 წლის მანძილზე უმოწყალოდ იჭრება და ჩანაგდება. მიგვაჩნია აუცილებლობად, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, გადარჩენილი ტყეების აღწერისა და აეროგადაღების პროექტების განხორციელება, რამაც უნდა განაპირობოს, თუ რომელი ტყე ექვემდებარება იჯარით გაცემას და რომელი არა, რომელი საჭიროებს სანიტარულ ჭრას და რომელი - სამეურნეო დამუშავებას.

აქედან გამომდინარე, თუ არ გატარდა გადამჭრელი ზომები ტყის გადასარჩენად და მისი პერიოდული განახლებისათვის, უკვე უახლოეს პერსპექტივაში დაგვიანდება და მოსალოდნელია ისეთი ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც შეიძლება ძალიან არასასურველი აღმოჩნდეს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის. ამას თან ერთვის ბიოდივერსიები, რომელიც ანადგურებს ტყის ფლორას, ფაუნას და სხვა

ცოცხალ ორგანიზმებს, რომელთა არსებობა აუცილებელია ბუნებაში ჰარმონიის შესანარჩუნებლად. ტყეების განადგურებას კი უეჭველია მოყვება ისეთი მავნე შედეგი, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ნიადაგური საფარის გამოშრობასა და ნიადაგის ეროზიას, ღვარცოფებს, მეწყერებსა და აქედან გამოწვეულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს (მაგ., სვანეთისა და აჭარის ტყეები, სადაც ფერდობების ეროზია და მისგან გამოწვეული მეწყერები, ტყეების ნაწილობრივმა ჭრამაც გამოიწვია).

ზემოაღნიშნულის შედეგად შეიძლება დავადასტუროთ, რომ საქართველოს ტყეებში შექმნილი ასეთი სავალალო მდგომარეობა პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში გარემოსა და, კერძოდ, ტურიზმის მდგრად განვითარებას, რადგან ტურიზმის პერსპექტიული განვითარების ძირითადი მოთხოვნაა ბუნებრივ-კლიმატური პირობები, განვითარებული ინფრასტრუქტურა და აქედან გამომდინარე, ტურიზმის სხვადასხვა სახე, მათ შორის ეკოტურიზმის განვითარება.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო და შემოსავლების ზრდის წყაროა. 1993 წელს საქართველო გაწევრიანდა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში. 1995 წლიდან ისევ დაიწყო აღმავლობა ტურიზმმა, რომელიც 90-იან წლებში პარალიზებული იყო იმ პერიოდის პოლიტიკური მოვლენების გამო. 1995 წლიდან 2011 წლის ჩათვლით საქართველოში შემოსულ ვიზიტიორთა და ტურისტთა რიცხოვნობა გაიზარდა, მაგრამ საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებს მდგომარეობა ქვეყანაში შესაძლებელთან შედარებით, ვფიქრობთ, რომ საკმაოდ დაბალია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა (მხედველობაში გვაქვს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი), გარდა ეკონომიკურისა, დიდი ეკოლოგიური ზარალი მოუტანა ქვეყანას, მათ შორის ტურიზმის განვითარების შეფერხების თვალსაზრისით. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკი, რომლის ტერიტორია შეადგენს საქართველოს საერთო ფართობის 1%-ს და ითვლება ევროპაში ერთ-ერთ უდიდეს პარკად, ფაქტობრივად დიდი ეკოლოგიური პრობლემის წინაშე დადგა: ტყე-პარკში მთლიანად გადაიწვა 300 ჰექტარზე მეტი ფართობი, ხოლო დაზიანდა თითქმის 900 ჰა. პარკის ტერიტორიაზე ცეცხლის სამი კერა იყო: ზორეთის, ქვაბისხევის და ლიკანის. დაზიანდა უნიკალური ბიოცენოზი, რომლის სრულ აღდგენას, ექსპერტების აზრით, დასჭირდება 300 წელი. განადგურდა როგორც ფლორა (ხე, ბუჩქი, ბალახი), ისე ფაუნა (წითელ წიგნში შეტანილი უნიკალური ფრინველები და ცხოველები).

განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა ხანძარმა გორის რაიონს, ატენის ხეობას, სადაც 50 ჰექტარი ტყე დაიწვა. განადგურდა ხეობის მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო.

მომავალში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებლად დაცული უნდა იქნას სარეკრეაციო რეგიონების ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება და ყველა ბუნებრივი რესურსი. ბუნებრივია, ეკოტურიზმი წარმატებით ვერ განვითარდება, თუ მისგან მიღებული სახსრების გარკვეული ნაწილი არ ჩაიდება რეკრეაციული ტერიტორიების დასაცავად და რეკრეაციული სარგებლის შედეგის მისაღებად.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ტერიტორიების მდგრადი განვითარება, რომელიც ასევე მიეკუთვნება ეკოტურიზმის სფეროს, ხელს უწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზაციას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ტურისტული მომსახურების სფეროში, რაც, ბუნებრივია, ამაღლებს მოცემულ რეგიონსა თუ ქვეყანაში მცხოვრებთა ცხოვრების დონეს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის სფეროში სწორი მენეჯმენტის განხორციელებისა და ინვესტიციების მოზიდვის გზით და ასევე, ტყეების დაცვის მიზნით, სხვადასხვა ეკოლოგიური პროგრამების განხორციელებით, ქვეყანა მალე შეძლებს არსებული მდგომარეობის გამოსწორებას და ტურიზმის გადაქცევას ეკონომიკის არასაწარმოო სფეროს წამყვან დარგად.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტის შესახებ“, 1997 წლის 6 მარტი.
2. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ყოველწლიური ანგარიში.
3. გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ყოველწლიური ანგარიშის მასალები.
4. გიგაური გ., საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნება, თბ., 2000.
5. კანდელაკი თ., საქართველოსა და მსოფლიო ტყის რესურსები, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, №11, 12, 1999.
6. ნ. ქარქაშაძე და სხვ., ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, თბ., 2003.

ვებ-გვერდები:
http://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_ბიომრავალფეროვნება
http://opinion.ge/archives/2
http://www.radiotavisupleba.ge/content
http://ekonia.wordpress.com/2011/02/04/საქართველოს ტყეები
http://www.gurianews.com/index.php?op

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი, რაც ფერხდება ბუნებრივ-ტურისტული რესურსების, კერძოდ ტყის რესურსების არაეფექტური გამოყენებების გამო. ავტორთა აზრით, ქვეყანა ამ შემთხვევაში ეკოლოგიური საფრთხის წინაშეა და საჭიროა გადამჭრელი ღონისძიებები მის აღსაკვეთად.

SOME ISSUES OF ECOTOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA

Nino Berianidze, Academic Doctor, Specialist under contract
Zurab Tielidze, Full Professor

RESUME

Opportunities of ecotourism development in Georgia are discussed in the article. To authors' mind, the country natural and territorial resources, particularly forest resources have not been used properly in ecotourism development, because in fact, it's in ecological danger and drastic measures should be taken to protect it.

მინერალური ელემენტების თანაფარდობის გავლენა მცენარის მიერ მათ შეთვისებასა და დაგროვებაზე

ნელი გოგინაშვილი, სრული პროფესორი

მცენარის მიერ მინერალური ელემენტების შეთვისების საკითხზე თანამედროვე წარმოდგენა ადასტურებს, რომ ცალკეული ელემენტის ფიზიოლოგიური როლის გამოვლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი ფიზიოლოგიური პროცესების, მათ შორის ცოცხალი უჯრედის მიერ ნივთიერებათა შთანთქმის მექანიზმის გასაგებად.

მიუხედავად მცენარეზე მინერალური ელემენტების (მათ შორის მაკროელემენტების) გავლენის შესწავლის ხანგრძლივი პერიოდისა, ზუსტი მონაცემები მცენარის შინაგან და გარეგან არეში მათ ისეთ თანაფარდობაზე, რომელიც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, ნაკლებადაა შესწავლილი. ასეთივე მდგომარეობაა უმრავლესი ელემენტის ფიზიოლოგიური როლის შესწავლაში. თუმცა, უკანასკნელ წლებში დადგენილ იქნა, რომ არა მხოლოდ ერთეული ელემენტი (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი), არამედ ყველა მინერალური ელემენტი უშუალოდ მონაწილეობს მცენარეულ ორგანიზმში ენერგიის გარდაქმნის პროცესში. ეჭვგარეშეა მათი როლი ფოტოსინთეზის, სუნთქვის, წყალცვლის, ზრდისა და განვითარების პროცესში. მინერალური ნივთიერებები არიან სტრუქტურული ელემენტები მთელი რიგი ფუნქციონალური სისტემებისა, როგორიცაა: მაფოტოსინთეზირებელი აპარატი, სუნთქვის ჯაჭვი, ცილის და სხვა მნიშვნელოვანი შენაერთების სინთეზის ცენტრი, ან არიან ამ პროცესების განმახორციელებელი ფერმენტული სისტემების შემადგენელი ნაწილები [1, 2].

აზოტი შედის უმნიშვნელოვანესი ნივთიერებების შემადგენლობაში, როგორიცაა ქლოროფილი, ზოგიერთი ვიტამინი, ფერმენტები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ელემენტი არის ცილის მთავარი

კომპონენტი. აზოტით ნორმალური კვება ხელს უწყობს მცენარეთა ზრდის სტიმულაციას, საასიმილაციო აპარატის ფორმირებას, ფოტოსინთეზის პროდუქტიულობის ამაღლებას. ამ ელემენტით ჭარბმა კვებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი ეფექტი - ვეგეტატიური მასის უხვად განვითარება და პროდუქციის მომწიფების გაჭიანურება [1].

ფოსფორი მონაწილეობს სუნთქვისა და ფოტოსინთეზის პროცესში, უჯრედის უმნიშვნელოვანესი ნაერთების ბიოსინთეზში, კერძოდ, აზოტის შენაერთების და ნახშირწყლების წარმოქმნასა და გარდაქმნაში. შედის აგრეთვე ლიპიდების, ნუკლეინის მჟავების, ვიტამინების შემადგენლობაში. ფოსფორმჟავა რიგი მნიშვნელოვანი დამჟანგველი ფერმენტების აუცილებელი კომპონენტია. ფოსფორმჟავასა და მისი ნარჩენებისაგან წარმოიქმნება ადფ და ატფ, რომლებსაც დიდი ადგილი უკავია სუნთქვის პროცესში [3].

კალიუმი მჭიდროდაა დაკავშირებული პროტოპლაზმის ცხოველქმედებასთან, რითაც განპირობებულია მისი უპირატესი დაგროვება ფოთლებსა და მერისტემულ ქსოვილებში. ის ადვილად გადაადგილდება მცენარის მობერებული ნაწილებიდან განვითარებადი ორგანოებისაკენ, სადაც ხელახლა გამოიყენება ამა თუ იმ სასიცოცხლო პროცესებისათვის. მცენარეში კალიუმი იონების სახით იმყოფება და უმთავრესად სწორედ ამ ფორმით ამჟღავნებს თავის აქტიურობას. მერისტემულ ქსოვილებში ის აძლიერებს ცილების სინთეზს, მონაწილეობს ფოტოსინთეზის პროცესში, როგორც უშუალოდ, ისე არაპირდაპირ - ხელს უწყობს ნახშირწყლების და მათ წინამორბედ ნივთიერებათა გარდაქმნასა და გადაადგილებას. კალიუმის ნაკლებობისას შეზღუდულია ქლოროპლასტების ფოტოსინთეზური აქტივობა. ეს ელემენტი დადებითად მოქმედებს ვეგეტატიური ნაწილების ზრდაზე, ხელს უწყობს მცენარეში წყლის მოძრაობას, ამცირებს ტრანსპირაციის პროცესს. ბოლო წლებში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილი იქნა, რომ მცენარეულ უჯრედებში კალიუმი იმყოფება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ენზიმებისათვის და აძლიერებს ფოტოსინთეზის პროცესს [4].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენი კვლევის მიზანია ძვირფასი სასურსათო და საკვები მცენარის - სიმინდის მიერ ძირითადი საკვები ელემენტების (N, P, K) შთანთქმის და დაგროვების შესწავლა, აგრეთვე მათი გამოყენების კოეფიციენტის დადგენა ცალკეული ელემენტის თანაფარდობებისა და დოზების მიხედვით.

ექსპერიმენტი ტარდებოდა ი. ლომოურის სახელობის საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი) გორის საცდელ სადგურში დაყენებულ გრძელვადიან სტაციონალურ ცდებში, მიდვრის კულტურების თესლბრუნვაში.

თესლბრუნვაში მონაწილე მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ფოსფორ-კალიუმის სხვადასხვა ფონზე იცდებოდა აზოტის მზარდი დოზები, აგრეთვე, ცალკეულ საკვებ ელემენტთა სხვადასხვა თანაფარდობა. კვლევის ზოგიერთი შედეგი ჩვენს მიერ გამოქვეყნებულია სხვადასხვა პუბლიკაციებში [5-8].

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სიმინდის მცენარეზე ერთი (IV) როტაციის კვლევის შედეგები, რომლის სქემა მოტანილია ქვემოთ (ცხრილი 1).

საკვლევი ნიმუშები აღებული იქნა მარცვლის ტექნიკური სიმწიფის ფაზაში, რომელშიც განისაზღვრა აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობა საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით (აზოტი - კელდალის, ფოსფორი და კალიუმი-ალოვან ფოტომეტრზე) მიწათმოქმედების ინსტიტუტის და გორის საცდელი სადგურის ქიმიურ ლაბორატორიებში. აღნიშნულ ელემენტთა შემცველობის საფუძველზე დადგენილ იქნა, მცენარეული პროდუქციით მათი გამოტანა ნიადაგიდან და ცალკეული საკვები ელემენტის გამოყენების კოეფიციენტი.

საცდელი ნაკვეთის ნიადაგი მდელოს ყავისფერი, კარბონატული, მექანიკური შედგენილობით მძიმე თიხნარია, კარგად გამოხატული აგრეგატულობით. მისი ქიმიური შედგენილობა 0-20 სმ ფენაში შემდეგია: ჰუმუსი - 2,89%, ჰიდროლიზური აზოტი - 5,67 მგ/100გ., მოძრავი ფოსფორი - 0,97 მგ/100გ., გაცვლითი კალიუმი - 35 მგ/100გ ნიადაგში, კარბონატობა - 13,2%, ნიადაგის არის რეაქცია - $p^{H}_{(H_2o)}$ - 7,1. მაშასადამე, საკვლევი ნიადაგი საშუალო ნაყოფიერებისაა. ის ღარიბია მოძრავი ფოსფორით, საშუალოდაა უზრუნველყოფილი ჰიდროლიზური აზოტით და შედარებით მდიდარია გაცვლითი კალიუმით.

როგორც ჩვენი კვლევის შედეგებით (ცხრილი 1) ირკვევა, შესწავლილი ელემენტებიდან სიმინდის მარცვალში ყველაზე მეტი რაოდენობითაა აზოტი, რომელიც მთელი ცდის საშუალო მონაცემებით 1,64%-ს აღწევს, შემდეგ - ფოსფორი - 0,91%, ყველაზე მცირე - კალიუმი - 0,63%. მათ შორის თანაფარდობა კი შეადგენს 2,5 : 1,5 : 1.

რაც შეეხება ცალკეულ ელემენტებს შორის თანაფარდობას, მათი შეწყვილებული კომბინაციებიდან, მცენარეში აზოტის შემცველობის თვალსაზრისით, უმნიშვნელო უპირატესობა ენიჭება NP ვარიანტს NK ვარიანტთან შედარებით და შეადგენს შესაბამისად 1,58 და 1,51%-ს. ფოსფორის და კალიუმის შეთვისების მაღალი დონე კი აღინიშნა PK ვარიანტზე (NP და NK ვარიანტებთან შედარებით) და შესაბამისად აღწევს 1,0 და 0,67%-ს.

აზოტის მზარდი დოზების გამოცდიდან გამოვლინდა, რომ დოზების ზრდასთან ერთად, მარცვალში მათი შემცველობაც იზრდება, თუმცა კვების მაღალ დონეზე მატება უმნიშვნელოა, კერძოდ, $P_{60}K_{30}$ ფონზე N_{60}, N_{90}, N_{120}-ის შეტანისას აზოტის დაგროვება შეადგენს, შესაბამისად 1,60; 1,75; 1,82%-ს. ანალოგიური მდგომარეობაა $P_{90}K_{60}$ ფონზე აზოტის იგივე დოზების გამოცდისას. აზოტის დოზები უფრო ეფექტური აღმოჩნდა ფოსფორ-კალიუმის მაღალი დოზების ($P_{90}K_{60}$) ფონზე და შეადგენს, შესაბამისად 1,72; 1,90 და 1,91%-ს. ჩვენი აზრით, ეს გარემოება დაკავშირებული უნდა იყოს ფოსფორის ზეგავლენით მცენარის მიერ აზოტის შთანთქმის გაძლიერებასთან, რაც მტკიცდება აგრეთვე მცენარის პროდუქტიულობის მონაცემებით (ცხრილი 1).

ფოსფორის დოზების გაზრდით ($P_{90}K_{60}$) ამ ელემენტის შემცველობა მარცვალში საშუალოდ შეადგენს 1,00%-ს, რაც 14,9%-ით მეტია ფოსფორ-კალიუმის დაბალი ($P_{60}K_{30}$) დოზებით განოყიერებული ვარიანტის მონაცემთან შედარებით.

ცხრილი 1

მინერალური ელემენტების თანაფარდობისა და დოზების გავლენა სიმინდის მარცვალში საკვები ელემენტების შემცველობაზე და ნიადაგიდან მათ გამოტანაზე

№	ვარიანტები	შემცველობა, %			მოსავალი	გამოტანა, კგ/ჰა		
		N	P	K	ც/ჰა	N	P_2O_5	K_2O
1	საკონტროლო	1,41	0,73	0,53	41,3	58,2	30,2	21,9
2	N_{90} K_{60}	1,51	0,80	0,61	49,5	74,7	39,6	30,2
3	N_{90} P_{90}	1,58	0,91	0,56	55,1	87,1	50,1	30,9
4	P_{60} K_{30}	1,43	0,87	0,61	46,3	66,2	40,3	28,2
5	N_{60} P_{60} K_{30}	1,60	0,85	0,64	51,3	82,1	43,6	32,8
6	N_{90} P_{60} K_{30}	1,75	0,89	0,62	55,3	96,8	49,2	34,3
7	N_{120} P_{60} K_{30}	1,82	0,89	0,62	55,7	101,4	49,6	34,5
8	P_{90} K_{60}	1,41	1,00	0,67	48,7	68,7	48,7	32,6
9	N_{60} P_{90} K_{60}	1,72	1,00	0,69	56,2	96,7	56,2	38,8
10	N_{90} P_{90} K_{60}	1,90	1,05	0,71	62,9	119,5	66,0	44,7
11	N_{120} P_{90} K_{60}	1,91	1,03	0,69	65,0	124,1	67,0	44,8
	P% =				3,17			
	HCP_{05} ც/ჰა =				1,05			

კალიუმის შემცველობა მისი დოზების გადიდებით იზრდება, მაგრამ აზოტ-ფოსფორის მატებასთან შედარებით - ნაკლებად. ეს, ალბათ, გამოწვეული უნდა იყოს საკვლევი ნიადაგის გაცვლითი კალიუმით შედარებით უკეთ უზრუნველყოფასთან.

პირველ ცხრილში მოტანილია აგრეთვე სიმინდის მარცვლის მიერ გამოტანილი საკვები ელემენტების რაოდენობა, საიდანაც ჩანს, რომ ეს მაჩვენებელიც თითოეული ელემენტისათვის საკმაოდ დინამიურია და საშუალოდ შეადგენს (კგ/ჰა): N – 88,7; P_2O_5 – 49,1; K_2O – 34,0.

მცენარეული პროდუქციით გამოტანილი აზოტის, ფოსფორის და კალიუმის რაოდენობის და შეტანილი მინერალური ელემენტების თანაფარდობის და დოზების საფუძველზე გაანგარიშებული იქნა მინერალური მარილებიდან (NH_4NO_3, $Ca(H_2PO_4)_2$, KCl) ამ ელემენტთა გამოყენების კოეფიციენტი მ. კაიუმოვის მიერ რეკომენდებული ფორმულით:

$$K_y = \frac{B_{np}}{D_y} \cdot 100$$

K_y – მინერალური მარილიდან საკვები ელემენტის გამოყენების კოეფიციენტი, %

$B_{пр}$ – ნამატი პროდუქციით გამოტანილი საკვები ელემენტის რაოდენობა, კგ/ჰა

D_y - საკვები ელემენტის დოზა, კგ/ჰა

მონაცემები მოტანილია მე-2 ცხრილში, საიდანაც ირკვევა, რომ აზოტის გამოყენების კოეფიციენტი 26,5-56,4%-ის ფარგლებში ცვალებადობს, ხოლო საშუალო მაჩვენებელი 39,8%-ია. აზოტის დოზების გარკვეულ საზღვრამდე (N_{90}) გადიდება აპირობებს მისი გამოყენების კოეფიციენტის გაზრდას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს ნორმალური ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. რაც შეეხება ფოსფორსა და კალიუმს, მათი გამოყენების კოეფიციენტი აზოტის ამავე მაჩვენებლებთან შედარებით დაბალია და შეადგენს, შესაბამისად 29,3 და 23,0%-ს.

ცხრილი 2

მინერალური მარილებიდან საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტი (სიმინდის მცენარის მიერ)

№	შემცველობა, %			გამოტანა, კგ/ჰა		
	N	P_2O_5	K_2O	N	P_2O_5	K_2O
1	0	0	0			
2	90		60			23,0
3	90	90			29,3	
4	-			-		
5	60			26,5		
6	90			34,0		
7	120			29,3		
8	-			-		
9	60			46,7		
10	90			56,4		
11	120			46,2		

მაშასადამე, ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტით ირკვევა, რომ:

მინერალური ელემენტების თანაფარდობასა და დოზებს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის მიერ მათი შეთვისებისა და დაგროვებისათვის, რაც აისახება მინერალური მარილებიდან მათ გამოყენების კოეფიციენტებზე და, საბოლოოდ, მცენარის პროდუქტიულობაზე.

შიდა ქართლის ზონაში სიმინდის მარცვლის მაღალი პროდუქტიულობისათვის (≈63ც/ჰა) NPK-ს ოპტიმალური თანაფარდობაა 1,5 : 1,5 : 1 ანუ $N_{90}P_{90}K_{60}$ დოზა. მინერალური ელემენტების რეკომენდებული თანაფარდობის და დოზების გამოყენებისას ყველაზე მაღალია თითოეული ელემენტის შემცველობა მცენარეში და მათი გამოყენების კოეფიციენტი. ეს უკანასკნელი კი გარემოს ქიმიკატებით გაბინძურებისაგან დაცვის ერთ-ერთი გზაა.

ლიტერატურა:

1. ჩხაიძე გ., მცენარეთა ფიზიოლოგია, თბ., 2003.
2. Механизм поглощения питательтных веществ. В кн.: Физиология сельскохозяйственных растений. т. 2. Отв. ред. П.А. Генкель. Изд. Московского университета, 1967.
3. ალექსიძე ნ., ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თსუ, თბ., 2005.
4. ონიანი ო., უახლესი შეხედულებები კალიუმის ფიზიოლოგიურ როლზე მცენარეში. საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები: ნიადაგის ნაყოფიერება, ტ. XXI, თბ., 1980.
5. გოგინაშვილი ნ., მინერალური სასუქების ხანგრძლივად გამოყენების ეკოლოგიური შემდგომქმედება შიდა ქართლში, სამეცნიერო შრომების კრებული: სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მ. საბაშვილის სახელობის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 1998.
6. Гогинашвили Н. Тяжёлые металлы в зерне кукурузы при разных условиях минерального питания. Химический журнал Грузии, т. 6, №1, 2006.

7. გოგინაშვილი ნ., ღოლიჯაშვილი დ., მუმლაძე ნ., მინერალური კვების ელემენტების გავლენა საშემოდგომო ხორბლის მარცვლის ბიოქიმიურ შედგენილობაზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, თბ., 2007.
8. გოგინაშვილი ნ., ღოლიჯაშვილი დ., მძიმე ლითონების მიგრაცია სისტემაში: ნიადაგი - კვების მინერალური ელემენტები - მცენარე შიდა ქართლის პირობებში საერთაშორისო კონფერენცია: აგრომრავალფეროვნების დაცვა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 24-25 ნოემბერი, 2010.

რეზიუმე

შიდა ქართლის პირობებში ჩვენს მიერ ჩატარებული ცდებით, ძირითადი საკვები ელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) შეწყვილებული თანაფარდობებიდან სიმინდის მცენარისათვის ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა აზოტ-ფოსფორის შეწყვილება 1,5 : 1,5 თანაფარდობით. სამივე საკვები ელემენტის (NPK) ერთად გამოყენებისას კი, როგორც მცენარეში მათი დაგროვების, პროდუქტიულობის, ასევე მინერალური მარილებიდან ამ ელემენტთა გამოყენების კოეფიციენტის მიხედვით, ოპტიმალურია თანაფარდობაა 1,5 : 1,5 : 1.

PLANT PROPORTION INFLUENCE OF MINERAL ELEMENTS ON THEIR ASSIMILATION AND ACCUMULATION

Neli Goginashvili, Full Professor

RESUME

Conducted survey in Shida Kartli region showed, that from the main grouped food elements (Nitrogen, Phosphor, and Potassium), the best appeared to be Nitrogen – Phosphor group 1 for the corn plant, proportion 1,5 : 1,5. With the use of the three food elements together (NPK) and according to both the productivity of accumulation of these elements in the plant and the coefficient of the use of these elements from mineral salts, the optimal proportion is 1,5 : 1,5 : 1.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი, როგორც სოციალური მოვლენა

ალექსანდრე იაშვილი, სრული პროფესორი

ფიზიკური აღზრდა და სპორტი ზოგადი კულტურის შემადგენელი ნაწილია. იგი არის სოციალური მოვლენა, რადგან ადამიანის ფიზიკური აღზრდა და ფიზიკური სრულყოფა ითვალისწინებს მის მოქალაქეობრივ ფორმირებას.

მრავალსაუკუნოვანი ფიზიკური კულტურის ისტორია ადასტურებს, რომ ფიზიკურ აღზრდას ყოველთვის გააჩნდა სოციალური ხასიათი.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით VIII საუკუნეში საბერძნეთში, კერძოდ, სპარტაში შეიქმნა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ისეთი სისტემა, რომელსაც სამხედრო მიმართულება ჰქონდა. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მოზარდებს აჩვევდნენ ყოველგვარი გაჭირვების ატანას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აღზრდის პროცესში სამხედრო-ფიზკულტურულ ვარჯიშებს, ვაჟების აღზრდის პროცესში გამოიყენებდნენ რბენას, ხტომებს, ჭიდაობას, შუბის ტყორცნას და სამხედრო თამაშებს.

ფიზიკური სრულყოფის პროცესი დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის სულიერ სამყაროზე, მის ესთეტიკურ გემოვნებაზე, ცხოვრებისეულ წესებსა და პრინციპებზე, იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სოციალური ძალები წარმართავენ ადამიანის ფიზიკური სრულყოფის პროცესს.

ფიზიკური აღზრდის თანამედროვე სისტემაში სპორტი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, რაც აიხსნება საერთაშორისო სპორტული კავშირების გაფართოებით და პრესტიჟული მნიშვნელობის გაზრდით, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის როლს მოზარდის, პიროვნების სოციალურ ფორმირებაში.

სპორტის როლს პიროვნების სოციალურ აღზრდაში ადასტურებს ოლიმპიური თამაშების წარმოშობის ისტორია და მისი შინაარსი.

როგორც ცნობილია, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წლიდან დაწყებული ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გრანდიოზული ღონისძიება. თამაშების ჩატარების პერიოდში მთელ საბერძნეთში წყდებოდა საომარი მოქმედებანი და ქვეყანაში მშვიდობა ისადგურებდა, გუშინდელი მოძულენი ივიწყებდნენ შუღლს და მტრობას. აღნიშნული წესი დღესაც ძალაშია.

თავისი მნიშვნელობითა და ხასიათით თანამედროვე ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს ჩვენი დროის სპორტსმენი ახალგაზრდობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს - ეკონომიკას, პოლიტიკას, კულტურასა და იდეოლოგიას მოიცავს. ოლიმპიური თამაშები თავისი პოპულარობის გამო მსოფლიოს სახელმწიფო მთავრობების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, საზოგადო მოღვაწეთა და საქმიანი წრეების მხედველობის არეშია მოქცეული.

გამოჩენილი ფრანგი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პიერ დე კუბერტენის ინიციატივით 1894 წელს მოწვეულ პარიზის პირველ საერთაშორისო კონგრესზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა 12 ქვეყნის წარმომადგენელი შეიქმნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი.

პიერ დე კუბერტენი არის ოლიმპიური სიმბოლიკის ავტორი. ოლიმპიური სიმბოლიკა წარმოადგენს თეთრ ტილოზე ხუთ, ფერად შეკრულ რგოლს:

ცისფერი - ევროპა, ყვითელი - აზია, მწვანე - ავსტრალია, წითელი - ამერიკა, შავი - აფრიკა.

ოლიმპიური სიმბოლიკა არის იდუმალი აზრის შემცველი. ხუთი ფერის კომბინაცია წარმოადგენს ყველა ქვეყნის ნაციონალური ფერის შერწყმას.

იგი არის ხალხთა ერთობის ერთ დიდ სახლად თანაცხოვრების სიმბოლო, რისკენაც მიისწრაფვის ცივილიზებული სამყარო.

სპორტის სოციალურობის, სოციალურ აღზრდაში მისი არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი როლის დიდებულ გამოხატულებას წარმოადგენს პიერ დე კუბერტენის გამონათქვამი სპორტის შესახებ:

„შენ ხარ მშვიდობა! შენ ამყარებ ხალხთა შორის კეთილმეგობრულ ურთიერთობებს.

შენ ხარ თანხმობა! შენ აახლოებ ერთმანეთს ერთობის მსურველ ადამიანებს.

შენ ასწავლი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა ტომის ახალგაზრდობას პატივისცემას და ურთიერთნდობას.

შენ ხარ წყარო კეთილშობილი, მშვიდობიანი შეჯიბრებისა.

შენ ხარ ახალგაზრდობის - ჩვენი მომავლის, ჩვენი იმედის გამაერთიანებელი შენი მშვიდობის დროშის ქვეშ.

შენ ხარ მშვიდობა!“

სპორტი ნამდვილად მშვიდობის გარანტიაა ადამიანებს, ქვეყნებსა და სახელმწიფოებს შორის. იგი აახლოებს ხალხებს, პოლიტიკას, ეკონომიკას, ამიტომაც არის იგი უდიდესი აღმზრდელობითი და სოციალური ფუნქციის მატარებელი.

ფიზიკური აღზრდა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

იგი ითვალისწინებს ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანის აღზრდას, მის მომზადებას სოციალურ ურთიერთქმედებებში ჩართვისათვის მოქალაქეობრივი ფუნქციის ღირსეულად აღსასრულებლად.

ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ამ მიმართულებით ძალზე ეფექტური და ქმედითი საშუალებები გააჩნია.

სპორტული მწვერვალებისაკენ მიმავალი გზა იოლი არ არის. ამ დარგში ელემენტარული წარმატების მისაღწევად პირველ და აუცილებელ პირობას ბეჯითი შრომა წარმოადგენს. ცალკეულ მოძრაობათა დაუფლება, დაწყებული უმარტივესი სახეებიდან, მრავალჯერ გამეორებას მოითხოვს. ასე, რომ სპორტში შედეგის მიღწევა უდიდეს შრომასთანაა დაკავშირებული.

მაღალი ოსტატობისა და წარმატების მისაღწევად აუცილებელია ფსიქოლოგიური თვისებების (ძლიერი ნებისყოფა, ემოციური სიმტკიცე, ყურადღება, დაჟინება, შეუპოვრობა და მიზანდასახულობა) ფორმირება და განმტკიცება.

მიღწეული წარმატება და გამარჯვება ამაღლებს რწმენას საკუთარი ძალებისადმი, განამტკიცებს ადამიანში სოციალური და ფიზიკური სრულფასოვნების გრძნობას.

დამოკიდებულებები მოვარჯიშესა და პედაგოგს შორის, სპორტულ მოწინააღმდეგესთან, მსაჯთან, გულშემატკივართან, სპორტული რეჟიმით გათვალისწინებული თვითშეზღუდვა, რომელიც ავალდებულებს სპორტსმენს უარი თქვას „ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე“, სიმშვიდის ინერციის სისტემატიური დაძლევის აუცილებლობა და თავის მობილიზება ნეგატიური მოვლენების საწინააღმდეგო და აქტიურ მოქმედებაზე აქცენტირებით, აყალიბებს „სპორტულ ხასიათს“, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ადამიანების სოციალიზაციისათვის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, თბ., 1996.
2. საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია (2003-2015 წლები). თბ., 2002.
3. ყოლბაია მ., სპორტის ფსიქოლოგია, გამომცემლობა „ცის ნამი“, თბ., 2003.
4. ძაგანია გ., ოლიმპიური თამაშები, გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“, თბ., 2003.
5. სპორტის თეორია (მესამე ნაწილი), თბ., 2007.
6. www.sportandyouth.ge

რეზიუმე

ნაშრომი ფიზიკური აღზრდა და სპორტი, როგორც სოციალური მოვლენა ეხება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, რომელშიც განხილულია უძველესი პერიოდიდან დღემდე ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა ადამიანის სოციალიზაციის საქმეში.

ფიზიკურ აღზრდას საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში გააჩნდა სოციალური ხასიათი.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში ძველ საბერძნეთში, კერძოდ, სპარტას სახელმწიფოში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ისეთი სისტემა იყო, რომელიც პასუხობდა ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს, სადაც წინა პლანზე იყო წამოწეული მომავალი მებრძოლის აღზრდა, რომელიც შეძლებდა თავისი ქვეყნის დაცვას გარეშე მტრებისაგან.

ფიზიკური აღზრდის თანამედროვე სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სპორტს, რადგან იგი არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა შორის კავშირურთიერთობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

სპორტის როლს პიროვნების სოციალურ აღზრდაში ადასტურებს ოლიმპიური თამაშების წარმოშობისა და მისი ჩატარების ისტორია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამაშების ჩატარების წესი, რომელიც ოლიმპიური თამაშების დროს კრძალავდა საომარ მოქმედებებს. აღნიშნული წესი დღემდე არის შენარჩუნებული. დღევანდელი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს სპორტსმენი ახალგაზრდობის ერთ-ერთ მომხიბვლელ და კეთილშობილურ ფორმას. იგი არის უზარმაზარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა რომელიც ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს – ეკონომიკას, პოლიტიკას, კულტურასა და იდეოლოგიას მოიცავს.

სპორტში მიღწეული წარმატება და გამარჯვება ამაღლებს რწმენას საკუთარი ძალებისადმი, რაც განამტკიცებს ადამიანში სოციალური და ფიზიკური სრულფასოვნების გრძნობას.

სასწავლო-საწვრთნო პროცესში პედაგოგისა და მოზარდის, დამოკიდებულებები, შეჯიბრების პროცესში ურთიერთობები სპორტულ მოწინააღმდეგესთან, მსაჯთან და მაყურებელთან აყალიბებს სპორტულ ხასიათს, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის მოზარდის სოციალიზაციისათვის.

PHYSICAL EDUCATION AND SPORT, AS ONE OF THE MOST SOCIAL PHENOMENON

Aleksandre Iashvili, Full Professor

RESUME

In the article, physical education and sport, as one of the most social phenomenon, the place of physical education in human's social work from the unique period up to now is discussed. Physical education had social character in the different levels of human development.

In the VIII century BC in unique Greece, in the state of Sparta there was system of physical education, that was relative to their country interests. It was important to grow up fighters who will be able to protect their country form their enemy attacks.

In modern system of physical education sport is of on the important aspect, because it is the best way to communicate among the international nations.

The importance of sport in social growth is also proved by the birth of Olympic games and its history. The rules are extremely important , which banned war during Olympic games. The rule is brought till today. Nowadays Olympic games represent one of the most attractive and honest form of youth sportsmen. It is the biggest phenomenon of society, that contains every area, economy, politics, ideology and culture, of human life.

The achievements gained in sports raise self-confidence , that strengthens the sense of social and physical value.

In educational-training process the dependence of teacher and student, the relationship during competition with the opponent, referee and audience forms sport character, that makes good background for socialization of young generation.

ჰიპოთეზათა შეფასების ძალდებული კრიტერიუმები

მალხაზ მუმლაძე, სრული პროფესორი
ზურაბ ზერაკიძე, სრული პროფესორი

ამ სტატიაში ჩვენ ავაგებთ პოთეზათა შეფასების ძალდებული კრიტერიუმების მაგალითებს.

ვთქვათ, (E,S) ზომადი სივრცეა და $\{\mu_i, i \in I\}$ ალბათურ ზომათა რაიმე ოჯახია, რომელთაგან თითოეული განსაზღვრულია S σ-ალგებრაზე.

განსაზღვრება 1. ვიტყვით, რომ $\{\mu_i, i \in I\}$ ალბათურ ზომათა ოჯახი ორთოგონალურია, თუ მასში შემავალი ზომები წყვილ-წყვილად ორთოგონალურია.

განსაზღვრება 2. ვიტყვით, რომ $\{\mu_i, i \in I\}$ ალბათურ ზომათა ოჯახი სუსტად განცალებადია, თუ არსებობს ისეთი S - ზომადი სიმრავლეები $A_i, i \in I$, რომ

$$\mu_i(A_j) = \begin{cases} 1, & i = j \\ 0 & i \neq j \end{cases}.$$

განსაზღვრება 3. ვიტყვით, რომ $\{\mu_i, i \in I\}$ ალბათურ ზომათა ოჯახი ძლიერად განცალებადია, თუ არსებობს ისეთი წყვილ-წყვილად თანაუკვეთი S - ზომადი სიმრავლეები $A_i, i \in I$, რომ

$$\mu_i(A_i) = 1, \quad \forall i \in I$$

თქვათ, $\{H\}$ ჰიპოთეზათა რაიმე სიმრავლეა, $\mathrm{B}(\{H\})$ $\{H\}$ სიმრავლის ქვესიმრავლეების ისეთი σ - ალგებრა, რომელიც შეიცავს $\{H\}$ -ის ყველა სასრულ ქვესიმრავლეს.

განსაზღვრება 4. ვიტყვით, რომ ალბათურ ზომათა $\{\mu_H, H \in \{H\}\}$ ოჯახი უშვებს ჰიპოთეზათა შეფასების ძალდებულ კრიტერიუმს, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი $\delta : (E,S) \to (\{H\}, \mathrm{B}(\{H\})$ ასახვა, რომ

$$\mu_H(\{x \mid \delta(x) = H\}) = 1, \quad \forall H \in \{H\}.$$

შეიძლება დავამტკიცოთ[2]:

თეორემა 1. თუ ალბათურ ზომათა ოჯახი უშვებს ჰიპოთეზათა შეფასების ძალდებულ კრიტერიუმს, მაშინ ეს ოჯახი ძლიერად განცალებადია.

შებრუნებულ დებულებას ზოგადად ადგილი არ აქვს.

შეიძლება დავამტკიცოთ[2]:

თეორემა 2. რომ თუ $\{H\}$ სიმრავლე თვლადია, $\{\mu_H, H \in \{H\}\}$ ოჯახი ორთოგონალური, სუსტად განცალებადი ან ძლიერად განცალებადი, მაშინ იგი უშვებს ჰიპოთეზათა ძალდებულ შეფასებას.

განსაზღვრება 5 . სიდიდეს: $\alpha_H(\delta) = \mu_H(\{x \mid \delta(x) \neq H\})$ ეწოდება H ჰიპოთეზის არჩევის შეცდომის ალბათობა δ კრიტერიუმისათვის.

შეიძლება დავამტკიცოთ [2]:

თეორემა 3. δ ძალდებული კრიტერიუმისათვის ნებისმიერი H ჰიპოთეზის შესაბამისი ტიპის შეცდომის ალბათობა ნულის ტოლია.

მაგალითი 1. ვთქვათ $E = R$ და $\mathrm{B}(R)$ ბორელის σ ალგებრაა R -ში. μ_{H_n} იყოს $[n, n+1)$, $n \in Z$ ინტერვალში თანაბრად განაწილებული ალბათური ზომა.

H_n, $n \in Z$ იყოს ჰიპოთეზა იმისა, რომ ξ შემთხვევითი სიდიდე თანაბრად იქნება განაწილებული $[n, n+1)$ ინტერვალში. განვსაზღვროთ

$$\delta : (R, \mathrm{B}(R)) \to (\{H_n\}, \mathrm{B}(\{H_n\})$$

ასახვა შემდეგნაირად: $\delta(x) = H_n$ თუ $x \in [n+1)$, $n \in Z$. ცხადია, ეს ასახვა ზომადია და

$$\mu_{H_n}(\{x \mid \delta(x) = H_n\}) = 1, \quad \forall n \in Z .$$

ეს კი ნიშნავს, რომ δ ძალდებული კრიტერიუმია.

ვაჩვენოთ, რომ ნებისმიერი n-ისათვის H_n ჰიპოთეზის შესაბამისი ტიპის შეცდომის ალბათობა ნულის ტოლია მოცემული δ ძალდებული კრიტერიუმისათვის. მართლაც:

$$\alpha_{H_n}(\delta) = \mu_{H_n}\{x \mid \delta(x) \neq H_n\} = \mu_{H_n}(R \setminus [n, n+1)) = \mu_{H_n}(R) \setminus \mu_{H_n}([n, n+1)) = 1 - 1 = 0 .$$

მაგალითი 2. ვთქვათ $E = R^n$ და $\mathrm{B}(R^n)$ ბორელის σ ალგებრაა R^n -ში. განვიხილოთ ნახევრად ღია კუბები $K_m^{n,}$, $m \in Z$ რომლებიც განისაზღვრებიან შემდეგნაირად:

$$K_m^n = \{(x_1, x_2, ..., x_n) \mid m \le x_1 < m+1, \ m \le x_2 < m+1, ..., m \le x_n < m+1\} .$$

ცხადია, ეს კუბები შეადგენენ R^n-ის დაყოფას. μ_{H_m} იყოს $K_m^{n,}$, $m \in Z$ კუბში თანაბრად განაწილებული ალბათური ზომა.

H_m, $m \in Z$ იყოს ჰიპოთეზა იმისა, რომ ξ შემთხვევითი სიდიდე თანაბრად იქნება განაწილებული $K_m^{n,}$, $m \in Z$ კუბში. განვსაზღვროთ

$$\delta : (R^n, \mathrm{B}(R^n)) \to (\{H_m\}, \mathrm{B}(\{H_m\})$$

ასახვა შემდეგნაირად: $\delta(x) = H_m$ თუ $x \in K_m^n$ $m \in Z$. ცხადია, ეს ასახვა ზომადია და

$$\mu_{H_m}(\{x \mid \delta(x) = H_m\}) = 1, \quad \forall m \in Z .$$

ეს კი ნიშნავს, რომ δ ძალდებული კრიტერიუმია.

ვაჩვენოთ, რომ ნებისმიერი m-ისათვის H_m ჰიპოთეზის შესაბამისი ტიპის შეცდომის ალბათობა ნულის ტოლია მოცემული δ ძალდებული კრიტერიუმისათვის. მართლაც:

$$\alpha_{H_m}(\delta) = \mu_{H_m}\{x \mid \delta(x) \neq H_m\} = \mu_{H_m}(R^n \setminus K_m^n) = \mu_{H_m}(R) \setminus \mu_{H_m}(K_m^n) = 1 - 1 = 0$$

ლიტერატურა:
1. Боровков А. А., Математическая статистика, М., 1984.
2. Зеракидзе З., Обобщение критерии Неймана-Пирсоона, Proceeding of international scientific conference: Information technologies, 2008.

რეზიუმე
სტატიაში აგებულია ჰიპოთეზათა ძალდებული შეფასების მაგალითები.

CONSISTENT CRITERIA OF HYPOTHESES

Malkhaz Mumladze, Full Professor
Zurab Zerakidze, Full Professor

SUMMARY

In this paper is build examples of consistent criteria for hypotheses.

ტექნიკის სწავლებისა და სრულყოფის საფუძვლები თავისუფალ ჭიდაობაში

გიორგი მძინარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სპორტული ოსტატობის უმთავრესი კრიტერიუმი არის მოჭიდავის ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების დონე. ნებისმიერი საშეჯიბრო შერკინება ფასდება ჩატარებული ილეთების რაოდენობითა და ხარისხით, რომლებიც სრულდება ტაქტიკური მომზადების სხვდასხვა ხერხების გამოყენებით. ამიტომ თავისუფალ ჭიდაობაში ჭიდაობის ილეთებსა და ტექნიკური მომზადების ხერხებს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა და დროს, განსაკუთრებით მაღალკვალიფიციურ სპორტსმენებში.

სპორტსმენების ტექნიკური მომზადება ანუ ტექნიკური ოსტატობა ხასიათდება იმით, თუ რა იცის სპორტსმენმა და როგორ ფლობს ძირითად ტექნიკურ მოქმედებებს.

ამ მაჩვენებლების პირველ ჯგუფს შეადგენს: ა) მოცულობა; ბ) მრავალმხრივობა; გ) ტექნიკური მოქმედებების რაციონალობა, რომელსაც ასრულებს სპორტსმენი; მეორე ჯგუფს: ა) ეფექტურობა; ბ) ათვისებულის შესრულება.

ტექნიკური მომზადების მოცულობას განსაზღვრავს ტექნიკური მოქმედებების რიცხვი, რომელსაც ასრულებს სპორტსმენი.

გამოარჩევენ ტექნიკური მომზადების საერთო და საშეჯიბრო მოცულობას.

საერთო მოცულობა - არის ის ჯამური მოცულობა, რომელსაც ფლობს სპორტსმენი.

საშეჯიბრო მოცულობა - არის ილეთების ის რაოდენობა, რომელსაც ატარებენ და ასრულებენ სპორტსმენები შეჯიბრებებზე.

სხვადასხვა სპორტის სახეობა გამოირჩევა თავისი ილეთების მრავალფეროვნებითა და ილეთების მოცულობით. კერძოდ, თავისუფალ ჭიდაობაში არსებობს 1000-ზე მეტი ილეთი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეჯიბრებებზე მოჭიდავეები იყენებენ ყველა ილეთს. ხშირ შემთხვევაში სპორტსმენები იყენებენ ერთ ან ორ ილეთს. რაც მეტია განსხვავება შეხვედრაში მონაწილე სპორტსმენების კვალიფიკაციაში, მით უფრო მეტი მრავალფეროვანი ილეთის დემონსტრირება ხდება ამ ორთაბრძოლაში.

როგორც ვიცით, თავისუფალ ჭიდაობაში ტექნიკური ილეთები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: 1) შეტევითი ილეთები; 2) დაცვები; 3) კონტრილეთები და ამ ილეთებიდან ხდება კომბინაციებისა და კომპლექსების აწყობა და დამუშავება.

ჭიდაობის მასწავლებელმა, მწვრთნელმა, სპორტის სპეციალისტმა, სასწავლო-საწვრთნო პროცესის დაგეგმვისა და პროგრამირების დროს უნდა მოახდინოს ორიენტაცია შეჯიბრებებზე ჩატარებული

რაოდენობრივი და ხარისხობრივი ტექნიკური მაჩვენებლების მიხედვით. შეჯიბრებები გვაძლევს ობიექტურ სურათს თავისუფალ ჭიდაობაში არსებული რეალობის, პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ.

ჩვენს მიერ წლების მანძილზე საქართველოს ჩემპიონატებზე, პირველობებსა და სხვადასხვა რანგის რესპულიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე ჩატარებული იყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეების ტექნიკური მოქმედებების რეგისტრაცია და ანალიზი სტენოგრაფირების მეთოდის გამოყენებით.

რეგისტრაცია ხდებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სიმბოლოების საშუალებით.

ანალიზს ვატარებდით ოთხ ასაკობრივ ჯგუფში.

დარეგისტრირებული და დამუშვებული მონაცემების საფუძველზე ჩვენ დავადგინეთ, რომ აღნიშნულ შეჯიბრებზე ყველა ასაკში დომინირებს ილეთები, როდესაც სპორტსმენი შედის ერთ ან ორ ფეხში ხელით, ხელებით.

მათი რაოდენობა დაახლოებით 70%-დან 80%-მდეა, სხვა ილეთები (გადაყვანები, გდებები და წაქცევები) შეადგენენ დანარჩენ დაბალპროცენტულ რაოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალ ჭიდაობაში დღეს დომინირებს ეს ილეთები თავისი მოცულობით, სწავლების მეთოდიკას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აქვს განსხვავებები. მაგალითად, კახეთში დიდ ყურადღებას აქცევენ თავისუფალ ჭიდაობაში ფეხით ჭიდაობას, ქუთაისში - გდებებს: წისქვილას, კისრულს, დაკიდებით გდებას, გორში კი - ისევ და ისევ ფეხში ხელებით ჩატარებულ მოვლებებს და გადაყვანებს ჩოქბჯენში.

საერთაშორისო კლასის ბევრი მოჭიდავე თვლის, რომ ტექნიკის სრულყოფა არის ადრე შესწავლილი ილეთების კორექტირება და სრულყოფა. ხშირად ეს სპორტსმენები ამუშავებენ და სრულყოფილების დონეზე აყავთ ის ილეთები, რომელიც არის არაეფექტური შეჯიბრებებზე. მხოლოდ ეფექტურ ილეთებს არ ამუშავებენ იმიტომ, რომ თვლიან საკმარისად მათ ტექნიკურ არსენალს და არ ანიჭებენ სხვა ილეთებს დიდ მნიშვნელობას.

სპორტსმენის უპირველესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოჭიდავემ უნდა მოახდინოს ახალი ილეთების, დაცვებისა და კომბინაციების შესწავლა, შემდგომ კი მათი სრულყოფილების დონეზე აყვანა.

როგორც წესი, მოჭიდავის არსენალი ყალიბდება ბავშვობიდან. მწვრთნელმა საწყის ეტაპზე უნდა მიაწოდოს თავის მოსწავლეებს მრავალფეროვანი, ეფექტური ილეთები, სხვადასხვა დამატებითი ხერხების და მეთოდების გამოყენებით.

თუ ადრეულ ასაკში ვერ მოხერხდა მოსწავლეების მიერ მრავალფეროვანი ეფექტური ილეთების ათვისება დიდობის ასაკში ეს პროცესი რთულდება, მაგრამ შესაძლებელია და დამოკიდებულია მოსწავლე-მასწავლებლის მონდომებაზე და შესაძლებლობებზე, რის საფუძველიც არის მასწავლებლის ცოდნა და მოსწავლის ფსიქო-ფუნქციონალური მარაგი და დონე.

ჩვენ ვურჩევთ ყველა მწვრთნელსა და მასწავლებელს და ვხედავთ ამაში აუცილებლობას, რომ სწავლების პირველ და მეორე წელიწადს მეტი ყურადღება გადაიტანონ ლამაზი და ეფექტური ილეთების სწავლებაზე მაქსიმალური და კარგი შედეგების მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. Пилоян Д.А., Совершенствование атакующих и контратакующих действий.В кн. «Спортивная борьба», ежегодн., ФиС, , М., 1972, с. 49-51.
2. Донской Д.Д., Зациорский В.М. «Биомеханика», ФиС, М., 1979, с. 235-255.
3. Туманян Г.С., В кн. «Спортивная борьба», ФиС, М., 1985, с. 142.
4. Медведь А.В., Кочурко Е.И., Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы. Мн., Полымя, 1985, с. 144.
5. Шахмурадов Ю.А., Преследование соперника после перевода в партер в вольной борьбе, в кн. «Спортивная борьба», ежедн., ФиС, М., 1985, с. 45-46.

რეზიუმე

თავისუფალ ჭიდაობაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკურ მომზადებას. იქიდან გამომდინარე, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ყველაზე მეტი ტექნიკური მოქმედება არსებობს (1000-ზე მეტი). ეს პროცესი უფრო რთულია. ტექნიკური არსენალი ყალიბდება ადრეულ ასაკში. შეჯიბრებების მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მოჭიდავეთა ტექნიკური არსენალი დიდი კონკურენციის პირობებში შეზღუდულია. ჩვენს მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებიდან

გამომდინარე, მასწავლებლებს ვურჩევდი, რომ დიდი ყურადღება დაუთმონ ლამაზი და ეფექტიანი ილეთების სწავლებასა და სრულყოფას სწავლების პირველ წლებში.

FUNDAMENTALS OF TEACHING AND IMPROVING TECHNIQUES IN FREE STYLE WRESTLING

Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor

RESUME

Technical training plays one of the most important role in free wrestling. So this process is rather difficult because there are more technical actions in free wrestling (over 1000) than in other sport events. Combination of technical abilities begin to develop at an early age. The results show that combination of wrestler's abilities is limited in case of great competition. We have had a great variety of works on this question and we would advise the trainers to pay a proper attention to teaching and developing refined and perfect actions at the beginning level of training.

კომპიუტერული დანაშაულის საფრთხეები და საქართველოში მისი პრევენციის ზოგიერთი საკითხი

ციური ნოზაძე, ასოცირებული პროფესორი

უკანასკნელი წლების განმავლობაში თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ პირველხარისხოვან კრიმინალურ პრობლემად კომპიუტერული დანაშაული იქცა. მრავალი სხვა ქვეყნის მსგავსად, საქართველოშიც გამოვლენილია კომპიუტერით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები, მათ შორის: პირად ცხოვრების ხელყოფა, ფინანსური დოკუმენტაციის გაყალბება, ვინაობის გაყალბება, ინტელექტუალური საკუთრების უფლების შელახვა, სისტემაზე თავდასხმა და სხვა.

ქართული საზოგადოების კომპიუტერიზაციასთან ერთად, ქვეყანაში კიბერ-დანაშაულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 2011 წლის მონაცემებით კომპიუტერული დანაშაულის სხვადასხვა მუხლებით გამოძიება სულ 41 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო. აქედან 28 პირზე გამოცხადდა სისხლის სამართლებრივი დევნა, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი კი 14 საქმეზე იქნა გამოტანილი. სისხლის სამართლის საქმეები ეხებოდა ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელყოფა, კომპიუტერულ სისტემებში უკანონო შეღწევა, მონაცემთა ბოროტად გამოყენება, მონაცემთა ან სისტემის ხელყოფა. დანაშაულის გამოვლენას და აღკვეთას ართულებს ის გარემოება, რომ თითქმის შეუძლებელია დანაშაულის ჩამდენის ადგილის დადგენა.

საქართველოს კანონმდებლობით კიბერდანაშაულის სახეებს განეკუთვნება:

- კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა;
- ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება;
- ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევა.

სპეციალისტები უახლოეს მომავალში ორგანიზებული კიბერ თავდასხმების რაოდენობის მატებას პროგნოზირებენ იქიდან გამომდინარე, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ინტენსიურად იზრდება, ამასთან თავდასხმების უმეტესობა ინტერნეტის გამოყენებით ხორციელდება. საქართველოში მოქმედი კომპიუტერული უსაფრთხოების რეაგირების ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები 2010 1 იანვრის მდგომარეობით მოტანილია დიაგრამაზე, რომლის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის (4 436.4 ათასი) დაახლოებით 30% (1 300 000) ინტერნეტ მომხმარებელია, ხოლო აქედან დაახლოებით 47% (615 980) Facebook-ის მომხმარებელია, რომელთა რიცხვი მეტად სწრაფად იზრდება.



საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აქედან:

- 10.000-ზე მეტი IP მისამართია, რომელიც უკავშირდება ცნობილ Botnet ქსელებს;

(ბოტნეტი არის ინფიცირებული კომპიუტერისგან შემდგარი ქსელი, რომელიც დისტანციურად იმართება კიბერდამნაშავის მიერ სხვადასხვა ტიპის კიბერშეტევების განსახორციელებლად).

- 2000-ზე მეტი IP მისამართია რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება საეჭვო ინტერნეტ აქტივობაში (ქსელის პორტის სკანერები, Post Scanner, ბოტ კომპიუტერი Bot, სპამი SPAM და სხვ.);
- 100-ზე მეტი მავნე კოდის ან ვირუსის შემცველი ვებგვერდია;
- 50 000-ზე მეტი დავირუსებული კომპიუტერია.



კომპიუტერული დანაშაულისათვის ყველაზე ხელსაყრელი და გავრცელებული საშუალებაა ინტერნეტის ყველაზე პოპულარული სამსახური - ელექტრონული ფოსტა. ელექტრონული ფოსტა ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი სამსახურია, ვინაიდან თავდაპირველად ელექტრონული ფოსტა არ იყო შექმნილი უსაფრთხოების მკაცრი ზომების გათვალისწინებით, რადგან მისი მიზანი იყო მხოლოდ ტექსტური ინფორმაციის სწრაფად და მარტივად გადაცემა ინტერნეტის საშუალებით.

სტატისტიკური მონაცემებით:

- მსოფლიოში არსებობს 3 მილიარდზე მეტი ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- 75% არის პერსონალური ხოლო 25% კორპორატიულო ელ-ფოსტის მისამართი;
- ელ-ფოსტის მისამართების 49% განლაგებულია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში;
- 22 % ევროპაში, 14% ჩრდილო ამერიკაში და 15% დანარჩენი მსოფლიოში;
- ყოველდღიურად იგზავნება 250 მილიარდზე მეტი ელექტრონული წერილი.

აღსანიშნავია, რომ დღეს ინტერნეტში მომუშავე ადამიანებს ყველაზე დიდ საფრთხეს ვირუსები უქმნიან. მაგალითად, Panda Security კომპანიის PandaLabs ლაბორატორიის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კიბერდანაშაულმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. http://itsecure.org.ua/news ინფორმაციით 2012 წლის

მესამე კვარტალის მონაცემებით აღმოჩენილია 5 მილიონი საზიანო პროგრამული კოდი, რომელთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება.

ანტივირუსული პროგრამების დამუშავების კომპანია კომპიუტერული უსაფრთხოების სფეროში ESET - იუწყება ყველაზე გავრცელებულ ინტერნეტ-საფრთხეებზე, რომელიც გამოვლენილი იქნა ThreatSense.Net - ადრეული გამოვლენის ტექნოლოგიის საშუალებით ESET ვირუსული ლაბორატორიის სპეციალისტების მიერ 2012 წელს. სპეციალისტებისთვის მთავარ გამოწვევად იქცა ე.წ. ჭიის - Conficker აქტივობის შემცირება, რომელიც პერსონალურ ინფორმაციას, სააღრიცხვო ჩანაწერებს იპარავს დავირუსებული კომპიუტერებიდან და აგზავნის დაშორებულ სერვერზე. მეორე ადგილს იკავებს საზიანო პროგრამების ოჯახი, რომლებიც ვრცელდება გადამტან მატარებლებზე – INF/Autorun, ხოლო მესამე პოზიციას იკავებს Conficker - ის ერთერთი მოდიფიკაცია Win32/Conficker.AA.

ThreatSense.Net – გლობალური სერვისის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ახალი საეჭვო ან საზიანო პროგრამების ავტომატურ გადაცემას ვირუსული ლაბორატორიის ESET ექსპერტებისათვის ანალიზისა და ოპერატიული გადაწყვეტილებების შესამუშავებლად აქვეყნებს ვირუსული პროგრამების აქტივობის შემდეგ სტატისტიკას:

ათი ყველაზე გავრცელებული საფრთხე მსოფლიოში 2010 წლის აპრილის მონაცემებით ასეთია:

1.	Win32/Conficker	9,47%
2.	INF/Autorun	7,98%
3.	Win32/Agent	3,53%
4.	Win32/PSW.OnLineGames	3,48%
5.	INF/Conficker	1,67%
6.	Win32/Packed/FlyStudio.O.Gen	1,34%
7.	Win32/Sality	1,32%
8.	Win32/Pacex.Gen	1,10%
9.	Win32/Tifaut	1,00%
10.	Win32/Spy.Ursnif.A	0,90%

საზიანო პროგრამების მსოფლიო რეიტინგში ძირითად ტენდენციად იქცა იმ საზიანო პროგრამების გავრცელება, რომლებიც იპარავენ პერსონალურ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვიურად კლებულობს Conficker-ის აქტივობა, იგი მაინც იკავებს პირველ პოზიციას მსოფლიო ათეულში. დიაგრამებზე ასახულია პერსონალურ ინფორმაციას უკანონო მოპოვების სამი ყველაზე გავრცელებული საზიანო პროგრამების აქტივობის რეიტინგები ქვეყნების მიხედვით:

პირველ პოზიციაზეა Conficker - ის აქტივობა - 9.47%-ით.



მეორე პოზიციაზეა INF/Autorun - ის აქტივობა 7,98%-ით.



მესამე პოზიციას იკავებს ტროანული პროგრამა Win32/Agent - ის აქტივობა 3,53% - ით



რადგანაც ინტერნეტისა და კომპიუტერული სისტემების მეშვეობით შესაძლებელი ხდება მრავალი დანაშაულის ჩადენა, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებობდეს კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სათანადო ნორმატიული და ინსტიტუციური ბაზა, პრევენციის საშუალებები, კვალიფიციური ადამიანური რესურსი და მომხმარებელთა დროული ინფორმირება საფრთხეების შესახებ.

არსებობენ ინსტრუმენტალური საშუალებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საფრთხეების აღმოჩენა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით საქართველოში ფუნქციონირებს ექსპერტიზის სამსახური - *დელტა სისტემი,* რომელიც ფლობს ინფორმაციული უსაფრთხოების კონკრეტული ტექნოლოგიების დანერგვისა და მხარდაჭერის დიდ გამოცდილებას. დელტა სისტემსს პარტნიორული ურთიერთობები აქვს მსოფლიოში წამყვან კომპანიებთან უსაფრთხოების მიმართულებით და წარმატებულად ახორციელებს მათი ტექნოლოგიების დანერგვას ქართულ კომპანიებში. უსაფრთხოების სისტემების დანერგვა, ორგანიზაციას შესაძლებლობას მისცემს გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

- ობიექტურად შეაფასოს მიმდინარე ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა;
- აიცილოს კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვა;
- უზრუნველყოს ინტერნეტში უსაფრთხო წვდომა, ამასთან, დაცული იყოს ვირუსული შეტევებისა და SPAM-ისგან;
- დაიცვას ელექტრონული დოკუმენტების ბრუნვა;
- უზრუნველყოფილი იქნას დაცული ურთიერთქმედება ტერიტორიულად დაშორებულ ოფისებსა და მობილურ მომხმარებლებთან;

გარდა ამისა, საქართველოში ფუნქციონირებს კომპიუტერული უსაფრთხოების რეაგირების ჯგუფი CERT (Computer Emergency Responce Team). CERT საქართველოს გააჩნია თანამედროვე კიბერ შეტევების აღმოჩენის სისტემა (Intrusion Detection System), რომელიც მონიტორინგს უწევს ქსელს და სერვერებს კიბერშეტევებზე სწრაფი რეაგირებისათვის.

2011 წელს კიბერდამნაშავეების მთავარი სამიზნე იყო და დღესაც რჩება დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემები, მსხვილი კომპანიების კომერციული საიდუმლოებები, აგრეთვე მობილური მოწყობილობები, განსაკუთრებით Android-ის პლატფორმის.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერული დანაშაულის პრევენციის მიზნით საქართველოში 2010 წლის 2 მარტიდან იუსტიციის სამინისტროსთან ხორციელდება „კომპიუტერული დანაშაულის პროექტი". პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების უსაფრთხოებას საქართველოში. პროექტის ფარგლებში იგეგმება მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება ამ მიმართულებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში კომპიუტერული დანაშაულის პრევენციისა და კომპიუტერული უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება, მათ შორის მნიშვნელოვანია:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- კომპიუტერული დანაშაულის პრევენციისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა;
- სპეციალური სამიზნე ჯგუფებისათვის (IT ტექნოლოგიების სპეციალისტები, ინფორმაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამდებობების პირები და სხვა) ტრენინგების ორგანიზება;
- ფართო მომხმარებელთა უზრუნველყოფა ოპერატიული ინფორმაციით ახალი კომპიუტერული საფრთხეებისა და მათგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ.

ლიტერატურა:

1. http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=306&info_id=2042
2. navigator.biometrics.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5&info_id=458 - 77k
3. http://itsecure.org.ua/news
4. http://globalcase.org/en/media-about-us/extensive-interview-with-lasha-pataraia-about-the-cyber-crime-in-georgia
5. ნოზაძე ც., ინტერნეტ-უსაფრთხოებისა და ინფორმაციის დაცვის პრობლემების შესახებ საქართველოში, გორი, საქართველო 2012, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი კრიმინალური დანაშაული კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით და მისი პრევენციის საკითხები. განხილულია კომპიუტერული დანაშაულის სახეები და მოტანილია კიბერშეტევების მასშტაბების სტატისტიკა.

განხილულია საქართველოში ვითარება ამ მიმართულებით და არსებული უსაფრთხოების დაცვის სერვისები. შემოთავაზებულია კომპიუტერული დანაშაულის შემცირების ღონისძიებები. მათ შორის, მნიშვნელოვანია ფართო მომხმარებელთა ოპერატიული ინფორმირება ახალი კომპიუტერული საფრთხეებისა და მათგან დაცვის საშუალებების შესახებ.

THREATS OF COMPUTER CRIMINALITY IN GEORGIA AND SOME QUESTION OF PROTECTION FROM IT

Tsiuri Nozadze, Associate Professor

SUMMARY

In Article the questions of criminality making by means of computer technology and measure of protection from it are considered. Kinds of computer vulnerability also are considered and the statistics of cyber crime on a global scale is given.

The situation in Georgia on this direction and existing services finding out new threats is considered.

Some measures of reduction of computer criminality are offered. Importance the measure of timely informing of the users about new threats and the appropriate means of protection especially is marked.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხისათვის

ზურაბ ტიელიძე, *სრული პროფესორი*
ნინო ბერიანიძე, *აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი*

საქართველოს ბიომრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობა კარგა ხანია მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, რასაც ადასტურებს გაერო-ს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) სფეროს ფარგლებში, ცალკეული რეგიონული სამუშაო შეხვედრები, მათ შორის თბილისში. შეხვედრაზე საქართველო ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის (TEEB) ინიციატივის საპილოტე ქვეყნადაა გამოცხადებული.

საქართველოში TEEB-ის პროექტის განხორციელების შედეგად შეფასდება ბიომრავალფეროვნების კარგვის სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე. ასევე, შეფასდება ეკონომიკის ის სექტორები, რომლებიც სარგებლობენ ეკოსისტემური მომსახურებებიდან (სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ეკოტურიზმი) და ეკონომიკის ის სექტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბიომრავალფეროვნებაზე (მაგალითად, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, როგორც დამბინძურებლები). პროექტის შედეგად ამაღლდება რეგიონული მმართველობის შესაძლებლობები და საქართველოს ექნება TEEB ეროვნული ანგარიში. საერთაშორისო აღიარებით, ამ მიმართულებამ დიდი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნებში "მწვანე ეკონომიკის" განვითარების ხელშეწყობაში.

ძალზე მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება, რაც ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმით ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანადაა აღიარებული. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ინდიკატორებისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად.

ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად საქართველო ბუნება დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მეცნიერების მიერ ამჟამად დედამიწაზე გამოყოფილი ბიოლოგიური მრავალფეროვნების 34 ცხელი წერტილიდან (Hot spots), ორი - კავკასიისა და (ნაწილობრივ) ირან-ანატოლიის, ფარავს კავკასიის რეგიონს და მათ შორის საქართველოს. კავკასია ასევე 200 გლობალურ ეკორეგიონს შორისაა, რომელიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერაა გამოყოფილი ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორიცაა: სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, ტაქსონომიური უნიკალურობა, ევოლუციური პროცესები და ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების თავისებურებები, მცენარეულობის ტიპების მრავალფეროვნება და ბიომების იშვიათობა გლობალურ დონეზე.

საქართველო ზომიერი კლიმატის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უმდიდრესია ფლორისტული თვალსაზრისით. საქართველოს ფლორის შემადგენლობაში ჭურჭლოვან მცენარეთა 4 100-ზე მეტი სახეობაა (მთელს კავკასიაში 6 350-მდე სახეობაა აღწერილი). ფლორის დაახლოებით 21%, ანუ 900-მდე სახეობა ენდემურია (600 კავკასიის, 300 საქართველოს ენდემი). მაღალია საქართველოს ფლორის გვარობრივი ენდემიზმიც. აქ 16 ენდემური და სუბენდემური გვარია წარმოდგენილი. საქართველო კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და მრავალფეროვნების ერთ-ერთი ცენტრია. აქ ჩამოყალიბდა ვაზის, მარცვლოვნების, ხეხილისა და სხვ. მრავალი შესანიშნავი სახეობა. ამრიგად, საქართველოს უნიკალური ფიტოგენოფონდი ქვეყნის ბუნებრივ-კულტურული მემკვიდრეობის ცოცხალი ძეგლია, რომლის შესწავლას, დაცვასა და აღდგენას საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ბოტანიკურ ლექსიკონში შესულია ხის ორი სახეობა ქართული სახელწოდებით ძელქვა (Zelkova carpinibolia (Pall) C. Koch.) და ლაფანი (Pterocarya pterocarpa (Mchx). Knth).

უნდა აღინიშნოს, რომ ბუნების ელემენტებიდან უდიდესი მნიშვნელობა განსაკუთრებით ტყეებს გააჩნია. საქართველოს ტერიტორიის საერთო ფართობიდან სატყეო ფონდს უკავია 36,7%, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

საქართველოს ტყეები მთისა და ბარის ტყეებად იყოფა. მთის ტყეებს უკავია მთელი ტყით დაფარული ფართობის 98%, ბარის ტყეებს - 2%, რომლებიც ძირითადად კოლხეთის დაბლობებზე და აგრეთვე მდინარეების: მტკვარის, ალაზნის, იორის, ხრამის და სხვათა დინების ქვემო წელის მიდამოებში არის გავრცელებული. ტყეების მრავალფეროვნება ყველაზე მეტად მთებში ვლინდება, სადაც გეოლოგიური ქანების დახრილობა და ფერდობის ექსპოზიცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტყეების ბიოლოგიურ თავისებურებებზე, რაც პირველ რიგში, განპირობებულია მათი წარმოშობის, ზრდისა და

განვითარების ბუნებრივი პირობების დიდი მრავალფეროვნებით.

ტყეები გეოგრაფიულად არათანაბრადაა განლაგებული. ტყით მდიდარ რეგიონებთან (აფხაზეთი, აჭარა, სვანეთი, რაჭა, ბორჯომის ხეობა, ბაღდათის, საჩხერის, ახმეტის და სხვა რაიონები) ერთად არსებობს ტყემცირე და თითქმის უტყეო რაიონებიც (დედოფლისწყაროს, ნინოწმინდის, ახალქალაქის, გარდაბნის, წალკის, ყაზბეგის და ა.შ.).

საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელუხლებელი (პირველქმნილი) ტყეები, რომლებიც განსაკუთრებული მაღალპროდუქტიულობით გამოირჩევა. ხელუხლებელ სოჭნარებს, სოჭნარ-წიფლნარებს, სოჭნარ-ნაძვნარებს, პროდუქტიულობის მაჩვენებლით, ანალოგი არ გააჩნიათ ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების უნიკალურობაზე მეტყველებს ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ძირითადი ეკოსისტემები და ბიომები: არსებითად განსხვავებული კლიმატის გამო, მეტად განსხავავებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკოსისტემები და ვერტიკალური სარტყლურობის სტრუქტურა. მაგალითად, **დასავლეთ საქართველოში** არ არის სემიარიდული და არიდული მცენარეულობის უტყეო სარტყელი, ტყეებით დაფარულია ვაკეები და მთისწინა ფერდობები ზღვის ნაპირიდანვე. აქ **5** ძირითადი სარტყელია: **ტყის** (ზღვის დონიდან 1900 მ-მდე), **სუბალპური** (1900-2500 მ), **ალპური** (2500-3000 მ), **სუბნივალური** (3000-3600 მ) და **ნივალური** (3600 მ). **აღმოსავლეთ საქართველოში** ვერტიკალური სარტყლურობა უფრო რთულია. გამოიყოფა **6** ძირითადი სარტყელი: **ნახევრადუდაბნოების, სტეპებისა** და **არიდული ნათელი ტყეების** (150-600 მ), **ტყის** (600-1900 მ), **სუბალპური** (1900-2500 მ), **ალპური** (2500-3000 მ), **სუბნივალური** (3000-3700 მ) და **ნივალური** (3700 მ).

ჭალის ტყის ბიომი. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებსა და მთისწინეთში ჭალის ტყეების ბიომები განვითარებულია მდინარეების - მტკვრის, ივრის, ალაზნის და ქციის ქვემო წელის გასწვრივ.

მასში ჭარბობს მუხა Quercus pedunculiflora, აგრეთვე ვერხვი Populus canescens, Populus hybrida, ქაცვი Hyppophae rhamnoides და სხვ. ეს ტყეები მდიდარია ლიანებით. დასავლეთ საქართველოს ჭალის ტყეებში წამყვანი პოზიცია უჭირავს მურყნარებს. ამ ტყეებისთვის დამახასიათებელია გვიმრა (Mateucia struthiopteris) და ლიანები (Hedera colchica, Smilax exscelsa, Vitis sylvestris). თითქმის გაუვალ რაყებს ჰქმნის მაყვალი (Rubus anatolicus).

ნახევრადუდაბნოს ბიომი. ნახევრადუდაბნოს ბიომები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებში. შიდა ქართლში ამ ბიომის ერთ-ერთი მთავარი დომინანტია ავშანი (Artemisia fragra).

სტეპის ბიომი. აღმოსავლეთ საქართველოში სტეპის ბიომები განვითარებულია 300-700 მეტრზე ზღვის დონიდან. ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად სტეპის ბიომში შესულია ტყის და ბუჩქნარი მცენარეულობის ეკოსისტემები. სტეპის ბიომის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ეკოსისტემას წარმოადგენს ურიანი (Botriochloa ischaemum) ველი (ანუ სტეპი). ტიპიური სტეპის მცენარეულობის კომპონენტებია: Stipa tirsa, St. lessingiana, St.pulcherrima, St.capillata. (სწორედ ამ მცენარის ლათინური სახელწოდებიდან - სტიპადან - მოდის სტეპის, როგორც ერთ-ერთი ბიომის სახელწოდება). ნაირბალახოვანი სტეპები მხოლოდ გარეჯისათვის არის დამახასიათებელი. მთის სტეპები მხოლოდ სამხრეთ საქართველოშია გავრცელებული 1800-2500 მეტრზე ზღვის დონიდან.

არიდული მეჩხერი (ნათელი) ტყისა და ჰემიქსეროფილური ბუჩქნარის ბიომი. აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრადუდაბნოებისა და სტეპების სარტყელში გავრცელებულია აგრეთვე ნათელი ტყის მცენარეულობა. ეს ბიომი შედგება ტყის ქსეროფილური მცენარეებისაგან და საკმაოდ გვალვაგამძლე ბალახოვანი საფარისაგან. იგი ყველაზე კარგად არის გამოხატული ვაშლოვანის ნაკრძალში,რომელსაც და უკავია 5000 ჰა ფართობი.

საკმლის ხის (Pistacia mutica) ნათელი ტყე მიეკუთვნება დასავლეთ-ირანულ ტიპს. გვხვდება აგრეთვე საკმლის ხის სუფთა რაყები. ღვიიან ნათელ ტყეებს უკავიათ მცხეთისა და ვაშლოვანის მთისწინების ჩრდილო ფერდობები.

ტყის ბიომი. საქართველოში ტყეს სხვა მცენარეულ ტიპებთან შედარებით ყველაზე დიდი ფართობი უკავია (როგორცზემოთ აღვნიშნეთ-ქვეყნის საერთო ტერიტორიის 36,7%). ტყის ეკოსისტემები დამახასიათებელია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონისთვის, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჯავახეთის პლატო, ხოლო ხევისა და მთიანი თუშეთის რეგიონებში ტყეს ძალიან მცირე ფართობი უკავია. სხვადასხვა ტიპის ტყეების წილი ქვეყნის ტყეების საერთო ფართობში შემდეგნაირია:

წიფლნარები-51%,	მუხნარები-3,3%
სოჭის ტყეები - 10%,	მურყნარები - 3%,
ნაძვნარები - 6,3 %,	წაბლის ტყეები - 2,1%

ფიჭვნარები - 3,6%, არყნარები - 2%.

საქართველოს ტყეების დანარჩენ ფართობს ხემცენარეთა სხვადასხვა სახეობები ქმნის (Carpinus caucasica, Tilia caucasica, Acer platanoides, A. trantvetteri, Fraxinus exscelsior და სხვ.).

დასავლეთ საქართველოში ტყე უკვე ზღვისპირიდანაა გავრცელებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ტყის სარტყელი 600-700 მეტრიდან იწყება.

მუხნარები (Quercus iberica):

ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ სახეობას წარმოადგენს კავკასიური რცხილა (Carpinus caucasica). **ფიჭვნარები** (Pinus spp.) გვხვდება ზღვის დონიდან 1700-2400 მეტრის ფარგლებში. **მუხნარ-ფიჭვნარი:** ფიჭვთან ერთად ამ ეკოსისტემას ქმნის მაღალი მთის მუხა. ამ ტყეებს ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოში 800-1100 მ. სიმაღლის ფარგლებში, ხოლო აჭარაში მისი გავრცელების ზონა გაცილებით დაბალი სიმაღლეებიდან იწყება (300 მ-დან 1100-1200 მ-მდე). **უთხოვარის** (Taxus baccata) ტყეები: შემონახულია რელიქტური ტყის სახით ბაწარას ხეობაში, ალაზნის ზემო დინებაში. **ძელქვიანები** (Zelkova carpinifolia): ბაბანეურის ძელქვიანები თავისი რელიქტური ბუნებით და იშვიათი გავრცელებით დიდ ყურადღებას იქცევს. **ნეკერჩხლიანი ტყეები** (Acer velutinum) მხოლოდ ალაზნის ველზეა გავრცელებული. მისი ზედა ზღვარი 1000 მ-ს არ აღემატება. **კოლხური ტყეები: დასავლეთ საქართველოში,** კოლხეთის დაჭაობებულ დაბლობზე, ზღვის დონიდანვე იწყება **მურყნარები** (Alnus barbata), **ლაფნარები** (Petocarya pterocarpa), ნაკლებ ტენიან ადგილებში გავრცელებულია **მუხნარები** (Quercus iberica, Q.hartwissiana), **რცხილნარები** (Carpinus caucasica), **წაბლნარები** (Castanea sativa). ეს ტყეები მდიდარია **ლიანებით** (Hedera colchica, Smilax excelsa, Vitis sylvestris).

ბიჭვინთის ფიჭვი (Pinus pithyusa) რელიქტური სახეობაა. დასავლეთ საქართველოს ტყეებისთვის დამახასიათებელია რელიქტური გართხმული ბუჩქების, მათ შორის, მარადმწვანეების ქვეტყე. ზოგიერთ რაიონში (აფხაზეთსა და სამეგრელოს კირქვიან მთებში) გვხვდება კალცოფიტების ტიპიური წარმომადგენელი-**ბზა** (Buxus colchica). დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში (იმერეთში) ტყის ქვედა და შუა სარტყელში გაბატონებულია **იმერეთის მუხა** (Quercus imeretina), რომელიც **ძელქვასთან** (Zelcova carpinifolia) ერთად ქმნის **აჯამეთის ნაკრძალის ძელქვნარ-მუხნარ ტყეებს.**

სუბალპური ბიომი. მაღალმთის მცენარეულობა მეტად მრავალფეროვანია. კავკასიის მთებში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სუბალპური სარტყლის (2400- 2750 მეტრი ზღვის დონიდან) ტყის ზედა საზღვრის მცენარეულობა, რომელიც გამოირჩევა როგორც დიდი მრავალფეროვნებით, ისე იშვიათი ენდემური და რელიქტური სახეობების სიუხვით. სუბალპური სარტყლის მცენარეულობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ფორმაციები: ა) მეჩხერი ტყეები, ბ) ტანბრეცილი ტყეები, გ) გართხმული ბუჩქნარები, დ) მაღალბალახეულობა და ე) ფართოფოთლიანი მდელოები. **მეჩხერი ტყეები:** მეჩხერი, ანუ პარკისებური ტყეები გვხვდება 1800-1900 მ-ის ზემოთ. მეჩხერ ტყეს წარმოქმნიან ძირითადად მაღალმთის **ბოკვი** და მაღალმთის **მუხ**ა. გარდა ამისა, პარკისებურ ტყეს ქმნიან (უფრო ხშირად ანთროპოგენური ზემოქმედების-გაჩეხვის შედეგად) **წიფელი, ნაძვი, ფიჭვი** და სხვ.

ტანბრეცილი ტყეებს ქმნიან წიფელი, არყის სხვადასხვა სახეობები, მაღალმთის ბოკვი, კოლხური თხილი, იმერული ხეჭრელი და სხვები. განსაკუთრებით საყურადღებოა კოლხეთის ტანბრეცილი ტყეები, სადაც კლიმატი არა მარტო ძალიან ტენიანი, შედარებით რბილიცაა. ეს ტყეები მდიდარია ენდემური და რელიქტური სახეობებით (მაგ. პონტოური მუხა, მეგრული არყი, მედვედევის არყი და სხვ.) **გართხმულ ბუჩქნარების** ფორმაციების ძირითადი კომპონენტებია დეკა, უნგერნის შქერი, გართხმული ღვია, კავრა, მელიქაური და სხვ. სუბალპური ზონის **ბალახოვანი ფლორა** გამოირჩევა სახეობრივი მრავალფეროვნებითა და კავკასიის ენდემების სიმდიდრით.

ალპური ბიომი. ალპური სარტყელი საქართველოში მდებარეობს 2400-2500 მ-დან - 2900-3000 მმდე ზღვის დონიდან. აქ გავრცელებულია შემდეგი ძირითადი ეკოსისტემები: ალპური მდელოები (მკვრივკორდიანი, მეჩხერკორდიანი, მარცვლოვანი და ნაირბალახოვანი), ალპური ხალები, ბუჩქნარი და კლდისა და ნაშლების მიკროეკოსისტემები. ალპური მდელოები: ძიგვიანი (Nardus glabriculmis) ეკოსისტემები ძირითადად გავრცელებულია ცივი და ტენიანი (ხშირად ძლიერ ტენიანი) ნიადაგის გარემოში მცირედ დაქანებულ ფერდობებზე ან გავაკებულ რელიეფზე. ამ ეკოსისტემების ფლორისტული შემადგენლობა არ არის მრავალფეროვანი (25-30 სახეობა თითოეულ ცენოზში). ჭრელი წივანას მდელოები ალპურ სარტყელში ძირითადად სამხრეთ ექსპოზიციის ძლიერ დაქანებულ ფერდობებზეა წარმოდგენილი და 3000 მ-მდე ამ ეკოსისტემის სახეობრივი შემადგენლობა არ არის მრავალფეროვანი და მოიცავს 20-25 სახეობას. ალპური ბუჩქნარები: დეკიანები გვხვდება ალპური სარტყლის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ფერდობებზე. ქონდარა ბუჩქის Arias caucasica-ს ფორმაციები კი ფლორისტული შემადგენლობით საკმაოდ მდიდარია. აღსანიშნავია, რომ კავკასიონის ალპურ სარტყელს აღწევს ღვიას

ორი სახეობა: Juniperus hemispaerica (=J. depressa) და J. sabina.

სუბნივალური და ნივალური ბიომი. სუბნივალური სარტყელი საქართველოში მდებარეობს 3000 დან 3600 მ.-დე ზღვის დონიდან.

ეს სარტყელი ყველაზე კარგად არის გამოხატული ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონზე. ამ ზონისთვის დამახასიათებელ ექსტრემალურ გარემოსთან შეგუებულია მცენარეთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფი (კავკასიის სუბნივალურ სარტყელში სულ დაახლოებით 250 სახეობაა გავრცელებული). აღსანიშნავია სუბნივალური სარტყლის ფლორაში ენდემურ სახეობათა მაღალი წილი - 60-70%. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ენდემური გვარები, როგორიცაა: Pseudovesicaria, Gymphyloma, Pseudobetckea, Coluteocarpus, Didimophysa, Eunomia, Vavilovia.

ჭაობისა და წყლის ბიომები. ჭაობები საქართველოს ლანდშაფტების ტიპიური კომპონენტია. ის განსაკუთრებით კარგადაა გამოხატული კოლხეთის დაბლობსა და სამხრეთ საქართველოს ვულკანურ პლატოზე. ჭაობები გავრცელებულია, როგორც დაბლობ ზონაში, ისე სუბალპურ და ალპურ სარტყელში. დასავლეთ საქართველოში სფაგნუმიანი ჭაობები ზღვის დონიდან სუბალპურ სარტყელამდეა გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი მშრალი კლიმატის გამო 2000 მ-ზე უფრო მაღლა აღარ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის სფაგნუმიანი ჭაობებისათვის დამახასიათებელია ბორეალური (სფაგნუმის ხავსები, დროზერა (Drosera rotundifolia), რინხოსპორა (Rhinhospora alba)) და მაღალი მთის (იელი Rhododendron luteum, შქერი Rhododendron ponticum) სახეობების თანაარსებობა. აგრეთვე, რელიქტური სახეობები: Osmunda regalis, Soligado turfosa, Drosera rotundifolia, Trapa colchica. ჰიდროფილური მაღალბალახეულობის მცენარეულობა: ეს ეკოსისტემა ძირითადად სამხრეთ საქართველოს დაბლობსა და ვულკანურ პლატოზე გვხვდება. მისი გავრცელების ზედა საზღვარია 2 000 მ. ზღ. დ. ამ ეკოსისტემის დომინანტი სახეობებია:Phragmites australis, Typha latifolia, T. angustifolia და სხვ. ჰიდროფილური დაბალბალახოვანი მცენარეულობა: ეს ეკოსისტემა გავრცელებულია 2300 მ-ზე ზღ. დ. და უფრო მაღლა, მაგრამ მას უმნიშვნელო ფართობები უკავია.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების, უპირველეს ყოვლისა კი, ტყეების დღევანდელ მდგომარეობას დარგის ექსპერტები კატასტროფულად აფასებენ. ბოლო წლების განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რომ ტყის სექტორი დადგა სერიოზული პრობლემების წინაშე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ტყეებზე კონტროლის მექანიზმები ძალზედ შესუსტდა. მეტად შეიზღუდა ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ტყის რესურსების მოპოვებაზე. ტყის სექტორში დასაქმებული არიან არაპროფესიონალი, ანუ, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების არმქონე პირები.

2007 წლიდან, საქართველოში მართალია დაიწყო სატყეო რეფორმა, მაგრამ ამის მიუხედავად ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ტყით სარგებლობისას ჩამოყალიბდა მონოპოლისტური კომპანიები, დაკანონდა ხის მერქნის გადამეტებული მოპოვება, რისი კონტროლიც პრაქტიკულად არ მიმდინარეობს და შეუძლებელიცაა, ვინაიდან ლიცენზიების გაცემამდე არ ხდებოდა რესურსების ზუსტი დადგენა. შედეგად გვაქვს დიდი მასშტაბის სამეურნეო ჭრები, რომელსაც არანაირი საერთო არ გააჩნია ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან.

ექსპერტებისავე დაკვირვებით, ასეთ ფონზე, კიდევ უფრო გაიზრდება სტიქიური მოვლენების მასშტაბი აჭარაში, სვანეთში და სხვა რეგიონებში. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, პირველ რიგში, ტყის ეკოსისტემები კანონმდებლობით უნდა იყოს დაცული, ჩვენთან კი ასე არ არის. ოფიციალურად, საქართველოში დაცულია ქვეყნის ტერიტორიის 7% (თუმცა, საქართველოში შემუშავებული დაცული ტერიტორიების ახალი სისტემის მიხედვით დაცული ტერიტორიების ფართობი მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარს შეადგენს), მაშინ, როდესაც ევროპაში, საშუალოდ, ქვეყნების ტერიტორიის საერთო ფართობის 17-18% პროცენტს დაცული ტერიტორიები შეადგენს. რაც შეეხება ეკოლოგიურ ღირებულებას, საქართველოს ტყეები ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, მეტად ძვირფასია, შესაბამისად, მისი მნიშვნელობაც დიდია, არა მარტო ჩვენთვის, არამედ, მსოფლიოსთვისაც.

საქართველოს ტყეებში ამჟამად რეალური მდგომარეობა უცნობია მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის არარსებობის გამო. გაუმართლებელია, რომ ტყის რესურსებზე გვაქვს დაშვებულთან შედარებით ორჯერ-სამჯერ მეტი დატვირთვა. კონფლიქტების გარკვეული მაგალითები საქართველოში ადგილობრივ მოსახლეობასა და ინვესტორებს შორის უკვე არსებობს, არსებობს ფაქტობრივი შემთხვევები, როცა ადგილობრივმა მოსახლეობამ არ შეუშვა ლიცენზიანტები ტყეში. ეკოსისტემებზე მეტისმეტი ანტროპოგენული დაწოლა, რასაც ადგილი აქვს საქართველოში, გამოიწვევს ბუნებრივი რესურესების სწრაფ ამოწურვას და ეკოსისტემების დეგრადაციას. ასეთი პოლიტიკისა და მიდგომის შედეგად, მოხდება ასევე ადგილობრივი მოსახლეობის გაღარიბება და მთიდან მათი იძულებითი მიგრაცია-სოფლების დაცლა.

დარგის სპეციალისტები არნიშნავენ, რომ დღემდე საქართველოში გადაჭარბებულადაა შეფასებული საქართველოს ტყეების ეკონომიკური სარგებელიანობა. ხშირად გათვალისწინებული არაა, რომ საქართველოს ტყეებს, უპირველეს ყოვლისა, აქვთ ეკოლოგიური, სოციალური და მხოლოდ ამის შემდეგ, ეკონომიკური მნიშვნელობა. ეკოლოგიურ ღირებულებაში იგულისხმება ის ეკოლოგიური სერვისები, რომელიც გააჩნიათ ტყის ეკოსისტემებს - კლიმატის რეგულაცია, წყლისა და ჰაერის ხარისხის კონტროლი, ნიადაგის დაცვა, რეკრეაცია და ა.შ. ეს ღირებულება მონეტარულადაც შესაძლებელია რომ გამოისახოს და გაცილებით გადააჭარბებს მერქნის გაყიდვით მიღებულ ღირებულებას.

სპეციალისტთა აზრით, საქართველოს ტყეების პრობლემის ერთ-ერთი სათავე ისაა, რომ გადაწყვეტილებები სატყეო სექტორში, ტრადიციულად მიიღება გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე, კორუფციის წინააღმდეგ უნივერსალური წამალი კი გამჭვირვალობაა. თუკი ახალმა ხელისუფლებამ აღნიშნული ინსტრუმენტი არ გამოიყენა გაჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ კორუფცია მომავალშიც ისევ ძლიერი იქნება ამ სექტორში. „არსად სხვაგან არ იჩეხება ტყე ისე, როგორც ჩვენთან. გლეხს ტყე წაართვეს, საქართველოს ტყეები ხელისუფლების ნება-სურვილით ერთი ჯგუფის ხელშია მოქცეული. ადგილობრივი მოსახლეობა ყველაზე დიდი რესურსით – ტყით ვეღარ სარგებლობს. რაჭაში იშვიათი სოჭი იზრდება, რითაც კარგა ხანია, ევროპელები დაინტერესდნენ და დიდი ხანია უკვე გააქვთ, თუმცა, არ ვიცით, ვინ ატანს მას. ჩვენი ტყით და ჩვენი რესურსით ჩვენ უნდა ვისარგებლოთ. ჩვენს ხალხს უნდა მოხმარდეს ეს ყველაფერი... ერთი კილო სოჭიდან ხალხს 6 ლარი შესდის, მაშინ როცა მისი რეალური ფასი 100 დოლარია“, – განაცხადა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ბიძინა ივანიშვილმა.

ლიტერატურა:

1. გიგაური გ., საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნება, თბ., 2000.
2. გიგაური გ., ტყეთმოწყობა, თბ., 2002.
3. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ყოველწლიური ანგარიში.
4. გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ყოველწლიური ანგარიშის მასალები.
5. კანდელაკი თ., საქართველოსა და მსოფლიო ტყის რესურსები, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, №11, 12, 1999.
6. ნ. ქარქაშაძე და სხვ., ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, თბ., 2003.
7. ვორონცოვი ა. ი., ბუნების დაცვა, თბ., 1983.
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, 1976.

ინტერნეტ-რესურსები:

http://24saati.ge/index.php/category/business/2012-06-01/29291.html
http://www.facebook.com/pages/Georgian-Biodiversity-საქართველოს-ბიომრავალფეროვნება/1006753200041
http://www.chm.moe.gov.ge/index.php?page=saqartvelos_bio&lng=ge_
http://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_ბიომრავალფეროვნება
http://opinion.ge/archives/2
http://www.radiotavisupleba.ge/content
http://ekonia.wordpress.com/2011/02/04/საქართველოს ტყეები
http://www.gurianews.com/index.php?op
http://www.chm.moe.gov.ge/webmill/data/file/Forests_geo.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების სფეროში შექმნილი ეკოლოგიური ვითარება და ამ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობის საკითხები, მისი მნიშვნელობა გარემოს მდგრადი განვითარებისათვის.

THE ISSUES OF GEORGIA BIODIVERSITY CONSERVATION

Zurab Tielidze, Full Professor
Nino Berianidze, Academic Doctor, Specialist under contract

RESUME

Some ecological problems in the field of Georgia Biodiversity**,** necessity of their solution, and their importance for sustainable environmental development are discussed in the article.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

საქართველო-უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები

გიული გიგუაშვილი, სრული პროფესორი

საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული თანამშრომლობა ეფუძნება ორ ერს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ მეგობრულ ურთიერთობებს და საერთო ინტერესებს ევროპული ინტეგრაციის, რეგიონული თანამშრომლობის და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებში. საქართველოსა და უკრაინის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოების, ეკონომიკური განვითარების სტაბილურობა, თითოეულის როლის ზრდა ხელს უწყობს რეგიონის სტაბილურობას და ევროპის უსაფრთხოებას. ორივე ქვეყანა ახორციელებს კოორდინირებულ პოლიტიკას როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში საერთო ინტერესების რეალიზაციის მიზნით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქართული პროდუქციის ექსპორტს, პრეფერენციული საექსპორტო პირობების შექმნას, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას, არსებული ბაზრების გაფართოებასა და საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაზე, მომსახურებაზე, სამუშაო ძალასა და კაპიტალზე თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის გავრცელებას. მნიშვნელოვანი ამოცანაა ასევე ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, ინვესტიციების მოზიდვა ისეთ სტრატეგიულ სფეროებში, როგორებიცაა ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ძალისხმევას არ იშურებს და შესაბამისად სულ უფრო ფართოვდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და პარტნიორი ქვეყნების საერთო რიცხვი, რომელთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკრაინას უკავია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქართველოსა და უკრაინას შორის არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს 100-ზე მეტ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებას და არეგულირებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს.

საქართველოსა და უკრაინის თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს რეგიონული სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების განვითარება. თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში წარმატებით ხორციელდება როგორც სამოქალაქო ავიაციის, ასევე საავტომობილო ტრანსპორტის მიმართულებით. წარმატებულად ვითარდება თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში. უკრაინის ტურისტულ ბაზარზე, საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, მუდმივად ეწყობა გაცნობითი ტურები და გამოფენები. საქართველოში

ჩამოსული უკრაინელი ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2005-2011 წწ., ჯამში, დაფიქსირებულია 242 688 უკრაინელი ვიზიტორის შემოსვლა საქართველოში. საქართველო და უკრაინა, ასევე თანამშრომლობენ იაპონური ტურისტული ბაზრისათვის შემუშავებული სუამ-ის ერთობლივი ტურისტული პროექტის ფარგლებში. [1]

საქართველოსა და უკრაინას შორის მჭიდრო კულტურულ-ჰუმანიტარულ თანამშრომლობა ვითარდება. დამყარებულია პირდაპირი სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირები ორი სახელმწიფოს წამყვან უნივერსიტეტებს შორის. გაფორმებულია ურთიერთსასარგებლო ხელშეკრულებები უმაღლეს სასწავლო დაწესებულებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

წარმატებით ვითარდება თანამშრომლობა საბანკო-საფინანსო, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის, ჯანდაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის, რეგიონული და ინფრასტრუქტურის და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

აღსანიშნავია, რომ უკრაინა, უკვე წლებია, სამართლიანად მოიაზრება საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში. ჯერ კიდევ 2010 წელს საქართველოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ჰყავდა – თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, აშშ, გერმანია, ჩინეთი, რუსეთი, სომხეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და ბულგარეთი. საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობის 77,5% სწორედ ამ ქვეყნებზე მოდიოდა. აქედან უდიდესი წილი თურქეთს – 587.3 მილიონი დოლარი (36.9%), აზერბაიჯანს – 369.4 მილიონი დოლარი და უკრაინას – 340.8 მილიონი დოლარი ეკუთვნოდა. 2010 წელს თურქეთში საქართველოდან ყველაზე მეტი რაოდენობით შავი ლითონის ჯართი გავიდა. იქიდან კი ყველაზე მეტი რაოდენობით სამკურნალო საშუალებები შემოვიდა. აზერბაიჯანში ძირითადად მსუბუქი ავტომანქანები გადის. ჩვენთან კი უმთავრესად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი ხორციელდება. საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის უკრაინა მესამე ადგილზეა. ამ ქვეყანაში განხორციელებულ ექსპორტში 2010 წელს სპირტი და სპირტიანი სასმელები (14.6 მილიონი დოლარი) ჭარბობდა. უკრაინიდან საქართველოში კი ყველაზე დიდი რაოდენობით სიგარეტი შემოვიდა (32.6 მილიონი დოლარი).

2011 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ მთლიანობაში 9247 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი სულ 2 189 135,8 ათასი აშშ დოლარია, აქედან 141 246,7 ათასი აშშ დოლარი, ანუ საერთო ექსპორტის 6,5 % უკრაინაზე მოდის; 19,5% -აზერბაიჯანზე, 10,4 % -თურქეთზე და 10,4% -სომხეთზე. რაც შეეხება იმპორტს, 2011 წელს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანათა რიგში იმპორტის მიხედვით უკრაინას მეორე ადგილი უკავია (705 580,6 ათასი აშშ დოლარი, ანუ მთლიანი იმპორტის 10%) თურქეთი შემდეგ (18%), მესამე და მეოთხე ადგილებს კი აზერბაიჯანი (8,7%) და ჩინეთი (7,4%) ინაწილებენ. [2]

2012 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 11%-ით, ხოლო ექსპორტი 9%-ით გაიზარდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2012 წელს, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 10 219,6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11%-ით აღემატება. აქედან, ექსპორტი 2 377,5 მლნ. აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი - 7 842,1 მლნ. აშშ დოლარი.

საგარეო ვაჭრობა

(მლნ. აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5634	6935	9247	10220
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1232	1495	1134	1677	2189	2377
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	5212	6302	4500	5257	7058	7842
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3980	-4806	-3367	-3580	-4869	-5465

www.geostat.ge, info@geostat.ge

2012 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის (თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ჩინეთი, გერმანია, რუსეთი, აშშ, ბულგარეთი, სომხეთი, იტალია) წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 65 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები კვლავ თურქეთი (1536 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (1260 მლნ. აშშ დოლარი) და უკრაინა (764 მლნ. აშშ დოლარი) არიან.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2012 წლის ბრუნვის მიხედვით

	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
სულ მათ შორის:	2377455,0	100,0	7842108,9	100,0	10219563,9	100,0
თურქეთი	142777,0	6,0	1392937,5	17,8	1535714,4	15,0
აზერბაიჯანი	626854,9	26,4	633541,8	8,1	1260396,7	12,3
უკრაინა	167016,3	7,0	597099,6	7,6	764115,9	7,5

2012 წელს ექსპორტი დაფიქსირებულია მსოფლიოს 28 ქვეყანაში. ტრადიციულად, უკრაინა საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის მესამე ადგილზეა. გასულ წელს უკრაინასთან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 764,1 მლნ. აშშ დოლარი (მთლიანი ბრუნვის 7,5%) შეადგინა. უკრაინაში საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი 18%-ით გაიზარდა და 167,0 მლნ. აშშ დოლარს (მთლიანი ექსპორტის 7,0%) გაუტოლდა.



ცალკეული პროდუქციის მიხედვით ექსპორტის მიმოხილვისას (2012 წლის 9 თვის შედარება 2011 წლის 9 თვესთან) ნათლად ჩანს, რომ კურკოვანი ხილის ექსპორტის 48,2% უკრაინაზე მოდის. აქვე განხორციელდა ხმელი ხილის ჩირის ექსპორტის 15%, სანელებლების ექსპორტის 23,5%, ციტრუსების ექსპორტის 34%, ჩაის ექსპორტის 8,3%, ღვინის ექსპორტის 40% და სპირტიანი ალკოჰოლური სასმელების 45%, საკმაოდ დიდია უკრაინაში ექსპორტირებული მინერალური წყლების რაოდენობა - 56%, ხოლო უალკოჰოლო გაზიანი სასმელების ექსპორტის 6% სწორედ უკრაინაში განხორციელდა.

რაც შეეხება უკრაინიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტის საერთო რაოდენობას - 597,1 მლნ აშშ დოლარია და მთლიანი იმპორტის 7,6% შეადგენს.



ცალკეული პროდუქციის მიხედვით იმპორტის მიმოხილვისას იკვეთება, რომ ყველაზე დიდი წილი სიგარეტს უჭირავს, 2012 წელს უკრაინიდან საქართველოში 70 280,5 ათასი აშშ დოლარის სიგარეტი შემოვიდა. მზესუმზირის ზეთის იმპორტის 66% (39 670,3 ათასი აშშ დოლარის) უკრაინაზე მოდის. ცოცხალი ცხოველები და მისი წარმოშობის პროდუქტებიდან ყველისა და ხაჭოს იმპორტი მსოფლიოს 17 ქვეყნიდან ხორციელდება. მათგან, რუსეთს 26%, გერმანიას 11%, ფინეთს 8%, თურქეთს 4% და უკრაინას 3% უკავია. ფრინველის კვერცხის იმპორტი მსოფლიოს 8 ქვეყნიდან ხორციელდება. მათგან, თურქეთს 60%, უკრაინას 16.3% და ბულგარეთს 11% უკავია. თხილისა და კაკლის იმპორტი მსოფლიოს 8 ქვეყნიდან ხორციელდება. მათგან, უკრაინას 46%, იტალიას 32% და აზერბაიჯანს 4.4% უკავია. სიმინდის იმპორტი მსოფლიოს 11 ქვეყნიდან ხორციელდება. მათგან, რუსეთს 38%, უკრაინას 26% და ავსტრიას 17% უკავია. ხილის და ბოსტნეულის წვენები შემოდის 26 ქვეყნიდან. მათგან, უკრაინას 52.5%, თურქეთს 15% და რუსეთს 13% უკავია. შოკოლადის და კაკაოს შემცველი სხვა პროდუქტები შემოდის 28 ქვეყნიდან. მათგან, რუსეთს 34%, უკრაინას 31% და ბელგიას 7.4% უკავია. ლუდის იმპორტი 19 ქვეყნიდან განხორციელდა. მათგან, უკრაინას 21%, თურქეთს 19.5% და გერმანიას 18.5% უკავია. კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები - იმპორტირებულია სამი ქვეყნიდან - რუსეთი 87%, უკრაინა 12.8% და იტალია 0.2%. სანჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის იმპორტის 18% უკრაინიდანაა. [3]

ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთ დასტურად ფულადი გზავნილების მოცულობაც შეიძლება განვიხილოთ. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ ხელი შეუწყო გზავნილების მოცულობის ზრდას. დღეისათვის მსოფლიოში ფულადი გზავნილების მოცულობა ყოველწლიურად დაახლოებით 100 მილიარდ დოლარს აღწევს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური აღრიცხვა ტრანსფერების ნაკადის მხოლოდ ნაწილს ეხება, რადგანაც იგი მხოლოდ ოფიციალური არხებით, ანუ საბანკო და ელექტრონული საშუალებებით გადმორიცხულ თანხებს მოიცავს და მასში არ შედის ნაღდი ფულის მოძრაობა. განვითარებადი ქვეყნების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის და, მათ შორის, საქართველოსთვისაც ფულადი გზავნილები უცხოურ ვალუტაში შემოსულობათა მთავარი წყაროა, რომელიც ზოგჯერ აღემატება კიდეც ქვეყნის საექსპორტო შემოსავლებსა და მათში განხორციელებულ პირდაპირ ინვესტიციებს. საქართველოში ბოლო ორ წელიწადში ფულადი გზავნილების მოცულობა გაორმაგდა და მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 6.2% შეადგინა. საქართველოში ფულადი ტრანსფერების განხორციელების მხრივ დონორი ქვეყნების ათეულში, მართალია, რუსეთს წამყვანი პოზიცია უკავია, მაგრამ უმნიშვნელო სხვაობითა და მეორე-მეოთხე პოზიციათა მონაცვლეობით მას საბერძნეთი, აშშ და უკრაინა მოსდევენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ქვეყნებთან საქართველოს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების არსებობას. [4]

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის დეკემბერში, საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 134,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7,4%-ით (9,3 მლნ. აშშ დოლარით) მეტია 2011 წლის დეკემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 94,7% იმ 12 ქვეყანაზე (რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, უკრაინა, თურქეთი, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, ისრაელი, გერმანია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი) მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ, დეკემბერში, 1 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 12 ქვეყანაზე, გასული წლის დეკემბერში, მთელი ფულადი გზავნილების 91,2% მოდიოდა. [5]

საქართველოს ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად როგორც სტატიის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ენიჭება. 2011 წელს ჩვენს ქვეყანაში 1117.2 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, აქედან უკრაინაზე 1,648.2 ათასი აშშ დოლარი მოდის. 2012 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 269,4 მილიონი დოლარი შეადგინა, მეორეში – 219,4 მილიონი, მესამე კვარტალში კი 195,4 მილიონ დოლარამდე შემცირდა. სამი კვარტლის მონაცემებით, 2012 წელს ქვეყანაში 684 მილიონი დოლარი შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს უკრაინა ვერ მოხვდა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორების ჩამონათვალში, მას განსაზღვრული ადგილი უკავია პარტნიორ ქვეყნებს შორის. საქართველოში უკრაინული ინვესტიციების შემოდინება 1996 წლიდან დაიწყო. 2011 წლის ჩათვლით, უკრაინიდან საქართველოში განხორციელდა სულ 40.84 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში დარეგისტრირებულია 108 უკრაინული და 120 ქართულ-უკრაინული კომპანია.

2012 წლის მესამე კვარტალში საქართველოდან უცხოეთის 19 ქვეყანაში 60 მლნ. აშშ დოლარის კაპიტალი გავიდა. ყველაზე მეტი კაპიტალის გადინება ჩეხეთში მოხდა - 38,323 მლნ. აშშ დოლარი. შემდეგ მოდის საუდის არაბეთი – 6 მლნ. აშშ დოლარი, შვედეთი – 5,050 მლნ. აშშ დოლარი, შვეიცარია – 3,357 მლნ. აზერბაიჯანი – 2,229 მლნ. უკრაინა – 1,803 მლნ. ნორვეგია – 1,020 მლნ. [6]

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თავად უკრაინა საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალის მქონეა. იგი ყოველწლიურად 20 მილიონზე მეტ სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეს იზიდავს (23.1 მილიონი ადამიანი 2007 წლის მონაცემებით). ტურისტები უმეტესწილად მოედინებიან აღმოსავლეთ ევროპიდან, დასავლეთ ევროპიდან (6.3 მილიონი ადამიანი), ამერიკის შეერთებული შტატებიდან და კანადიდან. უკრაინა ერთ-ერთი ქვეყანაა ევროპის 8 საუკეთესო ტურისტულ ქვეყანას შორის. [7] უკრაინას აქვს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა, იგი არის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის გზაჯვარედინი. უკრაინას აქვს მთათა სისტემა - კარპატინები, რომელიც მოთხილამურეების, ხეტიალისა და თევზაობის მოყვარულთათვის საუკეთესო ადგილია. ამიტომაცაა, რომ უკრაინელი მთამსვლელები საქართველოს მთიანეთის არც თუ იშვიათი სტუმრები არიან. უკრაინის სანაპირო ხაზი შავ ზღვაზე ძალიან პოპულარული საზაფხულო ადგილია დამსვენებელთათვის. უკრაინის კუთვნილებაში შედის პატარა ზღვისპირა „კონტინენტი“ ყირიმის ნახევარ კუნძული, რომელიც გამორჩეულია თავისი ცხელი კლიმატით, ნაოჭიანი მთებითა და ანტიკური ნანგრევებით. ტურისტები უკრაინაში იღებენ ტურს, რომელიც გულისხმობს მოგზაურობას გემებით დნეპრზე. ჩვენი ქვეყნის მსგავსად უკრაინის ეროვნული სამზარეულო დიდი ხნის ისტორიით გამოირჩევა და დამსვენებელს მრავალფეროვანი კერძების დაგემოვნების საშუალებას აძლევს. უკრაინის ტურისტული ინდუსტრია დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. უკრაინას, ტურისტული თვალსაზრისით აქვს რამდენიმე უპირატესობა: მნიშვნელოვნად დაბალი ფასები სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, უვიზო მიმოსვლა მრავალი ევროპელი ადამიანისათვისა და დსთ-ს წევრი ქვეყნებისათვის გარდა თურქმენეთისა.

აღნიშნული მონაცემები ხელს უწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის ტურიზმის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობას. 2012 წელს წინა წელთან შედარებით უკრაინიდან ტურისტების +20,5 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. ყველაზე დიდი რაოდენობით ტურისტები თურქეთიდან შემოვიდნენ (+105,2 პროცენტიანი ზრდით) შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი (+26,3 პროცენტი), სომხეთი (+38,3 პროცენტი), რუსეთი (+99,2 პროცენტი) და ირანი (+109 პროცენტი) ზრდის მაჩვენებლებით. ევროპიდან შემოსული ტურისტების რაოდენობამ უკრაინიდან და ირანიდან შემოსული ტურისტების რაოდენობას გადააჭარბა. საქართველოს ტურისტული ცენტრის - ბათუმის სწრაფად განვითარებადი ტურისტული ინფრასტრუქტურა უკრაინელების მიერ შეუმჩნეველი არ რჩება. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ დაჯილდოვებული მე-500 000 იღბლიანი ტურისტი სწორედ ის უკრაინული ოჯახი აღმოჩნდა, რომელიც მეგობრების რჩევით ჩამოვიდნენ ბათუმში. [8]

საქართველოსა და უკრაინას შორის არაერთი მემორანდუმია გაფორმებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ტრადიციული მეგობრობა და თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და გაფართოვდება.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=369&lang_id=GEO
2. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_212_GEO.pdf
3. www.geostat.ge, info@geostat.ge

4. http://www.saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=4215:--2011------&catid=114:new#ixzz2J5tJSDYT
5. http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=1207
6. http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=1177
7. http://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=1340
8. http://www.tourismadjara.ge/new/index.php?a=main&pid=896&lang=geo

რეზიუმე

საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული თანამშრომლობა ეფუძნება ორ ერს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ მეგობრულ ურთიერთობებს და საერთო ინტერესებს ევროპული ინტეგრაციის, რეგიონული თანამშრომლობის და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებში. ნაშრომში განხილულია საქართველო-უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები. უკრაინა, უკვე წლებია, იკავებს ადგილს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში. უკრაინიდან ხორციელდება ინვესტიციების მოზიდვა ისეთ სტრატეგიულ სფეროებში, როგორებიცაა ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი.

THE MAIN ASPECTS OF ECONOMIC COOPERATION BETWEEN GEORGIA AND UKRAINE

Giuli Giguashvili, Full Professor

RESUME

The strategic partnership between Ukraine and historically established friendly relations between the two nations based on common interests and European integration, regional cooperation and energy security issues. The paper discusses Georgia - Ukraine economic cooperation aspects. Takes the place of the Ukraine's largest trading partner for years in dozens of countries. Ukraine is to attract investment in strategic sectors, such as hydropower, transportation, infrastructure, agriculture and tourism.

აუდიტორული საქმიანობის როლი ეკონომიკურ საქმიანობაში საკმაოდ აქტუალურია

დავით ბიძინაშვილი, *სრული პროფესორი*

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე რეფორმებმა, ახალმა სამეურნეო და სამართლებრივი ურთიერთობების დამკვიდრებამ, დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკურ სფეროში არსებული მრავალი მექანიზმის ძირეული გარდაქმნის პრობლემა, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი თანამედროვე საზოგადოებისათვის აუდიტის სფეროს გააჩნია. ყველა სახის აუდიტი წარმოადგენს სპეციფიკურ სისტემას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გაკეთდეს დასკვნა კომპანიის საქმიანობის ეფექტურობის ხარისხსა და მისი სრულყოფის გზებზე. როგორც ცნობილია, აუდიტს ჰყოფენ ორ სახედ: გარე და შიდა აუდიტი. ამავე დროს „აუდიტის“ ცნებას აკავშირებენ ისეთ შემოწმებასთან, რომელსაც ახორციელებენ ეკონომიკური სუბიექტის მესაკუთრეების, აქციონერების და სააღმსრულებლო ორგანოებისაგან სრულიად დამოუკიდებელი აუდიტორები, ანგარიშგების სარწმუნოობაზე ობიექტური აზრის გამოხატვის მიზნით. გარე აუდიტი უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, მისი დამოუკიდებლობა კი განისაზღვრება როგორც საკანონმდებლო, ასევე ეთიკის ნორმებით. აუდიტორის წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გარე აუდიტი იყოფა სავალდებულო და საინიციატივო აუდიტად. სავალდებულო აუდიტი ტარდება იმ შემთხვევაში, როცა მისი ვადები და მოცულობა განსაზღვრულია საკანონმდებლო აქტებით, საინიციატივო აუდიტი კი – ნებისმიერ დროს იმ მოცულობით, რომელიც

განისაზღვრება კომპანიის მოთხოვნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. სავალდებულო აუდიტის ჩატარებისას აუდიტორის წინაშე დგას ერთადერთი მიზანი – შესამოწმებელი ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი ასპექტების უტყუარობის შესახებ აზრის ფორმირება და შემდგომ გამოხატვა. ამ პროცესში აუდიტორს შეუძლია გადაწყვიტოს შუალედური ამოცანები: განსაზღვროს კომპანიის მიერ განხორციელებული გარიგებების შესაბამისობა კანონმდებლობასთან, შეამოწმოს საგადამხდელო-საანგარიშსწორებო დოკუმენტები, საგადასახადო ანგარიშსწორებები და ა.შ. საინიციატივო აუდიტის პროცესში კი აუდიტორის წინაშე დგას კონკრეტული ამოცანა, რომელიც ემსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევას. ასეთი ამოცანები შეიძლება იყოს: კონსულტაციები, ფინანსური მდგრადობის ანალიზი, მიმოხილვითი შემოწმება, ანგარიშსწორებათა შემოწმება და ა. შ. ამ დროს დასახული მიზნები შეიძლება იყოს მრავალმხრივი: გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, პერსონალის სწავლება, სტრატეგიული დაგეგმვა, აქტივების უზრუნველყოფის შემოწმება და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტორული საქმიანობის როლი ეკონომიკურ საქმიანობაში საკმაოდ აქტუალურია და, შესაბამისად, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ ვითარდება აღნიშნული სფერო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, როგორ ხორციელდება თანამედროვე ეტაპზე აუდიტორული საქმიანობის რეგულირება საქართველოში, როგორ არის განსაზღვრული საჯარო ზედამხედველობის მიზანი ამ სფეროში. სამეცნიერო ნაშრომში სწორედ აღნიშნულ საკითხებს დავუთმობთ ყურადღებას.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით მსოფლიოში აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის მრავალგვარი სისტემა არსებობს, რომელთა დახვეწა, ცხადია, მუდმივად მიმდინარეობს ისეთი მიზეზების გამო, როგორიცაა წარუმატებელი ფინანსური ანგარიშგებები, თვითრეგულირებად სისტემებში აღმოჩენილი სისუსტეები, ახალი კანონმდებლობის მოთხოვნები და სხვა. ისტორიულად, აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობა თვითრეგულირების ფორმას იღებდა. ასეთი მიდგომების დროს ხშირად გამოიყენებოდა ექსპერტული მიმოხილვა კომპანიის საქმიანობის გარე შეფასების პარალელურად, რომელსაც სხვა პრაქტიკოსი პროფესიონალები ასრულებდნენ და შესაბამის ანგარიშს წარუდგენდნენ თვითრეგულირებადი კომპანიის საბჭოს. ბოლო პერიოდში რეგულირების სისტემები განვითარდა დამოუკიდებელ ზედამხედველობაზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, რამაც განაპირობა ეროვნული რეგულატორების ჩამოყალიბების ტენდენცია უფრო თანმიმდევრული და გლობალური მასშტაბებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1977 წლიდან სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ამერიკული ინსტიტუტი (AICPA) ხელმძღვანელობდა ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) პრაქტიკის განყოფილებას (SECPS), რომელიც იყო თვითრეგულირებადი ორგანო ფასიანი ქაღალდების კომისიაში რეგისტრირებული აუდიტორული კომპანიების საქმიანობაზე ზედამხედველობისათვის. აღნიშნული სტრუქტურა ატარებდა აუდიტის სამუშაოების პერიოდულ ექსპერტულ შეფასებებს ნაკლოვანებათა გამოსავლენად და, შესაბამისად, მათ აღმოსაფხვრელად, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს აუდიტორულ კომპანიებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 2002 წელს კომპანიების ბუღალტრულ აღრიცხვაზე ზედამხედველობის საზოგადოებრივი საბჭო გახდა აუდიტის პროფესიის ზედამხედველობის ძირითადი ორგანო. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საბჭოსა და მისი თანამშრომლებისაგან, რომელთა როლი, რიგ სხვა საკითხებთან ერთად, რეგულარული აუდიტორული ინსპექციების ჩატარებით შემოიფარგლება. აღნიშნული ტენდენცია გაძლიერდა ევროკავშირის მე-8 (სავალდებულო აუდიტის) დირექტივის მიღების შემდეგ 2006 წლის ივნისში. იგი შეეხება სავალდებულო აუდიტის ჩატარების, საჯარო ზედამხედველობისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს. მე-8 დირექტივა ხელს უწყობს და შესაბამისობაში მოჰყავს სავალდებულო აუდიტის საკითხები ევროკავშირის მასშტაბით და ადგენს აუდიტორულ საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობისა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს.

კაპიტალის ბაზრის უფრო ეფექტური ფუნქციონირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სისტემაში მონაწილე თითოეული დაინტერესებული პირი გონივრულად უნდა მოქმედებდეს, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის ბაზრებზე აუდიტორები დაინტერესებული მხარეების მხოლოდ ერთი ჯგუფია, ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების სანდოობის უზრუნველყოფაში, კერძოდ, ხარისხიან აუდიტს შეუძლია პირდაპირ გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესის და, ზოგადად, კაპიტალის ბაზრის სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება. აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობა მნიშვნელოვანი საშუალებაა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დამოუკიდებელი

ზედამხედველობა დაინერგა მსოფლიოს მზარდი კაპიტალის ქვეყნებში და ბევრ ქვეყანაში ამჟამადაც მიმდინარეობს ეს პროცესი. საჯარო ზედამხედველობის პირობებში კომპანიებს, რომელთაც სურთ კლიენტებს შესთავაზონ გარკვეული ტიპის აუდიტორული მომსახურება (საზოგადოდ, სავალდებულო აუდიტი ან საფონდო ბირჟებზე კოტირებული კომპანიების აუდიტი), მოეთხოვებათ დარეგისტრირდნენ მათი პროფესიისაგან დამოუკიდებელ ორგანოში. ამრიგად, რეგისტრაცია და შესაბამისად მისი შენარჩუნება წარმოადგენს აუდიტორული საქმიანობის განხორციელების წინაპირობებს. ამ ორგანოს წევრების დანიშვნა გამჭვირვალე პროცესი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოს კვალიფიციური პირების შერჩევა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს მოემსახურებიან.

საზედამხედველო ორგანოების სტრუქტურა და ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, მაგრამ ზოგადად ასეთ ორგანოს აქვს შემდეგი ფუნქციები:

- საბჭო, დანიშნული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელსაც რეგულირების მთლიანი პროცესის აღმასრულებლის მოვალეობა აკისრია;
- რეგისტრაციისა და ანგარიშგების ფუნქცია, რომელიც მოითხოვს თითოეული აუდიტორული ფირმის მიერ სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდებას პირველადი რეგისტრაციისათვის და ასევე მოითხოვს პერიოდულ ანგარიშგებას საკუთარი საქმიანობის შესახებ (ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც გამჭვირვალობის ანგარიში);
- ინსპექტირების ფუნქცია, რომლის ფარგლებშიც ტარდება რეგისტრირებული კომპანიების საქმიანობისა და ოპერაციების პერიოდული შემოწმებები, შედეგად კი, როგორც აღნიშნულ კომპანიას, ასევე დაინტერესებულ საზოგადოებას წარედგინება ანგარიში;
- გამოძიების ფუნქცია, რომლის ფარგლებშიც ხდება პროფესიულ სტანდარტებსა და სხვა მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევების გამოძიება და სანქციებზე რეკომენდაციების გაცემა.

ყველა აუდიტორი უნდა დაექვემდებაროს ეფექტურ ზედამხედველობას დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება. ამ ორგანოს წევრების უმრავლესობა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოუკიდებელი უნდა იყოს აუდიტის პროფესიისგან. თუმცა უახლესი პროფესიული გამოცდილების მქონე აუდიტორული საქმიანობით დაკავებული პირები მონაწილეობას უნდა იღებდნენ ამ ორგანოს საქმიანობაში.

საზედამხედველო ორგანოს უნდა გააჩნდეს დაფინანსების სტაბილური წყარო თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. დაფინანსებამ ზეგავლენის საფრთხის წინაშე არ უნდა დააყენოს საჯარო ზედამხედველობის ორგანო დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან. ანალოგიური სისტემების მქონე ეროვნულ რეგულატორებს შორის უნდა მოხდეს ორმხრივი აღიარება, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეგულირების დუბლირება, რაც უარყოფითად მოქმედებს აუდიტის ხარისხსა და ხარჯებზე. ასეთი ეკვივალენტურობა კი მიიღწევა საზედამხედველო ორგანოს შექმნით.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, 2007 წელს საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების – "საქართველოს ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერა" – ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჩამოყალიბდა რისკების შეფასებისა და შიდა აუდიტის სამმართველო, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა შიდა აუდიტის ერთეულების ჩამოყალიბების და საჯარო ფინანსების მართვის, კონტროლის ახალი სისტემის დანერგვის მოსამზადებელი ქმედებების განხორციელება. შესაბამისად, 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა "სახელმწიფო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგია" (Public Internal Financial Control (PIFC)), რომელიც საკმაოდ დეტალურად აღწერდა საჯარო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების გეგმას, მაგრამ, ცხადია, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის, ფინანსური მართვის, კონტროლისა და შიდა აუდიტის სისტემის შემუშავების, ჩამოყალიბებისა და დანერგვისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი

საკანონმდებლო ბაზის არსებობა. აქედან გამომდინარე, 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო "საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ", რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მთავარ საფუძველს. ამ კანონის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში 12 სამინისტროში ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის სუბიექტი. ამჟამად კი საქართველოში უკვე არსებობს 24 შიდა აუდიტის ერთეული. "სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის 345-ე დადგენილების საფუძველზე შეიქმნა "შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი

საბჭო" (ჰარმონიზაციის ცენტრი), დამტკიცდა საბჭოს დებულება და განისაზღვრა საბჭოში არსებული სამდივნოს უფლება-მოვალეობები.

ჩამოყალიბდა ჰარმონიზაციის ცენტრის მთავარი ამოცანა, რაც შიდა აუდიტის ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას გულისხმობს. აღნიშნულ ცენტრს თანათავმჯდომარეობენ საქართველოს ფინანსთა მინისტრი და საქართველოს კონტროლის პალატის (სახელმწიფო აუდიტის სამსახური) თავმჯდომარე. ჰარმონიზაციის ცენტრმა შეიმუშავა შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტები, როგორიცაა: შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი; შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპები; შიდა აუდიტის მეთოდოლოგია; შიდა აუდიტის სტანდარტები და სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო, რომლებიც შემდგომ დამტკიცდა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება უწყვეტ პროცესს წარმოადგენს, შესაბამისად, მუდმივად იხვეწება მიდგომები ამ საკითხისადმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2011 წელს განხორციელდა "სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" საქართველოს კანონის დახვეწა და მისი სრულად ჰარმონიზება საერთაშორისო სტანდარტებთან – INTOSAL-თან და IIA-თან. ამის საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 9 დეკემბერს მიიღო შესაბამისი ცვლილებები "სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" საქართველოს კანონში და გარდა ფუნდამენტური ცვლილებებისა, აღნიშნული კანონის სათაურიც შეიცვალა და ეწოდა "სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში ზედამხედველობა იქნება ეფექტური, თუ მას ჩაატარებენ შიდა ეროვნული საზედამხედველო ორგანოები და ინსპექტორები, რომელთაც სრულად ესმით იმ კულტურული და საკანონმდებლო გარემოს თავისებურებები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება აუდიტორული საქმიანობა და, ამავდროულად, გამოიყენებენ ასევე სხვა ქვეყნების რეგულატორების მიერ გაწეული მონიტორინგის შედეგებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ", №623; 07.02.1995.
2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ", №2839; 26 მარტი, თბ., 2010.
3. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ, №6598; 29.06.2012.
4. აუდიტორის ეთიკის კოდექსი, საქართველოს აუდიტორული საქმიანობის საბჭო, თბ., 1999.
5. ბარბაქაძე გ., ბიძინაშვილი დ., ბუხჰალტრული აღრიცხვა და აუდიტი (სახელმძღვანელო), 2012.
6. Кушнареев А., Журнал «Аудит»; №2-3, 2011.

რეზიუმე

საქართველოში აუდიტორული საქმიანობის შესახებ კანონი 1995 წლის 8 თებერვალს მიიღეს. ამ დღიდან 18 წელია გასული. ექსპერტების შეფასებით, ამ ინსტიტუტის სერვისი ქვეყანაში საკმაოდ მოთხოვნადია.

საქართველოში აუდიტის ბაზარი სწრაფად განვითარდა. მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული კომპანიების დიდი ოთხეული ჩვენს ქვეყანაში საქმიანობს. ამ დიდი ოთხეულის ინტერესი ბაზარზე წმინდა ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას ეხება. მას ნაკლები შეხება აქვს ფულად-საგადასახადო კონსულტირების, საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმების განსაზღვრის მიმართულებით. ამ მხრივ ბაზარზე მეტი ხვედრითი წილი საქართველოში შექმნილ აუდიტორულ კომპანიებს უჭირავთ.

ქვეყანაში საქმიანობს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია ბაფ-I, ამის გარდა, შექმნილია კიდევ ორი პროფესიონალური ორგანიზაცია: ბუღალტერთა ფედერაცია და აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ასოციაცია. დღეს საქართველოს ბაზარზე პროფესიული ნიშნის მატარებელი უკვე სამი ფედერაცია არსებობს.

აუდიტორული კომპანიების ხელმძღვანელების შეფასებით, აუდიტის პროდუქტები საქართველოში კარგად ვითარდება. შეიძლება ითქვას, ჩვენთან აუდიტორთა კორპუსი დატვირთულია და კარგად მუშაობს, რაც გამოწვეულია მათი პროფესიონალიზმით.

AUDIT'S ROLE IN ECONOMIC ACTIVITY IS RATHER URGENT

David Bidzinashvili, Full Professor

RESUME

The ongoing economic reforms, the establishment of new economic and legal relations, the agenda the issue of the mechanism underlying the transformation of the economic sphere, there is a problem with one of the - one of the most important place in modern society has an audit system. All types of audit is a specific system that will allow us to make a conclusion on the effectiveness of the Company's activities and the improvement of the quality of roads.

The audit divides into two categories: external and internal audit. At the same time, an audit "to connect the notion of verification, which is implemented by the economic entity's owners, shareholders and executive bodies completely independent auditors for the purpose of reporting credibility of the objective expression. Audits should be conducted by an independent external auditor, his independence is defined as the legal and ethical norms.

Above, based on the audit's role in economic activity is quite problematic and, therefore, natural that interest is the question as to how to develop the field in different countries, what are the stages of audit regulation in Georgia, how is the public oversight of this area. In this paper we give attention to scientific matters.

საწარმოში წარმოდგენილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვის საკითხები

მარინე ბუზიაშვილი, *მოწვეული სპეციალისტი*

ზოგჯერ ძნელია იმის შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივი აღიარების კრიტერიუმებს. ხშირად ძნელია: ა) იმის დადგენა, არსებობს თუ არა და დროის რა მომენტში არსებობს არამატერიალური აქტივი, რომელიც წარმოქმნის მოსალოდნელ ეკონომიკურ სარგებელს და ბ) აქტივის თვითღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია არამატერიალური აქტივის წარმოქმნის თვითღირებულების გამორჩევა საწარმოში წარმოქმნილი გუდვილის შენარჩუნების ან გაზრდის თვითღირებულებისაგან ან ყოველდღიური ოპერაციების დანახარჯებისგან.

აქედან გამომდინარე არამატერიალური აქტივის აღიარებისა და საწყისი შეფასების მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად, საწარმო იყენებს ქვემოთ მოცემულ მოთხოვნებსა და მეთოდურ მითითებებს, საწარმოში წარმოქმნილ ყველა არამატერიალური აქტივებისთვის. იმისთვის, რომ შეფასდეს, აკმაყოფილებს თუ არა საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივი კრიტერიუმებს, საწარმო ახდენს აქტივის წარმოქმნის პროცესის კლასიფიკაციას: ა) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზად; და ბ) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფაზად.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არის ორიგინალური და დაგეგმილი გამოკვლევები, რომლებიც განხორციელებულია ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნის მისაღებად; საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები არის სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების ან სხვა ცოდნის გამოყენება ახალ ან არსებითად გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობების, საქონლის, სისტემების ან მომსახურების წარმოების დაგეგმვასა და პროგნოზირებაში, მათი კომერციული წარმოების ან გამოყენების დაწყებამდე.

თუ საწარმოს არ შეუძლია გამიჯნოს არამატერიალური აქტივის წარმოსაქმნელად განხორციელებული შიდა პროექტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზა საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფაზისგან. საწარმო დანახარჯებს ამ პროექტზე განიხილავს, თითქოს ისინი გაწეული იყო მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზაში.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგად (ან შიდა პროექტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზის შემდეგ) წარმოქმნილი არცერთი არამატერიალური აქტივის აღიარება არ უნდა მოხდეს. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე (ან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზაში) გაწეული დანახარჯების აღიარება ხარჯის სახით უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც გაწეული იქნება დანახარჯი.

ბასს-38-ში „არამატერიალური აქტივები“ გათვალისწინებულია თვალსაზრისი, რომ პროექტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზაში საწარმოს არ შეუძლია აჩვენოს, რომ არსებობს

არამატერიალური აქტივი, რომელიც, წარმოქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. აქედან გამომდინარე, ასეთი დანახარჯის აღიარება ხარჯის სახით ყოველთვის მაშინ ხდება, როდესაც მოხდება დანახარჯის გაწევა. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაგალითებია:

ა) ახალი ცოდნის მიღებისთვის წარმართული საქმიანობა;

ბ) სამეცნიერო აღმოჩენების ან სხვა ცოდნის გამოყენების საშუალების ძიება, შეფასება და საბოლოო შერჩევა;

გ) მასალების, მოწყობილობების, საქონლის, პროცესების, სისტემის ან მომსახურების ალტერნატივების ძიება;

დ) ახალი ან გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობების, საქონლის, პროცესების, სისტემის ან მომსახურების შესაძლო ალტერნატივების ფორმულირება, დიზაინი, შეფასება და საბოლოო შერჩევა.

არამატერიალური აქტივი, რომელიც წარმოიქმნება საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგად (ან შიდა პროექტის საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფაზის შემდეგ), უნდა აღიარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს შეუძლია აჩვენოს:

ა) ტექნიკურად განხორციელებადია არამატერიალური აქტივის დასრულება ისე, რომ მისი გამოყენება ან გაყიდვა გახდეს შესაძლებელი;

ბ) არამატერიალური აქტივის დასრულებისა და გამოყენების ან მისი გაყიდვის განზრახვა;

გ) არამატერიალური აქტივის გამოყენების ან გაყიდვის უნარი;

დ) თუ როგორ წარმოქმნის არამატერიალური აქტივი მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ამასთან, საწარმომ უნდა აჩვენოს არამატერიალური აქტივის გამოყენების შედეგების ან თვით არამატერიალური აქტივის ბაზრის არსებობა, ან თუ მისი საწარმოში გამოყენებაა განზრახული – არამატერიალური აქტივის სარგებლიანობა.

ე) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დასრულებისა და არამატერიალური აქტივის გამოყენების ან გაყიდვისთვის საჭირო ადეკვატური, ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსების არსებობა;

ვ) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმდინარეობისას გაწეული, არამატერიალურ აქტივებზე მიკუთვნებადი, დანახარჯების საიმედოდ შეფასების უნარი.

საწარმოს, ზოგჯერ, პროექტის საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფაზაში შეუძლია განსაზღვროს არამატერიალური აქტივი და აჩვენოს, რომ აქტივი წარმოქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ეს იმიტომ ხდება, რომ საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფაზა უფრო დაწინაურებულია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზასთან შედარებით.

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მაგალითებია:

ა) პროტოტიპების და მოდელების დაპროექტება, შექმნა და ტესტირება (გამოცდა) მათი წარმოებისა და გამოყენების დაწყებამდე;

ბ) ინსტრუმენტების, შაბლობენის, ფორმებისა და შტამპების დაპროექტება ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით;

გ) დაპროექტება, შექმნა და მართვა საცდელი მოწყობილობებისა, რომელიც საკმარისად მასშტაბური არ არის, ეკონომიკურად გამართლებული კომერციული წარმოებისათვის.

დ) ახალი ან გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობების, საქონლის, პროცესების, სისტემას ან მომსახურების შერჩეული ალტერნატივის დაპროექტება, შექმნა და ტესტირება (გამოცდა).

იმის დემონსტრირებისთვის, თუ როგორ წარმოქმნის არამატერიალური აქტივი მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, საწარმო შეაფასებს აქტივიდან მისაღებ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, განსაზღვრული პრინციპების მიხედვით. თუ აქტივი მომავალ ეკონომიკურ სარგებელს წარმოქმნის მხოლოდ სხვა აქტივებთან ერთად გამოყენების შემთხვევაში, საწარმო იყენებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების კონცეფციას, რომელიც მოცემულია ბასს-36-ში.

არამატერიალური აქტივის შექმნის დასასრულებლად, გამოსაყენებლად და სარგებლის მისაღებად საჭირო რესურსების არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგალითად, ბიზნეს – გეგმით, რომელშიც მოცემულია საჭირო ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსების რაოდენობა და საწარმოს მიერ ამ რესურსების მიღების შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმო ახდენს გარე ფინანსების მიღების შესაძლებლობის დემონსტრირებას, სესხის გამცემის მიერ გეგმის დაფინანსების სურვილის დამადასტურებელი რაიმე საბუთის მიღებით.

საწარმოს თვითაღიარების კალკულაციის სისტემის საშუალებით ხშირად შესაძლებელია არამატერიალური აქტივის საწარმოში წარმოქმნის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება, მაგალითად, შესაძლებელია საავტორო უფლებებისა და ლიცენზიების მიღებისთვის ან პროგრამული უზრუნველყოფის, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის გაცემული ხელფასის ან სხვა დანახარჯის შესახებ ინფორმაციის მიღება.

საწარმოში წარმოქმნილი სასაქონლო ნიშნები, ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება, პუბლიკაციების დასახელებები, კლიენტების ჩამონათვალი და არსებითად მსგავსი მუხლები უნდა აღიარდეს არამატერიალური აქტივების სახით.

წინამდებარე სტანდარტში გათვალისწინებულია თვალსაზრისი, რომ საწარმოში წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანზე, ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებაზე, პუბლიკაციის დასახელებაზე, კლიენტების ჩამონათვალსა და არსებითად მსგავს მუხლებზე გაწეული დანახარჯების გამორჩევა მთლიანად ბიზნესის განვითარების თვითღირებულებისგან შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, არ უნდა მოხდეს ასეთი მუხლის არამატერიალურ აქტივად აღიარება. საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს ყველა დანახარჯს, რომლებიც შეიძლება პირდაპირ იქნეს მიკუთვნებული, ან გონივრულ და დასაბუთებულ საფუძველზე განაწილებული აქტივის შექმნაზე, წარმოებასა და გამიზნული გამოყენებისთვის მომზადებაზე. თვითღირებულება, თუ ეს მიზანშეწონილია მოიცავს:

ა) არამატერიალური აქტივის შესაქმნელად გამოყენებულ ან მოხმარებულ მასალებსა და მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს;

ბ) აქტივის შექმნაში უშუალოდ დაკავებული პერსონალის ხელფასებს, გასამრჯელოებს და მათ დასაქმებასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს;

გ) მოსაკრებელს იურიდიული უფლებების რეგისტრაციაზე;

დ) აქტივის შესაქმნელად გამოყენებული ლიცენზიების ან პატენტების ამორტიზაციას.

საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება, ბასს 38-ის „არამატერიალური აქტივები“ 24-ე პუნქტის მიზნებისთვის წარმოადგენს იმ თარიღის შემდეგ გაწეული დანახარჯების ჯამს, როდესაც არამატერიალურმა თარიღის შემდეგ გაწეული დანახარჯების ჯამს, როდესაც არამატერიალურმა აქტივმა პირველად დააკმაყოფილა 21-ე, 29-ე და 57-ე პუნქტებში მოცემული აღიარების კრიტერიუმები, 71-ე პუნქტით იკრძალება იმ დანახარჯების გადასინჯვა, რომელიც წინა წლების ანგარიშგებებში ან შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებული იყო, როგორც ხარჯი. განვიხილოთ შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითი: საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულების კომპონენტებს არ წარმოადგენს:

ა) გაყიდვის, ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია ამ დანახარჯების პირდაპირ მიკუთვნება აქტივის გამოყენებისათვის მომზადებაზე;

ბ) ნათლად გამოკვეთილი არაეფექტურობა და საწყისი საოპერაციო დანაკარგები, რასაც ადგილი აქვს აქტივის გეგმური მაჩვენებლის მიღწევამდე;

გ) აღნიშნული აქტივის საექსპლუატაციო პერსონალის მომზადებაზე გაწეული დანახარჯები.

არამატერიალურ მუხლზე გაწეული დანახარჯის აღიარება ხარჯის სახით უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც დანახარჯი იქნება გაწეული გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) იგი არის არამატერიალური აქტივის თვითღირებულების ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს; ან

ბ) შეძენილია საწარმოთა გაერთიანებისას და არ შეიძლება აღიარდეს არამატერიალური აქტივი. ამ შემთხვევაში აღნიშნული დანახარჯი (რომელიც შედის) უნდა შეადგენდეს გუდვილზე საწარმოთა გაერთიანებას ღირებულებაში მიკუთვნებადი თანხის ნაწილის შეძენის თარიღით.

ზოგიერთ შემთხვევაში დანახარჯი გაწეულია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, მაგრამ არ ხდება ისეთი არამატერიალური აქტივის ან სხვა აქტივის შეძენა ან წარმოქმნა, რომლის აღიარება შესაძლებელი იქნება. ასეთ შემთხვევაში, დანახარჯი ხარჯის სახით უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც მოხდება დანახარჯის გაწევა. მაგალითად: სამეცნიერო – კვლევით სამუშაოებზე დანახარჯის აღიარება ხარჯის სახით ყოველთვის ხდება დანახარჯის გაწევისთანავე. მაგალითები სხვა დანახარჯებისა, რომელთა ხარჯის სახით აღიარება ხდება დანახარჯის გაწევისას:

ა) დანახარჯები ახალი საქმიანობის დაწყებაზე, თუ ეს დანახარჯები არ შედის ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში, ბასს 16-ის შესაბამისად. გაშვებაზე დანახარჯი შესაძლოა

მოიცავდეს დაფუძნების დანახარჯებს, მაგალითად, იურიდიული პირის დაფუძნებისას გაწეული იურიდიული მომსახურებისა და სამდივნო დანახარჯები.

ბ) უპირატეს ვარიანტად, კვლევისა და განვითარების დანახარჯების ხარჯებად აღიარებას გაწევის მომენტში და:

გ) დასაშვებ ალტერნატიულ ვარიანტად განვითარების დანახარჯიდან აღიარების გარკვეული კრიტერიუმების შემდეგ.

ყველა შიდა წარმოშობის არამატერიალურ აქტივზე (განვითარების დანახარჯის ჩათვლით), გაწეული დანახარჯის ხარჯად აღიარების მომხრეები ამტკიცებენ, რომ:

ა) თავდაპირველად წარმოქმნილი არამატერიალური აქტივი არ აკმაყოფილებს სტუქტურული საფუძვლების აქტივად აღიარების მოთხოვნას, ვინაიდან: სიმძლავრეების გაშვების ან ბიზნესის დაწყების (გახსნის წინა ხარჯები) დანახარჯები და ახალი ოპერაციების დაწყების ან ახალი პროცესების გაშვების დანახარჯები (წინა საოპერაციო დანახარჯები);

ბ) დანახარჯი სწავლაზე;

გ) დანახარჯი რეკლამისა და რეალიზაციის ხელშეწყობაზე;

დ) დანახარჯი მთელი საწარმოს ან მისი ნაწილის ადგილის შეცვლაზე ან რეორგანიზაციაზე.

გასულ პერიოდში აღიარებული ხარჯები არ უნდა აღიარდეს აქტივად, დანახარჯი არამატერიალურ მუხლზე, რომელიც საწარმოს მიერ წინა წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ან შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარებულ იქნა, როგორც ხარჯი, რომელიც შემდგომში არ უნდა აღიარებულ იქნას როგორც არამატერიალური აქტივის თვითღირებულების ნაწილი.

შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივებისათვის არსებობს წინააღმდეგობები:

ა) მოთხოვნა შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივების ბალანსში აღიარების შესახებ, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ;

ბ) მოთხოვნა ყველა შიდა წარმოშობის არამატერიალურ აქტივზე გაწეული დანახარჯების ხარჯებად აღიარების შესახებ;

გ) მოთხოვნა ყველა შიდა წარმოშობის არამატერიალურ აქტივზე გაწეული დანახარჯების ხარჯებად აღიარების შესახებ გარკვეული გამონაკლისების გარდა; ან

დ) არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა (ა)-სა და (ბ)-ს შორის

განვითარების დანახარჯებიდან გარკვეული კრიტერიუმის შესრულების შემდეგ, აქტივის შესახებ განსაზღვრავდა:

1. შესაძლებელია შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივიდან წარმოქმნილი მომავალი ეკონომიკური სარგებლის განსხვავება შიდა წარმოშობის გუდვილიდან წარმოქმნილი მომავალი ეკონომიკური სარგებლისაგან; და/ან

2. შეუძლებელია საიმედო გარჩევა შიდა წარმოშობის არამატერიალურ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯისა და შიდა წარმოშობის გუდვილის გაზრდასთან დაკავშირებულ დანახარჯს შორის.

3. შეუძლებელი იქნება ფინანსური შედარება, ვინაიდან მსჯელობა იმის შესახებ, რომ შიდა წარმოშობის აქტივიდან წარმოქმნილი მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში, ძალზე სუბიექტურია იმისთვის, რომ მსგავს შემთხვევაში აღრიცხვის ერთნაირი შედეგი მოგვცეს.

4. შეუძლებელია შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივიდან ამოსაღები თანხის საიმედოდ შეფასება, გარდა იმისა, როცა მისი რეალური ღირებულება შეიძლება დადგინდეს აქტიური ბაზრიდან. ამიტომ შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივის აღიარებამ, რომლისთვისაც არ არსებობს აქტიური ბაზარი, შეიძლება ინვესტორთა დაბნევა გამოიწვიოს.

5. შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივის აღიარების მოთხოვნა გარკვეული ღირებულებით კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში იძლევა ძალიან მცირე ან არანაირ საპროგნოზო ან გადაწყვეტილების მისაღებ ინფორმაციას, ვინაიდან:

ა) აღიარების კრიტერიუმის მისაღწევად საჭირო კომერციული წარმატებისა და ტექნოლოგიური სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირების შესაძლებლობა ვერ მიიღწევა, სანამ მნიშვნელოვანი დანახარჯების რაოდენობა ხარჯად არ აღიარდება. ამგვარად, შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივის ღირებულება ვერ ასახავს ამ აქტივზე გაწეული სრული დანახარჯის რაოდენობას;

ბ) შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივის ღირებულებას შეიძლება არანაირი კავშირი არ ჰქონდეს ამ აქტივის ფასთან.

გ) ზოგიერთ ქვეყანაში მომხმარებელი ეჭვის თვალით უყურებს საწარმოებს, რომლებიც აღიარებენ შიდა წარმოშობის არამატერიალურ აქტივებს;

დ) შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივის აღიარებისთვის საჭირო დამხმარე და დამამტკიცებელი საბუთების მომსახურებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ვერ უზრუნველყოფს საკმარის სარგებელს.

შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივის აუცილებელ აღიარების მომხრეები (განვითარების დანახარჯის ჩათვლით), გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ ამტკიცებენ, რომ:

ა) შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივი უნდა აღიარებულ იქნას, თუ იგი აკმაყოფილებს აქტივის განმარტებას და აღიარების კრიტერიუმი თავსებადია სტრუქტურულ საფუძვლებთან, საწარმოს ხანდახან შეუძლია:

ბ) დაადგინოს მომავალი ეკონომიკური სარგებლის განმარტება შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივისათვის;

გ) განასხვავოს ამ აქტივზე გაწეული დანახარჯი შიდა წარმოშობის გუდვილზე გაწეული დანახარჯისაგან.

დ) ბოლო ორი დეკადის განმავლობაში განხორციელდა მასობრივი ინვესტიციები არამატერიალურ აქტივებში. ამავე დროს, არსებობდა უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ:

ე) არამატერიალურ აქტივში ინვესტიციის არაღიარება ფინანსურ ანგარიშებში იწვევს საწარმოში საქმიანობის არასწორ შეფასებას და არ იძლევა არამატერიალურ აქტივზე ინვესტიციის უკუგდების ზუსტი შეფასების საშუალებას; და

ვ) თუ საწარმო კარგად არ აღრიცხავს არამატერიალურ აქტივებზე ინვესტიციის უკუგდებას, მაშინ მნიშვნელოვან აქტივზე ინვესტიციების შემცირების ან მომატების რისკი ჩნდება. სააღრიცხვო სისტემა, რომელიც იწვევს ასეთ შედეგს, თანდათან ხდება მზარდი არაადეკვატური სიგნალი, როგორც შიდა საკონტროლო მიზნებისათვის, ასევე გარეშე მიზნებისათვის.

ზ) ზოგიერთმა გამოკვლევამ, განსაკუთრებით აშშ-ში, საფუძველი ჩაუყარა ხარჯი - ფასის კვლევისა და განვითარების დანახარჯის კაპიტალიზაციას. გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ კვლევისა და განვითარების დანახარჯის კაპიტალიზაცია მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ინვესტორთათვის;

თ) ის ფაქტი, რომ არსებობს გაურკვევლობა აქტივის ფასთან დაკავშირებით, არ გამოდგება იმის მტკიცებულებად, რომ არანაირი ხარჯი არ უნდა აღიარდეს აქტივისათვის;

ი) აღიარების მიზნებისათვის არანაირი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, აქტივი შესყიდულია გარედან, თუ შიდა წარმოშობისაა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ არსებობს სააღრიცხვო არბიტრაჟის საშუალება იმის თაობაზე, საწარმო აპირებს არამატერიალური აქტივის გარეთა თუ შიგა განვითარებას.

საწარმო, რომელიც ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, ვალდებულია შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს ისარგებლოს და იხელმძღვანელოს სააღრიცხვო პოლიტიკაში აღწერილი დებულებებით.

ლიტერატურა:

1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), 2007.
2. ძაძამია რ., ფინანსური აღრიცხვა, ბაფ., თბ., 2000.
3. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, №7-8, ბაფი, თბ., 2000.

რეზიუმე

ნაშრომში „საწარმოში წარმოდგენილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვის საკითხები“ განხილულია ყველა ის ძირითადი საკითხები რომელიც დაკავშირებულია მოცემულ თემასთან. ნაშრომში ასახულია საწარმოში არსებული არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ბასს 38-ის

მიხედვით, სტანდარტში შეტანილი ცვლილებები. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით, კვლევის გაგრძელება დადებითად წაადგება ბუღალტრული აღრიცხვის მაღალი ხარისხის ერთიანი სტანდარტის შემუშავებას, რაც სრულყოფს აღრიცხვასთან დაკავშირებულ საკითხზე. საქართველოში ამ კუთხით რეფორმა დაწყებულია და ინერგება ცალკეული სტანდარტები იმ ნიშნით, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არ არეგულირებენ ცალკეული სააღრიცხვო ობიექტის აღრიცხვის წესს. მათი მიზანია ფინანსური ანგარიშგების კონკრეტული ნორმების დადგენა. საწარმო, რომელიც ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, ვალდებულია შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ისარგებლოს სააღრიცხვო პოლიტიკის დებულებებით.

ACCOUNTING ISSUES OF INTANGIBLE ASSETS REPRESENTED IN THE ENTERPRISE

Marine Buziashvili, Specialist under contract

RESUME

In the work ,,Accounting issues of intangible assets represented in the enterprise", there are discussed all basic questions, those are connected with above mentioned subject. There are also described intangible assets existing inside the enterprise, which is according to the changes marked in the standard bass 38.

I consider that investigation according to this issue will make a positive affect on developing a high standard of accounting, that will be able to improve some issues connected with it.

Reforms are already begun in Georgia and standards are also introduced to show that international standards of accounting regulate register rules of separate units. Their aim is to find specific norms of financial reports. Enterprise, that does accounting and financial reportings according to the international standards of accountment. Is bound to develop a summary of significant accounting politics and benefit from its regulations.

ინოვაციური პროექტი: ბიზნეს-ინკუბატორი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის

ნინო ლიპარტელიანი, სრული პროფესორი

ბიზნეს-ინკუბატორები 21–ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში კერძო ბიზნესის ხელშემწყობ უმთავრეს მექანიზმად იქცა. ინკუბაციის კულტურა მსოფლიოში დღითიდღე ვითარდება. „ბიზნეს-ინკუბატორების ეროვნული ასოციაციის (NBIA)“ 2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით, მსოფლიოში 7000–მდე მოქმედი ინკუბატორია, რომელთაც ათი ათასობით დამწყებ ბიზნესს მისცეს განვითარებისა და ზრდის საშუალება.

ბიზნეს-ინკუბაცია სათავეს XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იღებს, როდესაც ინდუსტრიული სამყარო ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდიდა. 1959 წელს, მძიმე დანადგარების მწარმოებელმა კომპანია „ბატავიამ“ (ნიუ-იორკი) კრახი განიცადა. საზოგადოების ვარაუდით ამ ფაქტს მთელი ქალაქის ეკონომიკისთვის ძლიერი დარტყმა უნდა მიეყენებინა. თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტი მთელი ამერიკის მომავალი ეკონომიკის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე მთავარი ზეგავლენის მქონე ფაქტორი გახდებოდა. „ბატავიას“ აღარაფერი დარჩენოდა, გარდა 850,000 კვადრატული ფუტის ფართობის შეუხედავი შენობა. ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ჯო მანუკუზომ გადაწყვიტა, შეეძინა ის, რაც ამ დიდი კომპანიისაგან დარჩა. იგი იმედოვნებდა, რომ ამ ადგილს გადააქცევდა ახალი ბიზნესებისა და სამუშაო ადგილების დაბადებისა და განვითარების ადგილად. მან საოფისე ფართის იაფად გაქირავებითა და საერთო სამუშაო გარემოს შექმნით შექმნა სისტემა, რომელიც სამომავლოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარ მექანიზმად იქცა. დღეისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში 1250–მდე მოქმედი ბიზნეს-ინკუბატორია, რომელთაც 27000–მდე დამწყები ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ, იმ სტარტაპებმა, რომლებმაც ინკუბაციის პროგრამა გაიარა, შექმნა 200,000–მდე სამუშაო ადგილი და 17 მილიარდამდე შემოსავალი ქვეყნის ეკონომიკაში.

ბიზნეს-ინკუბატორი, ეს არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური და კრეატიული იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა სახის შეღავათიან პირობებში გაიარონ საკუთარი ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. ბიზნეს-ინკუბატორი შესაძლოა საკუთარ კლიენტს სთავაზობდეს ისეთ სერვისებს, როგორებიცაა:

- იაფი საოფისე ფართი და წვდომა ინტერნეტთან;
- ბიზნეს-ტრენინგები;
- პროფესიონალური მენტორობა და კონსულტაციები ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: მარკეტინგი, ბუღალტერია და ფინანსების მართვა, სამუშაო გუნდის მშენებლობა და ა.შ.;
- კავშირი სტრატეგიულ პარტნიორებთან;
- წვდომა საბანკო სესხებთან, ასევე პირდაპირი ურთიერთობა ინვესტორებთან.

ბიზნეს-ინკუბაცია ბიზნესის მხარდაჭერის პროცესია. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ბიზნესკომპანიების სწრაფ განვითარებას, ბაზარზე ადგილის დამკვიდრებასა და გაყიდვების ზრდას. კლიენტებისათვის სერვისების შეთავაზების მეთოდები, ორგანიზაციული სტრუქტურა და სამიზნე კლიენტთა კატეგორიები, ინკუბატორების მიხედვით, ერთმანეთისგან განსხვავდება. განსხვავებულია მიზნებიც, მათ შორის, სოფლის მეურნეობის დივერსიფიცირება, საფინანსო-სამრეწველო რეგიონებში დასაქმების ზრდა, ტექნოლოგიური განვითარება. ბიზნეს-ინკუბატორი საქართველოში, მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პროექტით, 2002 წელს შეიქმნა. პროექტის ხელმძღვანელის ვაჟა გოგინაშვილის განცხადებით, ინკუბატორი სამ კომპანიას ეხმარება. სამივე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მუშაობს, ძირითადად, ვების, სოფთვეარ დეველოპმენტისა და ციფრული მარკეტინგის მიმართულებით. ბიზნესის წახალისებისა და ხელშეწყობისათვის შექმნილი ინკუბატორები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს. ამერიკა ამ ინდუსტრიის პიონერი ქვეყანაა. ინკუბატორის კლიენტებმა 1980 წლიდან ნახევარი მილიონი სამუშაო ადგილი შექმნეს. დასავლეთ ევროპაში დღეისათვის დაახლოებით 900 ინკუბატორია. ბიზნეს-ინკუბატორები ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება ევროგაერთიანების დიდ ქვეყნებში, როგორიცაა: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია. ყველაზე მეტი - 300 ინკუბატორი - გერმანიაშია. აღმოსავლეთ ევროპაში ბიზნეს-ინკუბატორებმა 90-იანი წლებიდან მოიკიდეს ფეხი. პოლონეთი, ლატვია, ესტონეთი, ხორვატია, ბულგარეთი - ეს ის ქვეყნებია, სადაც ბიზნესინკუბატორები 90-იანების დასაწყისში შეიქმნა. ლიტვაში ბიზნესინკუბატორთა ქსელის განვითარება შედარებით გვიან დაიწყო - პირველი ინკუბატორი 1998 წელს დაარსდა. აღმოსავლეთევროპული მოდელის ინკუბატორები ძირითადად ტექნოლოგიური და შერეული ტიპის სპეციფიკისაა. დსთ-ს ქვეყნებში ბიზნეს-ინკუბაციის პირველი მოდელი უზბეკეთში შეიქმნა. დსთ-ში ძირითადად ტექნოლოგიური, შერეული და სპეციფიკურ ჯგუფებზე გათვლილი ინკუბატორები არსებობს. ქვეყნების უმრავლესობაში ინკუბატორთა მიზანია ინოვაციების განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა. ბიზნესინკუბაციის კუთხით, აზიაში ყველაზე განვითარებულია ჩინეთი, სადაც UNDP - ის მიერ 1987 წელს პირველი პროექტი განხორციელდა. პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა და დღეს ჩინეთში 127 ინკუბატორი მოქმედებს. ჩინური ინკუბატორები, რომლებსაც 10.000 კვ.მ-ზე მეტი ფართობი უჭირავთ, მომხმარებლებს ძირითადად საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზებით მომსახურებას სთავაზობენ. აზიაში ამ კუთხით ყველაზე ნაკლებგანვითარებული ინდოეთია, თუმცა ბიზნესინკუბატორთა დაფუძნების პროცესი უკვე მიმდინარეობს ნიუ დელიში (ინდოეთის ტექნოლოგიური ინსტიტუტი), მუმბაიში, სამხრეთით მდებარე ბიოტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, ჰაიდერაბადსა და სხვა ადგილებში.

ბიზნეს-ინკუბატორის ფუნქციებიდან გამომდინარე სავსებით შესაძლებელია მისი არსებობა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და კონკრეტულად გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სადაც ამ პროფილის ადამიანური რესურსი ნამდვილად არსებობს. მითუმეტეს, რომ ამის გამოცდილება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში უკვე არსებობს - 2012 წელს კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელდა პროექტი "Strategic Planning for the Europe and Central Asia (ECA) Integrity Innovation Network (IIN)", რომლის მიზანი იყო:

- ევროპისა და ცენტრალური აზიის უმაღლესი სასწავლებლების კვლევითი საქმიანობის დაკავშირებას რეალურ საბაზრო მოთხოვნებთან;
- კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვა. პროექტში მონაწილეობდა 16 უნივერსიტეტი, კვლევითი ინსტიტუტი.
- ქართველი ექსპერტების სწავლება ტალინის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ინოვაციური ტექნოლოგიების კომერციალიზაციისა და ბიზნეს-ინკუბატორის დაარსების მიზნით - პროექტი ითვალისწინებდა ტალინის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის, ტალინის ტექნოპოლის, ტარტუს უნივერსიტეტის და ტარტუს სამეცნიერო პარკის გამოცდილების გაზიარებას საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების მიზნით.

ამჟამად, უნივერსიტეტს შეტანილი აქვს განაცხადი და ელოდება საბოლოო შედეგს პროექტისათვის: „საქართველოს რეგიონებში ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის შესაქმნელად“. პროექტის მიზნებია:

- ტექნოლოგიური ბიზნეს-ინკუბატორის დაგეგმვა და ამოქმედება 2011-2014 წლებში;
- მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის ჩამოყალიბება;
- უნივერსიტეტებსა და საწარმოებს (ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოები) შორის კავშირის დამყარება, კვლევითი პროდუქციით მათი დაინტერესება.

პროექტში მონაწილეობენ:

- კავკასიის უნივერსიტეტი;
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
- წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

საქართველოში წარმატებით მოქმედ ბიზნეს-ინკუბატორთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ და მაგალითად ავიღოთ ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორი, რომელიც 2009 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს. დღემდე მისი მომსახურების სრული პაკეტით 20-მა კომპანიამ ისარგებლა. 75-მა ბიზნეს-კომპანიამ ტრენინგი გაიარა და მიიღო კონსულტაცია ბიზნესის განვითარების საკითხებში. ბიზნეს-კომპანიების მუდმივ და მოკლევადიან სამუშაო ადგილებზე 200-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი ახალდამწყებ და განვითარებად ბიზნესს სთავაზობს შემდეგი სახის რესურსებსა და მომსახურებას, კერძოდ კონსულტაციებს შემდეგი მიმართულებებით:

- ეკონომიკა და ფინანსები;
- მარკეტინგი;
- ბუღალტერია;
- იურიდიული საკითხები;
- და სხვა...

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, ფინეთის და აჭარის ა/რ მთავრობების ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს უფასო ტრენინგები თემაზე:

- საერთაშორისო ვაჭრობა - ექსპორტ/იმპორტი. მსმენელებზე გაიცემა სერტიფიკატი და ექსპორტ-იმპორტის გზამკვლევი.
  ტრენინგის ხანგრძლივობაა 5 სამუშაო ტრენინგი მიმდინარეობს ყოველთვიურად;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მსმენელებზე გაიცემა სერტიფიკატი. ტრენინგის ხანგრძლივობაა 5 სამუშაო დღე. ტრენინგი მიმდინარეობს ყოველთვიურად;
- სემინარები თემაზე: მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი, დღგ და სხვა გადასახადები. მსმენელებზე გაიცემა სერტიფიკატი.
  ტრენინგის ხანგრძლივობაა 3 სამუშაო დღე. ტრენინგი მიმდინარეობს ყოველთვიურად.

დასკვნის სახით ვთვლით, რომ ბიზნეს-ინკუბატორი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის იქნება მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტი, ეს იქნება სივრცე, სადაც დასაქმდება უნივერსიტეტის წარმატებული აკადემიური პერსონალი და მაგისტრანტები, პრაქტიკას გაივლიან ბაკალავრები, ეს დამატებით შემოსავლებს მოუტანს სასწავლებელს. ამ იდეის განხორციელებისათვისაც აუცილებელი იქნება მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების და ფონდების მხარდაჭერა, როგორებიცაა გაეროს განვითარების პროგრამა, ბიზნეს ინკუბატორების ეროვნული ასოციაცია (NBIA), ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო პროგრამები, „ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში“ (IncoNetCA/SC), ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი და ა.შ.

ლიტერატურა:

1. თოლორდავა ჟ., ბიზნესინკუბატორების არსი, სახეები და საქმიანობის სპეციფიკა, თბ., 2009.
2. ვეშაპიძე შ., გრიშიკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზიშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008.
3. არველაძე ნ., ჯგერენაია ე., მსოფლიო ეკონომიკურ ჩიხში, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, თბ., 2006.
4. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., ჯანელიძე ნ., საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო მეურნეობის ლიდერები, თბ., 2000.
5. ვეშაპიძე შ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემები მსოფლიო ბაზარზე გასვლის საკითხი, თბ., 2000.

6. მთავრობის კონტროლის ამერიკული ბიუროს მოხსენება - გრძელვადიანი დამაფიქრებელი სიმულიაციები, ავტორთა კოლექტივი დევიდ უალკნერის ხელმძღვანელობით, 2008.

ინტერნეტრესურსები:
http://www.incubatr.com
http://www.nbia.com
http://www.entrepreneur.com

რეზიუმე

ბიზნეს-ინკუბატორის ფუნქციებიდან გამომდინარე სავსებით შესაძლებელია მისი არსებობა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და, კონკრეტულად, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სადაც ამ პროფილის ადამიანური რესურსი ნამდვილად არსებობს. რომ ბიზნეს-ინკუბატორი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის იქნება მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტი, ეს იქნება სივრცე, სადაც დასაქმდებიან უნივერსიტეტის წარმატებული აკადემიური პერსონალი და მაგისტრანტები, პრაქტიკას გაივლიან ბაკალავრები და რაც დამატებით შემოსავლებს მოუტანს სასწავლებელს.

INNOVATIVE PROJECT: BUSINESS INCUBATOR FOR GORI STATE TEACHING UNIVERSITY

Nino Liparteliani, Full Professor

RESUME

Based on functions of business incubator its existence is quite possible in higher educational institution and precisely in Gori State Teaching University where in this field there are enough human resources. Business incubator for Gori State Teaching University will be the most important innovative project. It will be the space employed by the most successful staff and master students of the university. Undergraduate students will pass their professional practice and it will be an additional income for the university.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები

ლალი სადაღაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ინვესტიციების ორგანიზაცია და დაფინანსება. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ვინაიდან საქართველოში აკუმულირებული სახსრები ჯერ კიდევ მცირეა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინს „ინვესტიციები“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ეკონომისტების ნაწილი ინვესტიციებს განმარტავენ შემდეგნაირად: ინვესტიციები ნიშნავს აქციების ან ობლიგაციების შეძენას რაიმე განსაზღვრული ფინანსური შედეგების მიღების მიზნით, აგრეთვე რეალურ აქტივებს, მაგალითად, საჭირო მანქანებს რაიმე საქონლის წარმოებისა და გაყიდვისათვის. ფართო გაგებით, ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის დაფინანსებისათვის აუცილებელი პირობაა.

საქართველოს კანონში „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, ინვესტიციად ითვლება ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა, რომელიც დაბანდებულია სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში, მოგების მიზნით. ასეთ ფასეულობებს მიეკუთვნება: ფულადი სახსრები, ბანკის მიზნობრივი შენატანები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, მოძრავი და უძრავი ქონება - შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობები, მანქანები, ტექნოლოგიები,

პატენტები და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლებები და სხვა. საქართველოში მოქმედი საინვესტიციო კანონი ითვალისწინებს, როგორც აკრძალვებსა და შეზღუდვებს ინვესტიციის განხორციელების სფეროში, ასევე ინვესტიციების დაცვის გარანტიებს. ინვესტიციების ჩამორთმევა გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. კომპენსაცია, რომელიც ინვესტიციის ჩამორთმევისას მიეცემა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის საბაზრო ღირებულებას, უშუალოდ იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. კომპენსაცია ყოველგვარი შეფასების გარეშე უნდა გაიცეს და უნდა მოიცავდეს იმ ზარალს, რომელიც ინვესტორმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე. აღნიშნული მიდგომა საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც დადებითად მოქმედებს მასზე.

აღსანიშნავია, რომ ახალი საკანონმდებლო აქტი, რამდენადმე ასრულებს ამ კანონით დადგენილ ინვესტიციის პირობებს, არ ვრცელდება უკვე განხორციელებულ ინვესტიციებზე მისი ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში ინვესტორი თავის საქმიანობას ახალი საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორებს შორის უნდა გამოიყენოს დავათა გადაჭრის წესი. დავა უცხოურ ინვესტორსა და სახელმწიფო ორგანოს შორის, თუ მისი გადაწყვეტის წესი არ არის განსაზღვრული შეთანხმებით, წყდება საქართველოს სასამართლოში ან საინვესტიციო დავის საერთაშორისო ცენტრში. დავათა გადაჭრის საკითხი საქართველოს სასამართლოში იწვევს ინვესტორების რწმენის დაკარგვას, რაც უარყოფით ფაქტორად მოქმედებს ინვესტორების გარემოზე.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის არასასურველი კლიმატის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია:

- პოლიტიკური დაძაბულობა და არც თუ იშვიათად აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ბიზნესის მიუღებელი მეთოდებით ლობირება, რაც საფუძველს აცლის ჯანსაღ კონკურენციას, როგორც ზოგადად, ისე ინვესტორთა შორის.
- ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ეთნოკონფლიქტები, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რეგიონში საქართველოს იურისდიქციის გაუვრცელებლობა, სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებული სირთულეები, რაც უხსნის გზას კონტრაბანდას და აბრკოლებს როგორც სამამულო, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის რისკფაქტორთა ზრდას.
- დემოკრატიის აღმშენებლობის და დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების მოშლა, ცხადია, მკვეთრად ამცირებს უცხოურ ინვესტიციებზე მოთხოვნას და სერიოზულად აბრკოლებს მათ მოზიდვას.

საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული უცხოური ინვესტიციების და დაზღვევის მყარი სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას და საზღვარგარეთიდან დიდი მოცულობით ინვესტიციების შემოდინებას. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორები: ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის უაღრესად ფართო მასშტაბები, ე.წ. კლანების მიერ გავლენის სფეროების გადანაწილება, გაბატონება ბიზნესის ამა თუ იმ სფეროში და პოტენციური კონკურენტებისათვის „თამაშის წესების“ უხეში დარღვევით გადაუდებელი ბარიერების აღმართვა განსაკუთრებით უშლის ხელს, ერთი მხრივ, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, მეორე მხრივ კი, მსხვილ საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვას. დღეისათვის ბიზნესში საინვესტიციო გარემოზე მოქმედი უარყოფითი ფაქტორებიდან უცხოური კაპიტალის მოზიდვის თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ:

- უცხოური ინვესტორების საქმიანობის რეგულირება გაძნელებულია სტაბილური სამართლებრივი ბაზის უქონლობით.
- ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება იწვევს სოციალური დაძაბულობის ზრდას;
- ინფრასტრუქტურის განვითარების არასათანადო დონე: ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სისტემის, სასტუმრო მომსახურების, გზების და ა. შ.
- მაღალი საერთო პოლიტიკური არამდგრადობა, კერძოდ კანონმდებლობის და სასამართლო სისტემის არასტაბილურობა;
- ერთიანი სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის უქონლობა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.

ამასთან, ჩამოთვლილი სირთულეების მიხედვით, ჩვენი ქვეყანა დიდ პოტენციალს ფლობს, რითაც შეიძლება დავაინტერესოთ უცხოური ინვესტორები და ხელი შეუწყოთ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და მათზე მოქმედ ფაქტორთა სრულყოფას, კერძოდ:

- მდიდარი და შედარებით იაფი საკურორტო და ტურისტული რესურსები;
- დიდი და აუთვისებელი ბაზარი;
- მინერალური და სამკურნალო წყლების უმდიდრესი მარაგი;
- შედარებით იაფი კვალიფიციური მუშა ძალა;
- საკმაოდ მაღალი საბაზრო განათლების კადრები, რომლებსაც წარმატებით და სწრაფად შეუძლიათ აითვისონ წარმოების ახალი ტექნოლოგიები;
- მაღალი მოგების სწრაფად მიღების შესაძლებლობები.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს, რადგან იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად. ასეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებია, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და მთლიანი შიდა პროდუქტი გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც ნათლად ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. საინვესტიციო გარემოს განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა. კერძოდ ტემპი, სავალუტო კურსის მდგომარეობა, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა და სხვა.

საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად მოქმედებს ერთ-ერთი ისეთი ფაქტორი როგორიცაა: ვალუტის კურსის მექანიკური შენარჩუნების მცდელობა ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ინვესტიციების საშუალებით. თუკი უცხოელ ინვესტორებს გაუჩნდათ სულ მცირე ეჭვი მაინც, რომ ქვეყანა დიდხანს ვერ შეძლებს ვალუტის კურსის შენარჩუნებას და მოხდება მისი დაცემა, მაშინ იგი უარს გამოაცხადებს ამ ქვეყანაში კაპიტალის ჩადებაზე.

ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე მოქმედ მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობა, საბანკო სისტემის განვითარების დონე და შესაბამისად საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ
2. ქოქიაური ლ., ინვესტიციების საფუძვლები, თბ., 2007.
3. ქოქიაური ლ., ინვესტიციების თეორიული ბენეფისი, თბ., 2007.

რეზიუმე

ნაშრომში „საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები“ განხილულია ქვეყანაში მოქმედი ყველა ძირითადი ფაქტორი მოქმედი საინვესტიციო გარემოზე. ანალიზი გაუკეთდა თითოეულ დადებითად და უარყოფითად მოქმედ საინვესტიციო გარემოს მოქმედ ფაქტორებს. გამოყოფილია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საქართველოში უცხოური ინვესტორების მოზიდვისათვის არასასურველი კლიმატის განმაპირობებელი ფაქტორები, რომელიც გადმოცემულია სამ ძირითად პუნქტად. ნაშრომში განხილულია „საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და განმარტებების შესახებ“, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები საინვესტიციო გარემოს სრულყოფისათვის. კანონის უარყოფითი ფაქტორების ანალიზი საშუალებას იძლევა დასახული იყოს გზები მის აღმოფხვრისათვის, რაც დადებითად იმოქმედებს ინვესტიციების მოზიდვის გარემოების სრულყოფაზე. ინვესტიციების მოზიდვა კი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების მნიშვნელოვანი საკითხია. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა იწვევს ქვეყანაში სიმდიდრის მოპოვებას. დასახასიათებელია ის უარყოფითი ფაქტორები, რაც ჩვენი ქვეყნის ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს ინვესტიციების მოზიდვის საქმეში. ნაშრომში მოცემული საინვესტიციო გაუმჯობესებაზე მოქმედი ფაქტორების სრულყოფისათვის შემოთავაზებული გარემო ფაქტორები, ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში და ისეთი უარყოფითი ფაქტორების სრულყოფას, როგორიცაა: ვალუტის კურსის მექანიკური შენარჩუნების მცდელობა, ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ინვესტიციების საშუალებით. აღნიშნულია ქვეყანაში საინვესტიციო გარემოზე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის და საბანკო სისტემის განვითარებისა და მისი გამოყენების კრედიტის ხელმისაწვდომობა, რაც სრულყოფს საინვესტიციო გარემოს.

THE FACTORS ON INVESTING ENVIRONMENT

Lali Sadaghashvili, Associate Professor

RESUME

All main factors on investing environment on the country are discussed in the work ,,The factors on investing environment". The analysis of the positive and negative factors on investing environment was done. Such factors that conditions ineligible climate for foreign investors in Georgia are given with three main points. Georgian law about the auspices and explanation of investing activities, its advantages and disadvantages for the improvement of investing environment are discussed in the work. The analysis of the negative factors of the law gives the possibility to find the means of its improvement which will have the positive influence on investing environment. The investments have the significant role for the economical development of the country. its economical growth causes the improvement of the country. Those negative factors hampering the business development of the country in terms of investments are defined. The factors operating on the improvement of the investing environment which are given in the work will promote the further investments in the country and the improvement of such negative factors as: the attempts to vindicate the currency course with the help of the investments by the national bank in the monetary market. Revenue legislation of the country, the improvement of banking system and the availability of the credits contributing the improvement of the investing environment are also mentioned in the work.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით

ხალიანა ჩიტაძე, აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ აუცილებელი გახადა ყველა საქმიანი ორგანიზაციების მართვა განხორციელებულიყო ზუსტი ბუღალტრული და ფინანსური პროცედურების დაცვით. ყოველივე ამას ხელი შეუწყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ და დამკვიდრებამ საქართველოში. აღრიცხვა გამოიყენება, როგორც ინფორმაციული სისტემა, სადაც ხდება ბიზნესის მონაცემთა დამუშავება. საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს საწარმოს საქმიანობისა და მისი ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, განზოგადების და წარდგენის საშუალებას. იგი საშუალებას იძლევა შეფასდეს წარსული განვითარების შედეგები, დღევანდელი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები. დღეს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება და შესწავლა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით გახდა შესაძლებელი, თუმცა საინტერესოა ნაშრომში შევეხოთ და გავიხსენოთ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოშობის ისტორია.

სამეურნეო აღრიცხვა და ორადი ბუღალტერიის წარმოშობა, აღრიცხვის სათავე ჩვენთვის უცნობია. თუმცა, ისიც ცხადია, რომ აღრიცხვა უცბად არ წარმოშობილა და მისი წარმოშობა-ჩასახვა შორეულ წარსულს ეკუთვნის, როდესაც ადამიანებმა არც წერა და არც თვლა იცოდნენ და არც საწერი მოწყობილობა ჰქონდათ, იყო დრო, როცა ყველაფერი მეურნეობის შესახებ ადამიანის გონებაში ეტეოდა, არა იმიტომ, რომ ადამიანს კარგი მეხსიერება ჰქონდა, არამედ თვით მეურნეობა იყო პატარა, შესაბამისად ინფორმაციაც მის შესახებ არ იყო დიდი.

ბუღალტრული აღრიცხვა სამეურნეო აღრიცხვის სახეებს შორის ერთ-ერთია. მან განვითარების გარკვეული საფეხურები განვლო, რომლებსაც ძირითადად ოთხ ეტაპად ყოფენ:

- პირველ ეტაპს წარმოადგენდა აღრიცხვა მეხსიერებაში;
- მეორე ეტაპზე აღრიცხვა პირობითი ნიშნების გამოყენებით ხდებოდა;
- მესამე ეტაპზე აღრიცხვამ დამწერლობითი ხასიათი მიიღო და მას თვითონ მეურნე, მწარმოებელი ახდენდა;
- მეოთხე ეტაპზე ჩამოყალიბდა სპეციალური აღმრიცხველი ჯგუფი, რომელთა დაქირავებაც აღრიცხვის მიზნით ხდებოდა.

სააღრიცხვო კულტურის დამოუკიდებელ ცენტრებად ეგვიპტეს, ბაბილონს, ჩინეთს, ინდოეთს, არაბეთს, ირანს, ძველ საბერძნეთს და რომს თვლიან.

აღრიცხვის განვითარება თავის მხრივ ხელს უწყოდა ცივილიზაციის სტიმულირებას. ჩვენამდე მოაღწია უძველესმა ჩანაწერებმა თიხის ბარათებით და რბილი და ტენიანი თიხისაგან, ფირფიტების ან როგორც მას ეძახიან ტაბლეტების მსგავსად, რომელზეც ჩანაწერებს ლურსმნული დამწერლობით ახდენდნენ. ცოტა მოგვიანებით უკვე გამოიყენებოდა პაპირუსის ქაღალდები.

ბუღალტრული აღრიცხვის ისტორიას და მისი წარმოშობის წესს საქართველოში ბევრი საკუთარი ნიშან-თვისება აქვს, რაც, სამწუხაროდ, დღემდე ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. მიუხედავად ამისა, ისტორიულ წყაროებში მაინც დაცულია ზოგიერთი ცნობა საქართველოში აღრიცხვის განვითარებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მისი ადგილის შესახებ.

აკადემიკოსი ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ: „საქართველოში ადამიანი რიცხვების წერას უფრო ადრე შეუდგა, ვიდრე სიტყვებისაო.“

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც საქართველო დამოუკიდებლობის გზას დაადგა და ქვეყანაში ადმინისტრაციულ-ბრძანებლური ეკონომიკის ნაცვლად საფუძველი ჩაეყარა კერძო საკუთრებაზე ორიენტირებულ საბაზრო ურთიერთობებს, დღის წესრიგში დადგა ძველი ეკონომიკური სტრუქტურის დემონტაჟი და ახალ რეალობასთან მისადაგება. ამან განაპირობა სახელმწიფო საკუთრებაზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი სისტემის რღვევა და მის ნაცვლად საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული აღრიცხვის ახალი სისტემის ფორმირების პროცესის დაწყება.

დასახული ამოცანის პრაქტიკულ რეალიზაციას ხელი შეუწყო საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ (ბაფ), რომელიც 1998 წლის აპრილში შეიქმნა საქართველოს ბუღალტერთა კლუბისა და საქართველოს ბუღალტერთა ასოციაციის შერწყმის შედეგად.

საქართველოში ითარგმნა ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს-ი) და შემუშავებულ იქნა ახალი ანგარიშთა გეგმა. მან დაამკვიდრა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პრაქტიკა საქართველოში, ასევე დამკვიდრდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებული ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA) პროგრამა. მათი შესწავლა და გამოყენება შესაძლებელია ინფორმაციული პროგრამების საშუალებით.

კომპიუტერული სისტემების განვითარებამ საინტერესო მიმართულებები შეიძინა. 2005–2006 წლამდე ძირითადად ყურადღება გამახვილებული იყო კომპიუტერულ პროგრამებზე, რომლებიც მომხმარებლებს დისკების სახით მიეწოდებოდა. დღესდღეობით ნელ–ნელა ინერგება და არენაზე გამოდის ინტერნეტზე დაფუძნებული პროგრამული სისიტემები,რაც გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერი წერტილიდან და მოწყობილობიდან იქონიოს კავშირი სისტემასთან და შეასრულოს სასურველი ოპერაციები.

ჩვენს ქვეყანაში საბუღალტრო პროგრამების მრავალწლიანი სწავლის გამოცდილება დაგროვდა. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული პროგრამების რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის: „ორის ბუღალტერია“, „ინფო“, „სუპერ-ფინ“, „ფინა“ და სხვა. ვფიქრობთ, აღნიშნული პროგრამების პოპულარობა განაპირობა როგორც მათმა უნარმა, შედარებით გაამარტივონ ფინანსურ აღრიცხვასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრა, თუმცა მომხმარებელს რეალურად უფრო დახვეწილი პროგრამები სჭირდება.

„ორის ბუღალტერია“ (ORIS), რომელიც საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი ბუღალტრული პროგრამაა და დაახლოებით 56% აწარმოებს მისი მეშვეობით ბუღალტრულ აღრიცხვას. პროგრამა „ორისი“ იმ მომხმარებელთათვის, რომლებსაც გააჩნიათ ბუღალტრული განათლება და სურვილი აქვთ შეისწავლონ საბუღალტრო პროგრამები. პროგრამის სადემონსტრაციო ვერსია განთავსებულია კომპანია „ორისის“ ვებ გვერდზე (მისამართი: www.oris.ge) პროგრამა შეუძლია გადმოწეროს ყველა მომხმარებელს და დააყენოს თავის კომპიუტერზე.

შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობს საქართველოში შემდეგი ბუღალტრული პროგრამები ,,სუპერ-ფინი'' (SUPER-FIN), რომელიც განკუთვნილია სხვა და სხვა პროფილისა და საკუთრების ფორმის საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის, ბუღალტერიის ავტორიზაციისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ბუღალტერიის წინაშე მდგარი სტანდარტული ამოცანების გადაწყვეტას: საბუთბრუნვის ავტომატიზაციას მემორიალების, ბრუნვითი უწყისებისა და პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შექმნის სახით. ამასთან ავტომატურად ხდება ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, სასაწყობო მეურნეობის სრული აღრიცხვა.

„ფინა“ (FINA) ბუღალტრული პროგრამა, რომელიც ძირითადად კავშირშია მაღაზია-საწყობის მოდულთან და მასთან ერთად წარმოადგენს ერთიან სისტემებს. ყველა ის სავაჭრო ოპერაცია, შესყიდვები, გაყიდვები, დაბრუნებები, გადატანები და სხვა, რომლებსაც ასრულებს ოპერატორი მაღაზია-

საწყობის მოდულში ავტომატურად აისახება ბუღალტერიაში, რაც საგრძნობლად ამარტივებს ბუღალტრული აღრიცხვის ოპერაციებს და გამორიცხავს შეცდომებს. მას ასევე გააჩნია სხვა ბუღალტრული ოპერაციების მარტივი და მრავალფეროვანი ფუნქციონალობა, როგორიცაა, მაგალითად, ხელფასების დარიცხვა და გაცემა, ფულადი ოპერაციები ბანკსა და სალაროს შორის, კონვერტაცია, ძირითადი საშუალებების მართვა, ანგარიშვალდებული პირის ოპერაციები, მომსახურების მიღება და გაწევა, და ა.შ.

„ინფო"(INFO), კიდევ ერთი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც 1998 წლის იანვარში გაიყიდა პირველად საქართველოში. პირველივე წელს მისი ასზე მეტი პროგრამა გაიყიდა, ამჟამად კი რამდენიმე ათასი მომხმარებელი ჰყავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. მათ შორის არიან ისეთი ცნობილი საწარმოები, როგორიცაა: სს „ენგურჰესი", სს „ყაზბეგი", სს „ბაგრატიონი-1882", შპს „ნიკორა", შპს „სანტე", შპს „რუსთავი-2", შპს „ახალი ნათება" და სხვა.

ბოლო დროს შედარებით შეძლებული კომპანიები, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები საკუთარ სისტემაში ნერგავენ ისეთ მძლავრ პროგრამულ გადაწყვეტილებებს, როგორებიც არიან *1C, Microsoft Dynamics-ი, SAP-ი, Exact-ი* და სხვა. აღნიშნული სისტემები საუკეთესოდ ითვლებიან არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში, მაგრამ ისინი რეალურად გათვლილნი არიან საშუალო და მსხვილ ბიზნესზე. თითოეული მათგანის არც თუ სრული ვერსიის დანერგვა ხშირად რამოდენიმე ათასი და ათეულ ათასი ლარი ჯდება. შესაბამისად დაუკმაყოფილებელი რჩება მცირე და საშუალო ბიზნესის, სახელმწიფო სექტორის მზარდი მოთხოვნა მარტივ, ეფექტურ და იაფ ფინანსური აღრიცხვის პროგრამაზე.

შევადაროთ ხელით მუშაობის სააღრიცხვო სისტემა აღრიცხვის კომპიუტერიზებულ სისტემებს: ხელით აღრიცხვის ტიპიური სისტემა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: პირველადი გატარების ცალკეული წიგნები, მთავარი წიგნი და დამატებითი ბუღალტრული ანგარიშები. კომპიუტერიზებული სისტემა მუშაობს იმავე პრინციპით, როგორც ხელით აღრიცხვის სისტემა, იმ განსხვავებით, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული ჩანაწერი ქაღალდების ნაცვლად შენახული იქნება ერთ ადგილზე, კომპიუტერის მყარ დისკზე.

ხელით აღრიცხვისა და კომპიუტერიზებული აღრიცხვის სისტემების შედარებისას, აღსანიშნავია თანამედროვე ბიზნეს გარემოში კომპიუტერების გამოყენების შემდეგი უპირატესობანი: სისწრაფე - იგი ბევრად უფრო სწრაფია, ვიდრე ოფისის მოხელე ან გამომთვლელი მანქანა. ასრულებს დიდი მოცულობის სამუშაოს მცირე დროში და გვაძლევს საჭირო შედეგს.

შენახული პროგრამები - პროგრამების დაწერისა და მათი ტესტირების შემდეგ კომპიუტერს შეუძლია დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება მინიმალური დანახარჯებით.

გადაწყვეტილებების მიღება - მისი დაპროგრამება შესაძლებელია ისე, რომ წარმართოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. კომპიუტერს შეუძლია ბევრად მაღალ დონეზე გაუმკლავდეს ძალზე კომპლექსურ სამუშაოს, ვიდრე ამას შეძლებდა ნებისმიერი მანქანა ან მენეჯერი.

ფაილების შენახვა და დამუშავება - დიდი მოცულობის მონაცემების ფაილები შეიძლება შენახულ იქნეს კომპიუტერის მეხსიერებაში, რომელთა დათვალიერება და საჭირო ინფორმაციის მიღება ძალიან სწრაფად შეიძლება.

სიზუსტე და საიმედობა - კომპიუტერი ძალიან ზუსტი და საიმედოა, მისი პროგრამები ხარვეზებს არ შეიცავს.

ზემოაღნიშნულ უამრავ დადებითთან ერთად უნდა აღინიშნოს ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც ბუღალტრულ კომპიუტერულ პროგრამებს ახასიათებთ. მათი აღნიშვნა აუცილებელია, რამდენადაც არ არსებობს სრულყოფილება და არც კომპიუტერული პროგრამებია გამონაკლისი.

კომპიუტერის ძირითადი ნაკლოვანებებია:

ინტელექტის ნაკლებობა - კომპიუტერი არის მანქანა და არ შეუძლია აღიქვას მის პროგრამაში დაშვებული შეცდომები, არასრული მონაცემები ან არაკორექტულობა. ამიტომ კომპიუტერული პროგრამების შექმნის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ეს საფრთხეები და ტესტირება გაუკეთდეს ყოველ ბრძანებას (ინსტრუქციას). ამის გამო პროგრამის შექმნას დასჭირდება დიდი დრო და მნიშვნელოვანი დანახარჯები.

საწყისი დანახარჯები - კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, სწავლება და ა.შ. დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან. ხშირ შემთხვევაში, დანახარჯები პროგრამებზე უფრო მაღალია, ვიდრე კომპიუტერულ ტექნიკაზე.

მოუქნელობა - კომპიუტერებსა და პროგრამებს განუწყვეტლივ ესაჭიროებათ ყურადღება, როგორც შექმნის პროცესში ასევე შემდგომ ექსპლუატაციაში. სისტემების შექმნას უფრო მეტი დრო და ფინანსები ესაჭიროება, ვიდრე ეს ხელით აღრიცხვის სისტემის შემთხვევაშია შესაძლებელი.

საფრთხეები - როდესაც ბევრი სამუშაო სრულდება კომპანიაში კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, ჩნდება მათზე დამოკიდებულება. კომპიუტერის დაზიანების შემთხვევაში კი პერსონალი დაზარალდება.

ბუღალტერია დღეისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სპეციალობას წარმოადგენს, ვინაიდან ნებისმიერი მოცულობის და ორგანიზაციული ტიპის ეკონომიკური საქმიანობა საბუღალტრო დოკუმენტების გარეშე წარმოუდგენელია. ბუღალტერიას „ბიზნესის ენას“ უწოდებენ, ამიტომ მისი ცოდნა მოეთხოვებათ არა მხოლოდ ბუღალტრებს, არამედ მნიშვნელოვანია ორგანიზაციის დამფუძნებლის, დირექტორის და მენეჯერებისათვის, რათა მათ შეძლონ ფინანსური ანგარიშგების წაკითხვა და გარჩევა. ჩვენი აზრით, საკმაოდ დროული და, შეიძლება ითქვას, აუცილებელიცაა მომხმარებლისათვის შეთავაზებული იქნეს მძლავრი ბუღალტრული სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება უახლოეს ტექნოლოგიებსა და წამყვანი ინფორმაციული სისტემების გამოცდილებაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბუღალტრული აღრიცხვა საბუღალტრო პროგრამების გამოყენებით დღითიდღე ვითარდება და პრესტიჟული ხდება, პრესტიჟის ზრდის შედეგად იზრდება ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი.

ლიტერატურა:

1. ჩიკაშუა ე., დემურაშვილი შ., დავითაშვილი ა., შესავალი კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, ნაწილი I-II, თბ., 2007.
2. ძაძამია რ., ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თბ., 2000.
3. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ბუღალტრული აღრიცხვა – თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, თბ., 2004.
4. ჩიტაძე ხ., თენაძე გ., ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები, გორი, 2009.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.nbg.gov.ge/
2. http://www.mof.ge/
3. http:www.statistiks.ge/
4. http:www.parliament.ge
5. www.pbo.ge
6. www.economists.ge

რეზიუმე

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ აუცილებელი გახადა ყველა საქმიანი ორგანიზაციის მართვა განხორციელებულიყო ზუსტი ბუღალტრული და ფინანსური პროცედურების დაცვით. ყოველივე ამას ხელი შეუწყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ და დამკვიდრებამ საქართველოში. დღეს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება და შესწავლა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით გახდა შესაძლებელი. ჩვენი აზრით, საკმაოდ დროული და შეიძლება ითქვას აუცილებელიცაა მომხმარებლისათვის შეთავაზებული იქნეს მძლავრი ბუღალტრული სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება უახლოეს ტექნოლოგიებსა და წამყვანი ინფორმაციული სისტემების გამოცდილებაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბუღალტრული აღრიცხვა საბუღალტრო პროგრამების გამოყენებით დღითიდღე ვითარდება და პრესტიჟული ხდება, პრესტიჟის ზრდის შედეგად იზრდება ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი.

DEVELOPING OF ACCOUNTANCY BY SUPPORTING OF MODERN INFORMATIONAL TECHNOLOGY SISTEM IN GEORGIA

Khaliana Chitadze, Academic Doctor, Specialist under Contract

RESUME

Nowadays it is possible to improve and use accountancy by the help of modern informational technological system in Georgia. All this helps to estsblish a stong accountant system.

Accountancy is getting better bu accountant programs and becoming usable. The result is that thenumber of employees is increosing every day.

We have discussed financial accounts.The users of the information:the existed and potential investors, the wage-earners, creditors, givers and the other trading creditors, government and their notifications, society. Towards the information and the demands each of them has their necessaries and they are different.

It is unimaginable to gather all financial information in one summons and to give it to users like this form. Also, in the condition of the competition, it is unsuitable to open such kind of information, which only bears the disposition of a manager. That is why, it is premidistates what kind of form and content, and size will be reflected in financial accounts. The financial accounts also shows us the results of governed resources by the industrial manger. The industrial assets, obligations, own capital, income and expenses, winning and losing and sources of moving money are also shown in the accounts.

In order to state the order of the enterprise work , and to happen and to write the financial results and to generalize them in one form of money, it is important to form the exact financial accounts. The marked financial accounts is very importanta to form a long-term financial accounts credit. By the help of this accounts we can define the future financial actions of the company. To prepare and form the financial accounts , is important for all enerprises.

The aim of financial accounts is to help the information users to discuss economic problems in financial conditions. It will be done by the reliable information about the results of work and of financial changes.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი
Social Sciences and Law

ქართულ-ოსური ურთიერთობები XX საუკუნის დამდეგის ცხინვალის რეგიონში

ალექსანდრე მღებრიშვილი, სრული პროფესორი

ძველთაგანვე საქართველოში მოსახლე არაქართულენოვანი მოსახლეობის ბუნება არაერთგვაროვანი გახლდათ. თუკი ბევრ მათგანს საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია, გარკვეული ნაწილი მისი ტერიტორიების მითვისებისა და მიტაცების იდეით სულდგმულობს. „ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც ნებისმიერი ლტოლვილი თავს მასპინძლად გრძნობს. თავის ენაზე ნათლდება, თავის ტაძარში ლოცულობს, თავის თეატრში იღებს სულიერ საზრდოს, როცა მსგავსიც არაფერი შეუქმნია არც თავისუფლების სიმბოლოს – საფრანგეთს და არც ინტერნაციონალიზმის „მედროშეს“ – რუსეთს“ [1].

ოსთა წარმომავლობის საკითხით არაერთხელ დაინტერესებულა XIX საუკუნის ქართული პრესა. ილია ჭავჭავაძის „ივერია“ წერდა: „ბათო რომ თავისის მონგოლებით შეესია ვოლგისა და დონის ნაპირების ქვეყნებს, მაშინ იქა მცხოვრებთა ბინადრობა დიდად შეიშალა. ეს კი ვიცით, რომ მონგოლებმა ააოხრეს მრავალი კეთილ განშვენებულნი ქალაქნი ოსებისა, რომელთ ბინადრობა მაშინ თერგამდე უნდა ყოფილიყო. ისიც ცნობილია, რომ ოსები ვერ იყვნენ კარგად ყირიმის ხანებთან და ამის გამო იძულებულ იქმნენ დაენებებინათ თავი თავისას მინდვრებისათვის, რადგანაც ყირიმის ხანის მოხარკენი ჩერქეზნი მეტად აძალებდნენ. ოსები გამოდევნეს ყაბარდოდამ და დაიმორჩილეს ჩერქეზთა და ამათ მოხარკედ დარჩნენ იმ დრომდე, ვიდრე რუსეთმა ჩერქეზებს ძალა არ ჩამოაცალა. ეს მთის ჩრდილოთ მყოფ ოსებზეა

ნათქვამი. ის ოსნი კი, რომელნიც მთების სამხრეთ ჰსცხოვრებდნენ, საქართველოს მორჩილების ქვეშ იყვნენ. ამას ამტკიცებს ჰაკსტჰაუზენი, რომელიც ამბობს: „რომელს ოსთანაც კი მე შემხვედრია ლაპარაკი, მიცვნია, რომ მათ ძალიან ბუნდათ ახსოვთ პირად გადმოცემული ამბავი თვის შთამომავლობისა, გადმოსახლებისა და ისტორიისა. იგინი ამბობენ, რომ მათი წინაპარნი მთების იქით, ჩრდილოდამ გადმოსულან; რომ წინად მათ უცხოვრიათ იმ ადგილებზედ საცა ეხლა ჩერქეზნი არიან და იქიდამ სხვა ჯიშის ხალხთა ძალდატანებით გადმოსულან აწინდელს თავის ადგილზედა“ [2].

სხვადასხვა დროს გადმოსახლებული ოსები უმთავრესად სახლდებოდნენ დიდი და პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობაში. ამის გამო შემდეგში მოსული მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა დასახლებული აღმოჩნდა გორისა და დუშეთის მაზრებში [3].

არაერთი წერილობითი წყარო მიუთითებს ქართველი ხალხისადმი არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე. მხედველობაში გვაქვს გერმანელი მოგზაურის ი. გიულდენშტედტის, ვახუშტი ბაგრატიონის, ალ. ყაზბეგის და სხვათა ეთნოგრაფიული ხასიათის კვლევები. ამავე ტენდენციის მატარებელია XIX-XX საუკუნეების მომიჯნავე ქართული პრესაც. საგულისხმო ახსნა აქვს მოძებნილი ოსთა ქმედებების ასახსნელად გაზ. „საქართველოს“: „ქართველებისადმი ოსების არამეგობრული დამოკიდებულება არის ისეთივე, როგორიც არის ღარიბისა მდიდრისადმი, უმიწაწყალოსი, კარგი დედულმამულიანისადმი და სხვა. მართალია, ქართველი გლეხი ბევრით არაფრით არის შეძლებული ოსეთის გლეხებზედ, მაგრამ მასთან შედარებით უფრო ფართოდა სცხოვრობს, უფრო მეტი მიწა-წყალი აქვს და აქედან გამომდინარეობს შური ქართველებისადმი“ [4].

მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა 1918 წლის მარტში. ჩვენ სხვა დროსაც არაერთხელ გვითქვამს, რომ ქართული მხარე შეიარაღებულ შეტაკებათა ნაცვლად ყოველთვის გამოდიოდა მოწოდებით დიალოგისა და არსებული კონფლიქტური კერების მშვიდობიანი დარეგულირების გზების ძიებისაკენ. ასე იყო 1918 წელსაც. იმ პერიოდის ცნობილი ჟურნალისტის და მოღვაწის შალვა ამირეჯიბის თქმით, - იყო თუ არა ეს პოლიტიკური იდეა, ნაციონალური მისწრაფება ოსთა მხრიდან? და თვითონვე პასუხობს: ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. თვით ჩვენს დროშიც, ეს იდეა ავაზაკურ იდეად დარჩება [5].

ავაზაკური გახლდათ ჩანაფიქრიც, როდესაც „ოსებმა მილიონ ნახევარი ფული შეკრიბეს და დაიწყეს ახალი გზების გაყვანა, რომელიც მათ ჩრდილოეთ ოსეთთან შეაერთებდა. ეს გზა გაჰყვება კეხვიდან ლიახვის ხეობას, გაივლის შუაგულს საქართველოს ოსეთისას სოფლებს გუფთა, ჯავას, ხცეს, როკის, აქ გადავა მთაგრეხილზედ, ჩავა სოფელ ზაქიში და შემდეგ ალაგირში. ეს გზა აერთებს ორთავე ოსეთს ამერსა და იმერსა. ამრიგად შეერთდება და გახდება მთლიანი ერთეული კავკასიის მთაგრეხილით შუაგაგლეჯილი ოსეთისა. ჩვენთვის კი საბედისწერო მნიშვნელობა ექნება“ [6].

1918 წლის მარტის ოსთა აჯანყებამ განსაკუთრებული სისასტიკით დაიმკვიდრა თავი საქართველოს ისტორიაში. ჯერ კიდევ 16 მარტს ცხინვალში ჩასულმა ოსთა დელეგაციამ ადგილობრივ მენშევიკურ მთავრობას გარკვეული მოთხოვნები წაუყენა: ა) დაუყოვნებლივ დაეწყოთ მიწების დაყოფა; ბ) გორის მაზრიდან გაეძევებინათ რევოლუციურ ორგანიზაციებში მომუშავე გარკვეული პირები; გ) გორის მაზრიდან გაეძევებინათ ყველა თავადი და აზნაური; დ) მიეცათ სიტყვის და კრების თავისუფლება.

აჯანყებულებთან მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო იმ პერიოდის გორის მაზრის უფროსმა გიორგი მაჩაბელმა, რომელმაც ზემოთ ჩამოთვლილ პირობათაგან ყველაზე თანხმობა განაცხადა, თავადაზნაურთა მაზრიდან გაძევების გარდა. თუმცა მოგვიანებით აჯანყებულთ ახალი მოთხოვნები გასჩენიათ და ქალაქის დარბევაც დაიწყო.

ოსთა განსაკუთრებულ სისასტიკეზე წერდა იმ პერიოდის პრესა: „გავიგე ვერაგულად მოკლული გ. მაჩაბელი, ს. კეცხოველი და სხვა გვარდიელები ჩამოასვენესო... სანახავად წავედი. როცა მეუბნებოდნენ თუ რანაირად იყვნენ ისინი დასახიჩრებულნი, არ მჯეროდა, მეგონა ძალიან გადამეტებულია-მეთქი... საშინელი, გულშემზარავი სურათი იყო... გ. მაჩაბელი ტყვიებით დაცხრილული იყო მუხლებში, მერე ხანჯლით დაჩხვლეტილი მთელ ტანზე, საფეთქლის ზევით, ხანჯლის წვერით თავის ქალა თითქმის აგლეჯილი... აუხსნელია ჩემთვის ადამიანი ასეთ გამხეცებამდის როგორ მივა.

ს. კეცხოველს მარჯვენა მხრიდან მუცელში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, რამაც მას სიცოცხლე მოუსპო ალბათ, შემდეგ ველურებს თავი მოეჭრათ, მაგრამ კისერში კი არა, მკერდიდან ქონდა აკეპილი, თავის ქალა დამსხვრეული. სახეზე წვერების მეტი აღარაფერი სჩანდა. ამბობდნენ მოკვლის შემდეგ სხეული ქუჩაზე ეგდო და ზედ ფაიტონები დადიოდნენო“[7].

ამასვე ადასტურებდა გაზეთი „საქართველო“: „ბრბოს უმკლავდებოდნენ გიორგი მაჩაბელი, კოსტა კაზაშვილი, ილია მაისურაძე და სხვები. ხიდის ყურზე ტყვიის მფრქვეველი მდგარა, აქ მძიმედ დაუჭრიათ გიორგი მაჩაბელი და შემდეგ საავადმყოფოს წინ მოუკლავთ. ამავე ადგილას გიორგისავით

მოვალეობის მსხვერპლი გამხდარა კოსტა კაზაშვილიც. სანდრო კეცხოველი ხიდის ყურეზე მდგარა. მოუკლავთ ისიც და მიცვალებული გვამი ბრბოს სასტიკად დაუსახიჩრებია“ [8].

ბუნებრივია, ოსთა გარკვეული ნაწილის მსგავსი ტიპის ქმედებანი ანტიქართული შინაარსისა გახლდათ და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

შ. ამირეჯიბის სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვენ არ ვიცით საქართველო უფრო ქართული, ვიდრე ის ადგილია საქართველოსი, სადაც ამჟამად ოსები ცხოვრობენ. ეს არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერხემალი. ვინც ჩვენ იმას გვეტყვის, რომ დღეს იქ ქართველები არ სცხოვრობენ, ამიტომ ის არც საქართველოა, მან ისიც უნდა სთქვას, რომ არც ხერხემალია ტანისათვის აუცილებელი, რადგან მასზედ არ არის თვალები, ყურები, ან გული [9].

აღნიშნული გარემოებების და ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე 1918 წლის მარტის ბოლოს შიდა ქართლში სამთავრობო ჯარების მიერ აღდგენილ იქნა წესრიგი გენერალ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით. ამ ფაქტთან დაკავშირებით პოლკოვნიკ კონიაშვილის დეპეშაში ნათქვამია: გორი. მარტის 23. ამიერკავკასიის მთავრობას. მე შევუერთდი ჯუღელის ჯარს. ცხინვალი და მისი მიდამოები ჩვენ დავიპყარით. შემდგომ რაც მოხდება გაცნობებთ“ [10].

ქართულ-ოსური დაძაბული ურთიერთობები მომდევნო წლებშიც არაერთხელ იჩენს თავს ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე. ამ უთანხმოებათა ფონზე ნათლად გამოიკვეთა მთავარი - საქართველო არასოდეს შეურიგდება მსგავსი ტიპის გამოხდომებს.

გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი რედაქტორი და მოღვაწე გერონტი ქიქოძე წერდა: „ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ვრცელდება მთელს ჩვენს ტერიტორიაზე. ჯავის ხეობის ოსები ისევე შედიან ამ ტერიტორიაში, როგორც სოხუმის ოლქის აფხაზები, ბორჩალოს მაზრის თათრები, ან საქართველოს ოლქის ჭრელ-დუხელები... ჯავის ხეობელ ოსებს აქვთ თავიანთი ენა, მაგრამ არა აქვთ ლიტერატურა და ეროვნული კულტურა. ამიტომ, შეუძლებელია ოსურ კულტურულ, ან ტერიტორიულ ავტონომიაზე საუბარი. მით უმეტეს შეუძლებელია, რომ ცალკე ოსური სახელმწიფო მოეწყოს, რომელიც ჯაველ და წუნარელ ფანტაზიორების გეგმით საქართველოს რესპუბლიკას უნდა შეუერთდეს ფედერატიულად“ [11].

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, XX საუკუნის დამდეგს ცხინვალის ტერიტორიაზე მოსახლეობენ მხოლოდ ქართველები, ქართველი ებრაელები და სომხები. [12] ამის მიუხედავად ოსური ეთნოელემენტის მომძლავრება დღითიდღე თვალსაჩინო ხდება. კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-გეოგრაფიულ და სტატისტიკურ აღწერაში მოცემული ცნობის მიხედვით უკვე 1908 წელს „ოსები შესამჩნევი არიან მხოლოდ თბილისის მაზრაში, სადაც შეადგენენ 4%-ს“ [13], ხოლო ოსთა საკმაოდ სწრაფი ტემპით მატებას მიუთითებს გ. გეხტმანიც „საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში“ [14].

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ოსური ეთნოელემენტი საკმაოდ სწრაფი ტემპით იწყებს მომრავლებას ცხინვალის რეგიონში, მათი პირველი ნაკვალევის გაჩენისთანავე არაერთი უთანხმოება იჩენს თავს.

ჯერ კიდევ 1893 წელს გაზ. „ივერია“ წერდა: „ცხინვალში ადგილობრივი მოსახლეობა ოსებს „შემოსულებს“ ეძახიან და მოითხოვენ მათ დაუყოვნებლივ უკან გარეკვას. რამდენადაც სხვა უსგავსოებასთან ერთად ისინი ურჩობასაც იჩენენ გადასახადების გადახდისას. ამიტომ გაუთავებელი დავა იყო შემოსულებზე გადასახადისათვის. ისინი კი არ იხდიან და გაიძახიან - რამდენ ადგილას უნდა ვიხადოთო“. ამგვარად ჩანს, რომ ე.წ. დროებითი, სეზონური სამუშაოსთვის ჩამოსული ოსი ერთდროულად ინარჩუნებდა ძველ საცხოვრებელ ადგილს და ცხინვალშიც ცდილობდა მის მოპოვებას [15].

ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსურ უთანხმოებებზე მიანიშნებს კ. განი თავის საინტერესო თხზულებაში „მოგზაურობა დიდი ლიახვისა და ქსნის სათავეებისკენ (1903 წლის ზაფხულში)“.

აღნიშნული თხზულების მეოთხე ნაწილში - „ჩრდილოელ და სამხრეთელ ოსთა შორის განსხვავება. სამხრეთელ ოსთა და ქართველთა სიძულვილი. კერპთაყვანისმცემლობის ნარჩენები ოსთა შორის ქრისტიანობისა და ისლამის გვერდით. წინაპრების კულტი“. განი საგულისხმო ცნობებს გვაწვდის, როგორც ოსთა რელიგიური წარმოდგენების, ასევე იმ პერიოდის ცხინვალის რეგიონის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა შესახებ.

“Внимательному наблюдателю поневоле бросается в глаза, что южные осетины, которых северные называют "туальта", своей внешностью и своими манерами довольно резко отличаются от северных. Разницу эту не столько создала разная религия, сколько окружающая их природа и среда. Северный осетин, магометанин, физически сильнее и больше ростом, имеет более гордый, самонадеянный вид, рыцарские замашки, благородные манеры: лихое наездничество и удальство его характерные черты. Ходить пешком чуть ли не считается позором. Суровая природа северных долин создала крепкое поколение и не позволяет долго

жить слабым особям. Суровый климат и тяжелая работа, борьба с природой закалили северных осетин. И хотя они были подвластны кабардинцам, им это было не так чувствительно, при чем они от них приняли кабардинский этикет, изящные и благородные манеры в обращении, но, к сожалению, под влиянием их изменили, большей частью, христианской религии. Южные осетины, за немногими исключениями, производят впечатление менее благоприятное, чем северные, как в физическом, так и в нравственном отношении. Более мягкий климат и более благоприятные условия природы позволяют жить также и слабым особям и не требуют такого напряжения телесных и умственных сил в борьбе за существование, как на севере. При этом в них до сих пор замечается какое-то угнетенное настроение, которое сохранилось с тех тяжелых времен, когда они были бесправыми холопами грузинских князей. Отсюда также объясняется существующая поныне вражда и ненависть между обоими народами. "Оси" (т. е. осетин) у грузин и "гурциак" (т. е. грузин) у осетин чуть ли не ругательные слова. Эта вражда имеет своим последствием то, что осетины и грузины, живя рядом, никогда не соединяются в одну деревню, но живут всегда особняком. Браки между обоими народами весьма редки, и если они иногда и состоятся, то осетин женится на грузинке, но не наоборот. Но надо сказать, что также между южными осетинами есть более благородные, которые свысока смотрят на других соплеменников. Так, напр., ксавцы, т. е. жители среднего и нижнего течения р. Ксанки не пользуются особенно лестной славой у других, главным образом от того, что они своих жен определяют по городам в качестве кормилиц и прислуги. Это остальные осетины считают большим позором и "ксанцам" этого простить не могут" [16].

ამრიგად, XX საუკუნის პირველ ათწლეულებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება ოსთა გამალებული მიგრაციის საკითხი ცხინვალის რეგიონში. ამ მოვლენას თან სდევდა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ადგილობრივ მოსახლეობასა და ჩამოსულ ოსთა შორის თავიდანვე არსებულ გარკვეულ უთანხმოებებზე აქტიურად მიანიშნებს იმ პერიოდის არაერთი ქართული და რუსული წერილობითი წყარო.

გერმანელი მოგზაური ჰაქსტჰაუზენი ოსთა შესახებ წერდა: „მათ არა აქვთ საკუთარი დამწერლობა, არამედ მიიღეს ქართული, რომელიც, თავის მხრივ, ქრისტიანობის შემოსვლისას გაჩნდა. ამ ენაზე დაიწერა და დაიბეჭდა მხოლოდ ზოგი ქრისტიანული ტექსტის ფრაგმენტი. არა აქვთ მატიანეები. ხელშეკრულებებს საჭდეზე აღნიშნავენ. ისტორიული მოვლენები ზეპირი გადმოცემებით შემოენახება შთამომავლობას; ასევე სალოცავებსა და სახლებზე გამოკიდებული ცხოველების თავები და რქებია მათ მოსაგონრად“ [17].

ზემოთ ხსენებულ, გარკვეულ უთანხმოებათა მიუხედავად საქართველოში მცხოვრებ ოს ხალხს ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის მადლი და იმავდროულად ეზრუნა საკუთარი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის.

ლიტერატურა:

1. სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბ., 2009, გვ. 4.
2. ვინ არიან ოსნი, გაზ. „ივერია“, 1877, 26/V, №13, გვ. 8.
3. ბახტაძე უ., სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 1968, გვ. 10.
4. ედილი ზ., საქართველოს ოსები, გაზ. „საქართველო“, 1918, №207.
5. სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბ., 2009, გვ. 139.
6. ედილი ზ., საქართველოს ოსები, გაზ. „საქართველო“, 1918, №207.
7. გაზ. „ალიონი“, 1918, 5/IV.
8. გაზ. „საქართველო“, 1918, №70.
9. ამირეჯიბი შ., ცხინვალის ფრონტი, გაზ. „საქართველო“, 1918, №64.
10. გაზ. „საქართველო“, 1918, №66.
11. ქიქოძე გ., ოსთა საკითხი, გაზ. „საქართველო“, 1918, №124.
12. «Кавказский календарь», Тифлис 1900.
13. Военно-географическое и статистическое описание Кавказскаго военнаго округа (Военно-статистический очерк), Тифлис 1908 г. / сост. Генеральнаго Штаба Подполковник Андриевский. ст. 44.
14. Гехтман Г. Н., Экономическая география Грузии, Тифлис 1924, ст. 42.
15. სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბ., 2009, გვ. 70.
16. Ган К. Ф., Поездка к верховьям Большой Лиахвы и Ксанки (летом 1903 г.), Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифлис 1905, т. 35, ст. 265;
17. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, (გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა), თბ., 2011, გვ. 190;

რეზიუმე

ძველთაგანვე საქართველოში მოსახლე არაქართულენოვანი მოსახლეობის ბუნება არაერთგვაროვანი გახლდათ. თუკი ბევრ მათგანს საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია, გარკვეული ნაწილი მისი ტერიტორიების მითვისებისა და მიტაცების იდეით სულდგმულობს.

ოსთა წარმომავლობის საკითხით არაერთხელ დაინტერესებულა XIX საუკუნის ქართული პრესა.

სხვადასხვა დროს გადმოსახლებული ოსები უმთავრესად სახლდებოდნენ დიდი და პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობაში. ამის გამო შემდეგში მოსული მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა დასახლებული აღმოჩნდა გორისა და დუშეთის მაზრებში.

არაერთი წერილობითი წყარო მიუთითებს ქართველი ხალხისადმი არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე. მხედველობაში გვაქვს გერმანელი მეცნიერის ი. გიულდენშტედტის, ვახუშტი ბაგრატიონის, ალ. ყაზბეგის და სხვათა ეთნოგრაფიული ხასიათის კვლევები. ამავე ტენდენციის მატარებელია XIX-XX საუკუნეების მომიჯნავე ქართული პრესაც.

1918 წლის მარტის ოსთა აჯანყებამ განსაკუთრებული სისასტიკით დაიმკვიდრა თავი საქართველოს ისტორიაში. ბუნებრივია, ოსთა გარკვეული ნაწილის მსგავსი ტიპის ქმედებანი ანტიქართული შინაარსისა გახლდათ და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

აღნიშნული გარემოებების და ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, 1918 წლის მარტის ბოლოს შიდა ქართლში სამთავრობო ჯარების მიერ აღდგენილ იქნა წესრიგი გენერალ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით.

ამრიგად, XX საუკუნის პირველ ათწლეულებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება ოსთა გამალებული მიგრაციის საკითხი ცხინვალის რეგიონში. ამ მოვლენას თან სდევდა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ადგილობრივ მოსახლეობასა და ჩამოსულ ოსთა შორის თავიდანვე არსებულ გარკვეულ უთანხმოებებზე აქტიურად მიანიშნებს იმ პერიოდის არაერთი ქართული და რუსული წერილობითი წყარო.

ზემოთ ხსენებულ, გარკვეულ უთანხმოებათა მიუხედავად საქართველოში მცხოვრებ ოს ხალხს ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის მადლი და იმავდროულად ეზრუნა საკუთარი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის.

GEORGIAN–OSSETIAN RELATIONS AT THE BEGINNING OF THE XX CENTURY IN TSKHIVALI REGION

Aleksandre Mgebrishvili, Full Professor

RESUME

From ancient times the nature of people of non-Georgian ethnicity living in Georgia was different. Most of them considered Georgia as their homeland,but some of them kept thinking to appropriate it.

XIX century Georgian Press had always been interested in the origin of Ossetian People.

At different times Ossetians mainly had been settling in Large and Small Liakhvi and Ksani gorge. That’s why the most population coming here later happened to settle in Gori and Dusheti region.

Several written sources indicate their unfriendly attitude towards Georgian people. We mean some kind of ethnographic researches of German scientist I. Giuldenshtedt, Vakhushti Bagrationi, A. Kazbegi and others. XIX-XX century Georgian Press carried the same trends as well.

In the Georgian history the rebellion of Ossetians in 1918 was characterized as especially brutal one. Naturally, such acts of some of the Ossetian people were anti Georgian and of course it was a great danger for Georgian sovereignty and territorial integrity.

According to these circumstances and interests of the security of the country at the end of March, 1918 the order in Shida Kartli was restored by the government troops led by General Valiko Jugheli.

Thus, in the early XX century the issue of Ossetians migration became one of the most actual one in Tskhinvali region. This event was followed by miscellaneous attitude of the local people. We mean the fact that several Georgian and Russian written sources actively indicated the certain disagreements between Ossetians and local people.

Despite the above mentioned certain disagreements Ossetian People living in Georgia had always had the possibilities of receiving benefits of century-old Georgian culture and at the same maintaining and enhancing their own cultural traditions.

ენობრივი პრობლემები ქართულ მედიაში

მარიკა შერაზადიშვილი, სრული პროფესორი

ენა მუდმივად ვითარდება და ივსება, ის ცოცხალი ორგანიზმია. ენის პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ძვრები მიმდინარეობს. ქვეყნის ცხოვრებაში სერიოზულ გარდატეხათა დროს, სხვა გლობალური პროცესების პარალელურად, იცვლება ენობრივი გარემოც. სწორედ ამიტომ არაერთხელ იდგა დღის წესრიგში ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხი. აღნიშნული ამჟამადაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. სწრაფად განვითარებადი ტექნიკური ცივილიზაცია, ღია საინფორმაციო სივრცე და ინტენსიური გარე ურთიერთობები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ენის ფორმირებაზე. ამ ყველაფერს, ბუნებრივია, ემატება შინაგანი ენობრივი პროცესებიც.

ენის სიწმინდის დაცვის საკითხში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჟურნალისტებს. ჟურნალისტების მეტყველებას გადამდები ძალა აქვს და, თუნდაც უნებლიეთ, მიბაძვის საფრთხეს ქმნის. ჟურნალისტების საუბარში არაერთი შეცდომა „იპარება“ - როგორც გრამატიკული, ასევე სტილისტური. ბევრ მათგანს მაყურებელი უკვე შეეჩვია და ვეღარც კი ამჩნევს, მაგრამ ზოგიერთი აშკარად ჭრის ყურს. თქვენს ყურადღებას ამჯერად რამდენიმე მიმართულებით შევაჩერებთ.

პირველ რიგში, განვიხილოთ გრამატიკულად არასწორი ფორმები და გამოთქმები. უმეტეს შემთხვევაში, პრობლემაა კრებით სახელებთან მრავლობითი რიცხვის შეთანხმება. უხეში შეცდომაა: „ხალხმა დაინახეს“, „ყველამ თქვეს“ და ა.შ. სწორია - „ხალხმა დაინახა“, „ყველამ თქვა“ და ა.შ. კრებით სახელებს შემასმენელი მხოლობით რიცხვში შეეწყობა. ასევეა სიმრავლის აღმნიშვნელ სახელებთანაც: „უამრავი ხარჯი“ და არა „უამრავი ხარჯები“….

ჟურნალისტები ხშირად იყენებენ ისეთ დამახინჯებულ ფორმებს, როგორიცაა: ჩვენთაგანი, თქვენთაგანი. ნაცვალსახელები „ჩვენ“ და „თქვენ“ თავისთავად სიმრავლის აღმნიშვნელია და მათზე –გან თანდებულთან ერთად მრავლობითის –თ(ა) ნიშნის დართვა არასწორია. სწორი ფორმაა „ჩვენგანი“, „თქვენგანი“, „მათგანი“.

„სამი საქართველოს მოქალაქე“, „ხუთი ჟიურის წევრი“, „ორი დაცვის თანამშრომელი“ და ა.შ. - ეს ის ფორმებია, რომლებიც ჟურნალისტებს ხშირად აყენებს კომიკურ სიტუაციაში. სამი მოქალაქეა და არა საქართველო, ხუთი წევრია და არა ჟიური. გრამატიკული შეცდომა, კერძოდ, მსაზღვრელის არასწორ ადგილზე ჩასმა, ფაქტობრივ უზუსტობას იწვევს და წინადადებას შინაარსობრივად აბსურდულს ხდის.

პრობლემაა მრავლობით რიცხვში დასმულ უსულო საგნებთან შემასმენლის შეწყობის საკითხიც. როგორც წესი, ასეთ ქვემდებარეს შემასმენელი მხოლობით რიცხვში შეეწყობა. არასწორია - „გამოკვლევები ადასტურებენ“, „ეს საკითხები ყურადღებას იმსახურებენ“ და ა.შ. უნდა იყოს - „გამოკვლევები ადასტურებს“, „ეს საკითხები ყურადღებას იმსახურებს“;

შეცდომაა ასევე „დასვავს“, „დაასხავს“ და ა.შ. ზმნის საწყისია „სმა“ და „სხმა“, ამიტომ სწორი ფორმაა „დასვამს“, „დაასხამს“;

გავრცელებული შეცდომაა ასევე ზედმეტი ხმოვნის ჩასმა. მაგ.: წარმოჩინდა და წარმოჩნდა. თუ ზმნისწინს – წარმო შევცვლით სხვა ზმნისწინით, მივიღებთ - „აღმოჩნდა“, „გაჩნდა“ და ა.შ არცერთ მათგანში არაა ი ხმოვანი. ანუ მისი ხმარება პირველ შემთხვევაშიც გაუმართლებელია. სწორი ფორმაა წარმოჩნდა. ასევეა რამოდენიმესა და რამდენიმეს შემთხვევაშიც. სწორი ფორმაა რამდენიმე, რადგან „მ“ არის დროთა განმავლობაში მიღებული „ო“ ხმოვნისგან (რაოდენი) და მისი დამატება აღარაა საჭირო.

მნიშვნელოვანია, რომ ერთი ენა მეორეზე გავლენას სხვადასხვა კუთხით ახდენს. ყველაზე სახიფათო ტენდენციად სიღრმისეული სტრუქტურული გავლენა მიიჩნევა. სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება კალკი. დღეს მრავლადაა რუსული ენიდან შემოსული კალკები: (არ) მაწყობს (не устраивает) – ქართ. ხელს (არ) მაძლევს, „თვლის“ ნაცვლად „მიაჩნიასი“ (считает), ადგილი აქვს (имеет место), მიმალვაშია (იმალება), გაყიდვაშია (იყიდება), საქმისადმი ერთგულება (საქმის ერთგულება) და ა.შ.

საყურადღებოა ასევე ერთგვარი მყარი სინტაქსური ფორმულები, რომლებიც კალკირების საფუძველზეა წარმოქმნილი. მათ ბირთვს ძირითადად რომელიმე კალკირებული შინაარსის ზმნა ან სახელზმნა წარმოადგენს. მაგ: წარმოება – თავისი მნიშვნელობით მატერიალური საგნების დამზადებას უკავშირდება, მაგრამ ბოლო დროს დამკვიდრდა ზოგადი მოქმედების გამოსახატავად – მოლაპარაკებას

აწარმოებს, გამოძიებას აწარმოებს, საბუთების გაცემას აწარმოებს და სხვ. სწორი ფორმებია - ესაუბრება, იძიებს, გასცემს;

ჩატარება – გატარება ზმნების ხმარებისას ვხვდებით ორგვარ შეცდომას:

ა) ანაცვლებს კანონიერ „კეთება, ხმარება, გამოყენებას“, მაგალითად, საათს ატარებს (საათი უკეთია), სათვალეს ატარებს (სათვალეს ხმარობს);

ბ) ენაცვლება „გამართვა, მოწყობას“ – საღამოს ატარებს (საღამოს მართავს, აწყობს), კონკურსს ატარებს (კონკურსს მართავს, აწყობს);

შედგომა – არასწორია შეხვედრა შედგა (შეხვედრა გაიმართა); მიცემა, მისცა – შეფასება მისცა (შეაფასა); დავალება მისცა (დაავალა); განცდა, განიცდის – ფეხბურთელმა მარცხი განიცადა (დამარცხდა); გაჭირვებას განიცდის (მატერიალურად უჭირს); მიყენება – ტკივილი მიაყენა (ატკინა), ჭრილობა მიაყენა (დაჭრა)…

ასეთი მყარი სინტაქსური ფორმულები დღეს სტილისტურ შეცდომებად მიიჩნევა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი კალკირების შედეგად ყალიბდება.

კლიშე – ეს არის ერთგვარი სამეტყველო სტერეოტიპი, მზამზარეული გამონათქვამი. მასში მოიაზრება სხვადასხვა ენობრივი ფორმულა - როგორც ერთსიტყვიანი, ისე რამდენიმესიტყვიანი ფრაზა. ზოგიერთ მათგანს იმდენად ხშირად იყენებენ ჟურნალისტები, რომ ლამის სავალდებულო ფორმულის სახე მიიღო: საკითხის დასმა, პრობლემის გადაწყვეტა, პოზიციის დაფიქსირება, აღებული ვალდებულება, შეშფოთებას გამოთქვამს, ხელს უწყობს და ა.შ.

ზოგადად, კლიშეების ასეთი დამკვიდრება და ჟურნალისტის მიერ მისი ხშირი გამოყენება სათანადო ლექსიკური მარაგის არქონაზე მიანიშნებს. ლექსიკური მარაგის არქონა კი, თავის მხრივ, ჟურნალისტის წიგნიერების დაბალ მაჩვენებელს უსვამს ხაზს. კლიშეებისა და შტამპების ასე სწრაფად და უმტკივნეულოდ დამკვიდრების უმთავრესი მიზეზი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ინფორმაციის სწრაფი მიღება და გადამუშავებაა. ამიტომ მედიის ენა ამ კუთხითაც საგანგებო მეთვალყურეობას მოითხოვს.

ხშირად ურევენ ერთმანეთში სიტყვათა წყვილებს, როგორიცაა: მოთხოვნა და მოთხოვნილება, მაგ.: „აქციის მონაწილეებს სხვადასხვა მოთხოვნილებები აქვთ“. „მოთხოვნილება“ თითქმის იმავე მნიშვნელობისაა, რაც „საჭიროება“ და ცოცხალი ორგანიზმის შინაგან, მისივე ორგანიზმის მიერ ნაკარნახევ მდგომარეობას აღნიშნავს. მოთხოვნა კი ერთი პირის მიერ მეორე პირისადმი წაყენებული ან თავსმოხვეული პრეტენზიაა; (ორი დღის) წინ თუ უკან – წინა ვითარების გამოსახატავად ყოველთვის იხმარება „წინ“. მაგ.: ვამბობთ - „გუშინწინ“, „წინა წელს“ და არა „უკანა წელს“… სწორი ფორმაა ორი დღის წინ, სამი წლის წინ; განმავლობაში და მანძილზე – ჟურნალისტები (და არა მარტო ისინი) დროის მონაკვეთების აღნიშვნისას უმეტესად იყენებენ სიტყვას „მანძილზე“ (ორი საათის მანძილზე), რაც შეცდომაა. დროს მანძილი არ გააჩნია. მართებული ფორმაა „ორი საათის განმავლობაში“, „მთელი სიცოცხლის განმავლობაში“; შეიძლება და შესაძლოა – ამ ორი სიტყვის მნიშვნელობას ხშირად ურევენ ერთმანეთში. არასწორია „თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ქვეყნის ეკონომიკა ჩამოიშალოს“… „შეიძლება“ ნიშნავს, რომ რაღაც ნებადართულია, არსებობს შესაბამისი უფლება. „შესაძლოა“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ალბათობაზეა საუბარი, ამიტომ სწორია - „თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკა ჩამოიშალოს“.

ბარბარიზმი უცხო სიტყვების საჭიროების გარეშე გამოყენებაა. თანამედროვე მეტყველებაში მრავლადაა შემორჩენილი რუსული ბარბარიზმები, რაც ჩვენი საბჭოური წარსულის დამსახურებაა. მაგრამ „რუსულ გადმონაშთებზე“ უარესი სხვა რამაა. „ბარბარიზმების პრობლემა უფრო მძაფრად აღიქმება „დამპყრობელი ერის“ მიმართ, ვიდრე ენათა კულტურული ურთიერთქმედებების დროს. სწორედ ასეთი ურთიერთობა ინგლისურთან მნიშვნელოვნად აზიანებს ქართულ ენას. არავინ დაობდა იმაზე, რომ რუსულიდან შემოსული „ტრენერი“ და „ტრენიროვკა“ ბარბარიზმი იყო. დღეს კი ინგლისურის გზით შემოსული იგივე სიტყვები (ტრენერი და ტრეინინგი) უმტკივნეულოდ იმკვიდრებს ადგილს. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ამჟამად ქართული ენა ყველაზე მეტად სწორედ ინგლისური ბარბარიზმებით ბინძურდება. ამ მხრივ კი ყველაზე მეტს სწორედ ჟურნალისტები და ის პოლიტიკოსები სცოდავენ, რომლებიც მუდმივად ჩანან ეკრანზე… ინგლისური სიტყვების აუცილებლობის გარეშე გამოყენებით ცდილობენ, ხაზი გაუსვან თავიანთ განათლებულობას. რუსული ბარბარიზმები ახლა ყურს ჭრის და ადვილად ხვდებიან, რომ მისი გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ ინგლისურიდან შემოსული სიტყვები არ აღიქმება ბარბარიზმებად, პირიქით, თითქოს აუცილებელიც კი გახდა მათი გამოყენება. ასეთი დამოკიდებულება შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს ქართული ენისათვის, რადგან უცხოური სიტყვები შეუმჩნევლად ანაცვლებს ქართულს. აქ საუბარი არაა ინტერნაციონალურ სიტყვებზე

(კომპიუტერი, პროცესორი, ინტერნეტი და სხვ.), რომელთა შემოსვლა და დამკვიდრება ტექნოლოგიურმა თუ სხვა სახის ცვლილებებმა გამოიწვია. საქმე ეხება ისეთ სიტყვებს, როგორიცაა, მაგალითად, პრიორიტეტული (უპირატესი), კრეატიული (შემოქმედებითი), რეზულტატი (შედეგი), ივენთი (ღონისძიება), მესიჯი (შეტყობინება, გზავნილი), რიმეიქი (გადამუშავება), მეილი (ფოსტა), ფეშენვიქი (მოდის კვირეული), უიქენდი (შაბათ-კვირა) და ა.შ. ქართველი ჟურნალისტები, როგორც წესი, უპირატესობას უცხოურ სიტყვებს ანიჭებენ. ამიტომ რიგითი მაყურებლისთვის ზოგჯერ გაუგებარი რჩება, რის შესახებ საუბრობს ჟურნალისტი. ჩვენ შორს ვართ „პურიზმისაგან“ და სრულიადაც არ ვთვლით, რომ ყველა სიტყვას ქართული შესატყვისი უნდა მოეძებნოს (გავიხსენოთ, რომ საუკუნის დასაწყისში მსგავსი მცდელობა კრახით დასრულდა, მაგალითად ვაგონის „რონოდად“ „გადანათვლაც“ კმარა), მაგრამ სადაც ქართული შესატყვისი გვაქვს, იქ უცხო სიტყვა არ უნდა ვიხმაროთ.

გრამატიკული უზუსტობების გვერდით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის სავალალო ვითარება, რომელიც დღეს ელექტრონულ მედიაში სუფევს, ესაა ყოვლად გაუმართლებელი ინტონაციები, როდესაც ჟურნალისტები ყველა სიტყვის ბოლოს სვამენ მახვილს. ქართულს, მოგეხსენებათ, სუსტი დინამიკური მახვილი ახასიათებს და ის არაფრით წააგავს ფრანგულს, სადაც მახვილი სიტყვის ბოლოს მოდის. ცალკე პრობლემაა ისიც, რომ ჟურნალისტთა ნაწილს, სამწუხაროდ, არ ჰყოფნის კვალიფიკაცია, რათა ტექსტი გამართული ქართული გადმოსცეს. წარმოგიდგენთ რამდენიმე „ჟურნალისტურ მარგალიტს“: ბუკვალურად მინდა აღვნიშნო, სოლიდარული რაოდენობა, ჩვენი თანამეგობარი, მოკიდებული აქვს ადგილი, ფუნდამენტური ტაქტიკური განათლება, ბავშვები ქუჩის ადამიანები ხდებიან...

უცხოური სიტყვების შემოტანის, მათი ქართულ ენასთან შესაბამისობაში მოქცევისა და დამკვიდრების საკითხების გადასაჭრელად სხვადასხვა ორგანოები არსებობდა. ბოლოს იყო ენის სახელმწიფო პალატა, რომელიც 1998 წელს ჩამოყალიბდა და 2004 წელს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გააუქმეს. ის თვალყურს ადევნებდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამკვიდრებას, აკონტროლებდა ყველა უწყებაში სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას. მსგავსი ორგანოები საქართველოში 1921 წლიდან ფუნქციონირებდა: ტერმინოლოგიათა შემმუშავებელი სამეცნიერო საბჭო (1921 წ. ხელმძღვანელი ივანე ჯავახიშვილი), სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია (1934 წ.), ნორმათა დამდგენი კომისია (1946 წ. ხელმძღვანელობდნენ ჯერ სიმონ ჯანაშია, შემდეგ – აკაკი შანიძე), სალიტერატურო ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისია (1953 წ.), საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, პარლამენტთან არსებული სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი.

ვფიქრობთ, დღეს ყველაზე მეტადაა საჭირო მსგავსი ორგანოს არსებობა, რათა გაკონტროლდეს, თუ რა ისმის ყოველდღიურად ტელეეთერიდან, რა იწერება ბეჭდვით მედიაში… მითუმეტეს, იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს უცხო ენების სწავლება და მსოფლიო მასშტაბითაც ერთეული ენები იწყებენ გაბატონებას.

თავის მხრივ, ჟურნალისტებმაც უნდა გაიაზრონ, რომ ქართული ენის ნორმების დაცვა აუცილებელია, რამეთუ მათი საუბარი მაგალითი ხდება მაყურებლისა თუ მკითხველისათვის. როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო მოვალეობაა, როგორიც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი“.

რეზიუმე

ენობრივი პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ძვრები მიმდინარეობს. ქვეყნის ცხოვრებაში სერიოზულ გარდატეხათა დროს, სხვა გლობალური პროცესების პარალელურად, იცვლება ენობრივი გარემოც. ენის სიწმინდის დაცვის საკითხში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჟურნალისტებს. მათს მეტყველებას გადამდები ძალა აქვს და, თუნდაც უნებლიეთ, მიბაძვის საფრთხეს ქმნის.

ჟურნალისტების საუბარში არაერთი შეცდომა „იპარება“ - როგორც გრამატიკული, ისე სტილისტური. შეცდომათა რამდენიმე ჯგუფს გამოვყოფთ, ესენია: სიმრავლის აღმნიშვნელ, ასევე კრებით სახელებთან მრავლობითი რიცხვის შეთანხმება; მრავლობით რიცხვში დასმულ უსულო საგნებთან შემასმენლის შეწყობა; ნაცვალსახელთა არასწორი ხმარება; ზედმეტი ხმოვნის ჩასმა; კალკირების საფუძველზე წარმოქმნილი მყარი სინტაქსური ფორმულები; რუსული და ინგლისური ბარბარიზმები და სხვ.

გრამატიკული უზუსტობების გვერდით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის სავალალო ვითარება, რომელიც დღეს ელექტრონულ მედიაში სუფევს, ესაა ყოვლად გაუმართლებელი ინტონაციები, როდესაც ჟურნალისტები არასწორად სვამენ მახვილს. ვფიქრობთ, დღეს ყველაზე მეტადაა საჭირო ისეთი ორგანოს არსებობა, რომელიც გააკონტროლებს უცხოური სიტყვების შემოტანის, მათი ქართულ ენასთან შესაბამისობაში მოქცევისა და დამკვიდრების საკითხებს.

LINGUISTIC PROBLEMS IN GEORGIAN MEDIA

Marika Sherazadishvili, Full Professor

RESUME

Linguistic problems are getting more urgent when important political and social events take place in the country. During the serious changes in country's life, linguistic environment is changing as well. Journalists are most responsible to protect the sanctity of language. Their speech can have influential effect and make unwitting risk of imitation.

There are a lot of mistakes in journalists' speech – both grammatical and stylistic. We will indicate some of the groups: agreement in plural of collective nouns and nouns denoting plurality; agreement of predicate with plural inanimate objects; the incorrect use of pronouns; inserting extra vowels; solid syntax formulas based on loaning translations; Russian and English barbarisms.

Along with grammatical inaccuracies we also have to mention deplorable situation in e-media. These are absolutely unjustifiable intonations, when journalists make incorrect stresses. We consider that the existence of service controlling the import of foreign words and their establishment and accordance with Georgian language is very needful.